

ისკოდა

დონორების მიერ სწავლებისთვის



საერთაშორისო სწავლებისთვის
და მონიტორინგის რეგიონალური ცენტრი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



იკოლა

დონორების სწავლებების



განათლების
ერთობა



for every child



საგარეო
კავშირების
მინისტრი



GEORGIA



სამთავროს სწავლების განვითარების
და მძევლების ჩართვის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



რედაქტორი: ნატალია ინგოროყვა
ტექსტების სტილის რედაქტორი: ნანა მაჭავარიანი

2020 წელი

სარჩევი

| | |
|--|----|
| ნინო ჭიაბრიშვილი..... | 7 |
| „დიადი გადააბრების“, ანუ ერთადერთი ნამდვილისკენ მიბრუნებისთვის - დისტანციური სწავლება და ღირებულებები | |
| ვარდენ ნიქაბაძე | 12 |
| სასწავლო პროცესი და სკოლის მართვა დისტანციურ რეჟიმში | |
| თამთა დოლიძე | 17 |
| დისტანციური სწავლების გამოწვევები გაკვეთილზე და როგორ გავართვათ მათ თავი | |
| გიტა თვალაბეიშვილი | 21 |
| დისტანციური სწავლების კალენდოსკოპი | |
| მანანა ბოჭორიშვილი | 28 |
| დისტანციური სწავლება. პრაქტიკული რეკომენდაციები მცირეკონტინგენტის სკოლის მასწავლებლებისთვის | |
| ნინო ლაბარტყავა | 34 |
| ონლაინ სწავლების დადებითი მხარეები და გამოწვევები განათლების დაწყებით საფეხურზე ფორსმაჟორულ სიტუაციაში | |
| მეგი კავთუაშვილი | 47 |
| მშობლები გამჭვირვალე „საკლასო ოთახში“ | |
| ირმა კახურაშვილი | 55 |
| მოსწავლეები ონლაინ სწავლის გამოწვევების პირისპირ. რას ფიქრობენ ისინი. | |
| სოფო ფაცაცია..... | 62 |
| რესურსები და ინსტრუმენტები დისტანციური სწავლებისთვის | |
| ანა ღვინიაძე | 73 |
| როდესაც ერთმანეთს მანძილი გვაშორებს ანუ დისტანციური სწავლების ფსიქოლოგია | |



ნიმუ შიპანიშვილი

„დიდი გადააზრების“, ანუ ერთდროითი ნამდვიდისკენ მიბრუნებისთვის- დისტანციური სწავლება და ღირებულებები

“

ძვირფასო მასწავლებელო!

მე ცოცხალი გადავურჩი საკონცენტრაციო ბანაკს და ჩემმა თვალებმა იხილა ის, რაც არ უნდა ნახოს არც ერთმა ადამიანმა:

როგორ აშენებენ სწავლული ინჟინრები გაზის კამერებს;

როგორ წამლავენ კვალიფიციური ექიმები ბავშვებს;

როგორ კლავენ სწავლადამთავრებული მედდები ჩვილ ბავშვებს;

როგორ ესვრიან და წვავენ ბავშვებსა და ქალებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები.

ამიტომაც, მე არ ვენდობი განათლებას!

”

მე გთხოვთ, დაეხმარეთ მოსწავლეებს, გახდნენ ადამიანები. თქვენმა ძალისხმევამ არ უნდა მიგვიყვანოს სწავლული მონსტრების, ნამეცადინარი ფსიქოპათების, განათლებული აიხმანების ჩამოყალიბებამდე. კითხვა, წერა, არითმეტიკა მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ეხმარება ჩვენს შვილებს, გახდნენ უფრო ადამიანურები! **(საკონცენტრაციო ბანაკში გადარჩენილი სკოლის ერთ-ერთი დირექტორის წერილი სამსახურში აყვანილი მასწავლებლებისადმი)** ეს ეპიგრაფად გამახსენდა. მთავარი სათქმელი კი ეს არის:

უთვალავ რესურსს შორის, რომელიც ბოლო პერიოდში იქმნება და ვრცელდება, **ერთ-ერთში** მამა ძილისწინა ზღაპრად ჟამიანობის მიზეზებზე და მოსალოდნელ შედეგებზე უყვება შვილებს. ვირუსის გავრცელების მიზეზს ასე უხსნის, „ზოგჯერ ავად უნდა გახდე, სანამ თავს უკეთ იგრძნობ“-ო და მომხდარის იმედიან შედეგად ცხოვრების წესის „დიად გადააზრებას“ ელოდება.

დიადი გადააზრება, ჩემთვისაც ადამიანობისკენ შემო- თუ და-ბრუნებაა, რომელსაც განათლება ემსახურება ან უნდა ემსახურებოდეს.

ქართულად სიტყვა **ადამიანის** ერთადერთ ონლაინ განმარტებას ვიკიპედიაში ნახავთ: **გონიერი ადამიანი** (ლათ. Homo sapiens) — პრიმატების სახეობა, ჰომინიდების ჯგუფის, ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელი. კემბრიჯის ლექსიკონში **ადამიანი** (ადამიანური) ნიშნავს ისეთი თვისებების, ნაკლოვანებების და ემოციების ქონას, რომელიც ახასიათებთ ადამიანებს, განსხვავებით ღმერთების, ცხოველების ან მანქანებისგან.

ჰოდა, გადავწყვიტე ასაკისა და საგნისგან დამოუკიდებელი რამდენიმე ონლაინ რესურსი გამეხსენებინა, რომელიც ადამიანური თვისებების განვითარებას - გაადამიანებას უწყობს ხელს:

- ▶ რუბენ გალიეგოს ავტობიოგრაფიული მოთხრობა **თეთრით შავზე** (მთარგმნ. ნინო ბექიშვილი) ყველაფერზეა, სადაც, მაგალითად, მოქალაქეობის და ისტორიის (და არამართ) ინტეგრირებული სწავლებისთვის ბევრ იდეას ნახავთ.
- ▶ ტაილანდური კომპანიის CPG-ს მიერ გადაღებული **მოკლემეტრაჟიანი ფილმი** (6.30 წთ.) მაღლიერებას, პასუხისმგებლობას, ზრუნვას, ნამდვილი სიყვარულის ძალით სტერეოტიპების მსხვრევას ეხება. კარგი რესურსია, მაგალითად, მოქალაქეობისა და ინგლისური ენის ინტეგრირებული სწავლებისთვის.
- ▶ ნაწყვეტი ნანა მჭედლიძის ფილმიდან **გასეირნება თბილისში** (71 წთ.), **თავი დაანებე, სულელია**, (3.18 წთ.) კონფორმიზმის მანკიერებაზე და მის საშიშ შედეგებზეა. კონფორმიზმზე, რომელიც სისტემისთვის არის დამახასიათებელი და რომლის წინააღმდეგ ცალკეული ადამიანები ხშირად უმწეონი არიან ან უბრალოდ ცხოვრების გართულებას დანებება ურჩევნიათ („ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“). მოქალაქეობრივი აქტიურობის, პროფესიული პატიოსნების შესახებ მსჯელობისას საინტერესო რესურსია. ბევრ სხვა საკითხზეც არაჩვეულებრივ ნაწყვეტებს ნახავთ ფილმში.
- ▶ სტივ კატის ანიმაცია **შენც ჩემსავით დაიკარგე სამყაროში?** (Are You Lost In The World Like Me? 3.15 წთ.) თანამედროვე მომხმარებლური და ადამიანურობისგან დაცლილი სამყაროს მანკიერებებზე, კარგზე და ცუდზე, ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობაზე, ერთმანეთისთვის ანგარიშის განწევაზე დააფიქრებს ბავშვებს.

ზოგადად, მისი ანიმაციები უამრავ საკითხზე მუშაობისას შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს.

- ▶ იგავის მიხედვით გადაღებული ანიმაცია **საზოგადოებრივი აზრი** (2.48 წთ.) საკუთარი გზის პოვნაში გვეხმარება. ვერასოდეს მოვიქცევით ყველას მოსაწონად. მთავარია, საკუთარ ღირებულებებს ვუერთგულოთ და ღირსება შევინარჩუნოთ.
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ფილმი **წამის მეასედი** (One Hundredth of a Second 5.31 წთ.) ნებისმიერ პროფესიაში მნიშვნელოვანი პრინციპების ერთგულებას, ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების, მისი სიცოცხლის უზენაესობას გვახსენებს.
- ▶ Kalhil Adames-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმი **იდენტობა** (Identity 5.18 წთ.) იმ უამრავი ნიღბის შესახებაა, რომლის ტარებასაც საზოგადოება გვაიძულებს, საკუთარი თავის აღმოჩენის სიხარულის შესახებაც და ადამიანებს იდენტობის ძიებასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში დაეხმარება.
- ▶ Kerith Lemon-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმიც **სოციალური ცხოვრება** (A Social Life 8.26 წთ.) გარკვეულწილად, იდენტობის ძიებას ეხება და ონლაინ და ოფლაინ ცხოვრებას შორის არჩევანზე, საზოგადოებრივი აზრისა და სოციალური მედიის გავლენაზე დაგვაფიქრებს. როგორ რთულდება ხშირად ორმაგი ცხოვრებით ცხოვრება და როგორი აუცილებელი ხდება გადააბნილ „მე“-სთან დაბრუნება.
- ▶ ბელგიელი მუსიკოსის Stromae-ს კლიპიც **Carmen** (3.37 წთ.) სოციალურ მედიაზე დამოკიდებულების ამსახველია და ადამიანებს ზოგადად დამოკიდებულების ზიანზე დააფიქრებს.
- ▶ დამოკიდებულების საკითხზეა ეს ორი ანიმაციაც: Andreas Hykade-ს **Nuggets** (5.05 წთ.) და Laura Neuvonen-ის **The Last Knit** (6.44 წთ.). ამ უკანასკნელში დამოკიდებულება, როგორც ვნება, ლამის ბოლოს უღებს მსხვერპლს და გამოფხიზლების ძალისხმევის გარეშე სიკვდილი ელის.
- ▶ Cameron Covell-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმი **უმშვენიერესი** (The Most Beautiful Thing, 10.43 წთ.) სიყვარულის სიხარულებსა და სევდებს ეხება და ადამიანებს ამ გრძნობის მთელ სიღამაზე და სიღიადეს ახსენებს ჰელენ კელერის სიტყვებით: „შეუძლებელია სამყაროში უმშვენიერესის დანახვა, მოსმენა ან შეხება, ის გულით უნდა იგრძნო“. სიყვარულზე სასაუბროდ ასევე არაჩვეულებრივი რესურსია ნაირა გელაშვილის მოთხრობა **მე ის ვარ**.
- ▶ Maaz Khan-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმი **ნაჩქარევი განსჯა** (Too Quick To Judge, 3.42 წთ.) წინასწარი შეხედულებების საფრთხეს ეხება. გვეხმარება, დავინახოთ და გავაანალიზოთ მისი მოსალოდნელი შედეგები. მასში ერთგვარი სევდაცაა იმის გამო, რა მოუთმენლები და ხშირად დაუნდობლები ვართ ერთმანეთის მიმართ და როგორ არ ვინუხებთ თავს სიღრმისეული ფიქრებით.
- ▶ ეს ერთნუთიანი ნორვეგიული ფილმი **ბავშვს საჭმელი არ აქვს** (A child has nothing to eat at school) გაზიარების სიხარულში და აუცილებლობაში გვარწმუნებს. შესაძლოა, ის არა ზოგადად მშვიდ ბავშვს, არამედ იმ მომენტში მშვიდ ბავშვს ეხება, მაგრამ სწორედ ეს იმნუთიერი, დაუფიქრებელი და დაუგეგმავი (ან, საერთოდაც, სად გაგონილა სიკეთის დაგეგმვა!) სიკეთის ხაზგასმაა მნიშვნელოვანი.

- ▶ მიზნის მიღწევისას ძალისხმევის აუცილებლობასა და სიჯიუტეზე ანიმაცია **ნამცეცა** (Pip, 4.05 წთ.). შესაძლოა, არანაირ სასურველ ფიზიკურ სტანდარტებს არ ვაკმაყოფილებდეთ, სხვებზე მეტი ძალისხმევა დაგვჭირდეს ე. წ. ნორმატივების საუკეთესოდ შესასრულებლად, მაგრამ ემოციურად ყველაზე მეტად ვიყოთ მზად საყვარელი საქმის საუკეთესოდ შესრულებისთვის.
- ▶ რეალურ მამაც ადამიანებზე მოგვითხრობს ლევან თეთვადის დოკუმენტური ფილმი **როგორ ინგრევა კედელი** (34.53 წთ.), რომელშიც ბევრი კარგი ადამიანის პირადი გამოცდილების მოსმენით, ცხოვრებისთვის აუცილებელ ძალას და გამძლეობას ვიძინთ.
- ▶ სტერეოტიპებზე, დისკრიმინაციაზე ფიქრსა და მათი დაძლევის გზებს გვთავაზობს ანიმაცია **Sneetches** (12.10 წთ.). მასში ნაჩვენებია სტერეოტიპების ჩამოყალიბების აბსურდული სიმარტივე, მათი დაჟინებული დაცვის დაუოკებელი და სულელური სურვილი; ის, თუ როგორ შეუძლიათ სხვებს, ისარგებლონ სტერეოტიპული აზროვნების შეზღუდულობით და რამდენად შორს შეიძლება წავიდეს მანკიერი პროცესები, თუკი ადამიანები ფიქრს არ დაიწყებენ.
- ▶ უზნადის განწყობის თეორიის და ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობების თვალსაჩინოებაა ანიმაცია **ბუზი** (The Fly, 2.47 წთ.). ის გვასწავლის, რომ ხშირად უსიამოვნების დასაძლევად მისი სხვა პერსპექტივიდან დანახვა საუკეთესო გამოსავალია. ეპიგრაფად წამძღვარებული სიტყვები „შეცვალე საკუთარი ფიქრები და შეცვლი სამყაროს“, განათლების ზოგად მიზანს ასახავს, თუკი გვჯერა, რომ განათლება სასიკეთო ცვლილებას ემსახურება.
- ▶ ავტორთა ჯგუფის Anna Hinds Paddock-ის, Isabela Littger de Pinho-სა და Kriti Kaur-ის ანიმაციაში **არაფერი მსგავსი** (None of That, 4.09 წთ.) კარგად ჩანს ცრუ რელიგიურობის აბსურდული და სევდიანი შედეგები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა დამოკიდებულება ნამდვილი ხელოვნებისადმი. მეორე მხრივ, მასში ნაჩვენებია, როგორ ესმით ადამიანებს პროფესიის ერთგულება.
- ▶ მცირე ამბები სახელწოდებით **ღირებულებები, გადაეცი** (Values, pass it on 2.27 წთ.) მოთმინებას, მხარდაჭერას, წახალისებას ეხება და მნიშვნელოვანი ადამიანური ღირებულებების შესახებ დაგვაფიქრებს.

ჩემი აზრით, ნებისმიერი საგნის მასწავლებელს ცალკე კატალოგი სჭირდება Pixar-ისა და CGMeetup-ის ანიმაციებისთვის. აქ ჩემს რამდენიმე ფავორიტს გაგიზიარებთ:

- ▶ **La Luna** (6.57 წთ.) თვალსაჩინოდ ჩანს თაობებს შორის ურთიერთობები, სწავლება-სწავლის განსხვავებული გზები და საკუთარი ერთადერთი გზის პოვნის აუცილებლობა.
- ▶ **Piper** (6.26 წთ.) სწავლის სირთულეებისა და შიშის შესახებაა და იმ ადამიანებს დაეხმარება, ვინც ხელი ჩაიქნია (ან ჩააქნევინეს) საკუთარ შესაძლებლობებზე.
- ▶ **Presto** (5.14 წთ.) მასწავლებლებს და მშობლებს ნებისმიერი საქმის კეთებისას სტიმულებისა და წახალისების მნიშვნელობაზე დააფიქრებს.

- ▶ **The Power of Teamwork** (1.22 წთ.) გუნდური მუშაობის ძალაზე და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის – **ძალა ერთობისა** – ერთგვარი ანიმაციური ფორმატია.
- ▶ **Bruised** (2.42 წთ.) ვისი სწავლებაც გვსურს, იმის ტკივილისა და სიხარულის ცოდნის აუცილებლობაზეა. ვერ ვასწავლით ადამიანს, თუკი მის საზრუნავს არ ვიცნობთ, რომელიც შესაძლოა ისეთი სიმძიმისა იყოს, რომ სხვა რამეზე ფიქრის ადგილს აღარ უტოვებდეს.
- ▶ Daniel Martínez Lara-სა და Rafa Cano Méndez-ის ანიმაცია **მსგავსები** (Alike 8.1 წთ.) ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვნებაში ყველაზე მნიშვნელოვანის არდავინწყებაზე გვაფიქრებს.
- ▶ Aryasb Feiz-ის ანიმაცია **ბატონი განურჩევლობა** (Mr Indifferent, 2.45 წთ.) სამ წუთზე ნაკლებ დროში ინდიფერენტულობის შედეგებზე გვიყვება.
- ▶ Jacob Frey-ის ანიმაცია **საჩუქარი** (The Present, 4.18 წთ.) გვეუბნება, რომ არასდროს არ უნდა დავნებდეთ, მაშინაც კი, როცა საშველი არსაიდან ჩანს და ცხოვრება ერთ დიდ ტანჯვად გვეჩვენება.

ცხადია, ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ უთვალავი რესურსისა, რომლის გამოყენება პირისპირ თუ დისტანციური სწავლება/სწავლის დროს მზამზარეულად შეგვიძლია. ცხადია, თითოეულ რესურსთან მიწერილი განმარტებები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის სწორედ მოცემული საკითხის/ების ახსნისას გამოვიყენოთ. ამგვარი რესურსების მთავარი ხიბლი სწორედ ის არის, რომ როგორი პერსპექტივითაც გსურს, იმ პერსპექტივით დაანახებ და საფიქრალს აღუძრავ ადამიანს. უფრო მთავარი კი ის არის, რომ ამ რესურსებით თავისუფლად შეიძლება ჩანაცვლდეს ჩვენი ვრცელი მონოლოგები მნიშვნელოვან საკითხებზე.

P.S. ალბათ, ამგვარი რესურსების გამოყენებისას ისიც მთავარია, რომ ჩვენი ქცევა ჩვენს სიტყვებს არ ეწინააღმდეგებოდეს.





პირველი ნიშნები

სასწავლო პროცესი და სკოლის მართვა დისტანციურ რეჟიმში

ახალმა რეალობამ და იძულებით, მთლიანად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, ცხადია, ბევრი პრობლემა წარმოქმნა, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებლობებიც გაჩინა. უპირველეს ყოვლისა, ფასდაუდებელია ის გამოცდილება, რაც პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მთლიანად სისტემამ მიიღო ამ პერიოდში ტექნოლოგიების გამოყენების, სწავლების ალტერნატიული ფორმების და მეთოდების შესახებ. ალბათ, წლები იქნებოდა საჭირო ტექნოლოგიების მიმართულებით იმ ცოდნის მისაღებად, რაც მასწავლებლებმა შეძლეს უმოკლეს პერიოდში. ბევრმა ახალი შესაძლებლობებიც კი აღმოაჩინა საკუთარ თავში. აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პროცესში მარტივია ტექნოლოგიების ჩართვა, პრეზენტაციების, სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენება და თვალსაჩინოებების მოსწავლეებისთვის ჩვენება/გაზიარება, რაც ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში ძალისხმევას მოითხოვს.

ტრადიციული გაკვეთილი და საკლასო ოთახი, გარდა სწავლა-სწავლების პროცესისა, თავის თავში მოიცავს სოციალურ ელემენტებს, ემოციების გაცვლას, ურთიერთობებს, თვალთშეშვას თუ შეუმჩნეველ პროცესებს. ეს ყველაფერი მოზარდებისთვის დამატებითი მამოტივირებელი ფაქტორია და ამ ფაქტორის გადმოტანა ონლაინ სივრცეში ძალიან ძნელია. შედეგად, მოსწავლეებისთვის ონლაინ გაკვეთილები ზოგჯერ დამღლელი და უინტერესო ხდება. ამის კომპენსირება, გარკვეულწილად, სხვადასხვა ტექნოლოგიური

შესაძლებლობით და გაკვეთილების კარგი დაგეგმვით შეიძლება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ სწავლების არსებული პლატფორმები არ არის საკმარისად დახვეწილი და ბოლომდე ვერ პასუხობენ გამონვევას, სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ყველა მხარის საჭიროებებს (აღბათ, ეს პერიოდი იქნება ახალი შესაძლებლობა, რათა ამ მიმართულებითაც მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები). მაგალითად, მასწავლებლებს უჭირთ საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესების მთლიანობაში აღქმა, ამის გამო, მოსწავლეების ნაწილი ზოგჯერ ყურადღების მიღმაც კი რჩება. მასწავლებლების დიდი ნაწილი კარგად იაზრებს და გაცილებით მეტ ენერჯიას ხარჯავს გაკვეთილების მზადების პროცესში. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ტრადიციულ გაკვეთილებთან შედარებით, ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემებია. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დაწყებით კლასებში, სადაც მასწავლებელი ჩვეულებრივ სიტუაციაში თითოეული მოსწავლის მდგომარეობას კარგად შეიცნობს. მოსწავლეები მიჩვეულები არიან მასწავლებლებისგან სხეულისა და უესტების ენას. მაღალია ემოციური კავშირი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის და ამ დროს, მხოლოდ ხმით და შეზღუდული ვიზუალური კავშირით, ცხადია, საკლასო ოთახის დანაკლისის სრული კომპენსაცია ვერ მოხდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე წარმოშობილი პრობლემების შემდეგ, პატარებმა მაღალ კლასელებზე გაცილებით სწრაფად შეძლეს ახალ ვითარებასთან ადაპტაცია და ამას ხელი შეუწყო მშობლების ჩართულობის გაზრდა. რაღაც ფორმით სკოლა შევიდა სახლებში და მშობლები იქცნენ გაკვეთილების აქტიურ მონაწილეებად. მშობლების როლი და გავლენა, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, სასწავლო პროცესში თვალსაჩინო გახდა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. კერძოდ, მშობლებისთვის უფრო ცხადი გახდა მასწავლებლების საქმიანობის სირთულე და ამან მასწავლებლის შრომის მეტად დაფასებას შეუწყო ხელი. მშობლების მაღალი დაინტერესება საგაკვეთილო პროცესისადმი გადამდებია მოსწავლეებზეც. მასწავლებლები კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტი ყურადღებით არიან, რომ არ დარჩეს არცერთი მოსწავლე ყურადღების მიღმა. ცხადია, მშობელთა ჩართულობის ამ ფორმას ზოგჯერ უარყოფითი მხარეებიც ახლავს. კერძოდ, ზოგიერთ მშობელს სურს, მხოლოდ მისი შვილი იყოს ყურადღების ცენტრში. ამ უჩვეულო სიტუაციაში მასწავლებელთა ნაწილმა არაკომფორტულად იგრძნო თავი და ეს დამატებით სტრესულ ფაქტორადაც კი იქცა.

სერიოზულ პრობლემად ონლაინ სწავლებისთვის მოსწავლეთა ქცევის მართვა, პროცესის დემოკრატიულად მართვა და პასუხისმგებლობის განაწილება იქცა. თუ სოციალურ ქსელებს გადავავლებთ თვალს, მასწავლებლების დიდი ნაწილი დახმარებას სწორედ ამ მიმართულებით ითხოვს - მოსწავლეებს არ ჰქონდეთ წვდომა კლასის მართვის ინსტრუმენტებზე. როგორცაა: მიკროფონი, ეკრანის გაზიარება და ზარის წამოწყების ფუნქცია, შეხვედრის მონაწილის გაძევების ფუნქცია და ასე შემდეგ. მოსწავლეებში ახალი ქცევის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას დრო სჭირდება და ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ამის დრო ნამდვილად არ იყო. ცხადია, მასწავლებლებს უნდა გაუგოთ, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაინაწილოს პასუხისმგებლობა ქცევისა და დისციპლინის მართვაზე. მოსწავლისთვის საკუთარი მიკროფონის მართვაზე უფლების წართმევა ძალიან ნააგავს სიტუაციას, როცა საკლასო ოთახში მოსწავლეს „პირი უნდა აუკრათ“ იმ მოტივით, რომ მან უადგილოდ არ დაიწყოს საუბარი და ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესს. შესაბამისად, მომავალში უნდა ვეცადოთ მოსწავლეებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების არა შეზღუდვას, არამედ, უნდა შევძლოთ კლასის მართვა იმ პირობებში, როცა მოსწავლეებს ეს ფუნქციები შეზღუდული არ აქვთ. თუმცა, საფიქრალია, რომ გარდამავალ ეტაპზე მასწავლებელს ჰქონდეს ამ ფუნქციების მარტივად მართვის შესაძლებლობა და დროთა განმავლობაში უფრო ნაკლებად გამოიყენოს მოსწავლეთა მსგავსი შეზღუდვა.

ახალ რეალობაში განსხვავებულია სკოლის მართვის პროცესიც. რეალურ სივრცეში სკოლის

ყველა პედაგოგმა, დირექციის წევრმა იცოდა, სად, როდის, რომელ კლასებში ტარდებოდა გაკვეთილები, სასწავლო-საგაკვეთილო პროცესი იყო ხელშესახები. დირექტორს შეეძლო დაენახა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, როგორც მთლიანობაში, ასევე კონკრეტულ საკლასო ოთახში. დასვენებებზე მასწავლებლები სამასწავლებლოში დღის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას და ემოციებს უცვლიდნენ ერთმანეთს. საჭიროების შემთხვევაში განიხილავდნენ კონკრეტული მოსწავლის პრობლემებს. ეხმარებოდნენ და მხარდაჭერას უცხადებდნენ ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი ეს, ერთი ხელის მოსმით, გაქრა. მასწავლებლები სრულიად მარტო აღმოჩნდნენ საკუთარ კლასთან. სკოლების ორგანიზაციული მთლიანობა საფრთხის წინაშე დადგა. ცალკეულ შემთხვევაში, სკოლის დირექტორების ნაწილმა ამ გამოწვევას იმით უპასუხა, რომ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაემატა თითოეულ ვირტუალურ კლასს. ზოგი უფრო შორს წავიდა და კათედრის წარმომადგენლებიც დაემატა ვირტუალურ კლასებს. ამით დირექტორებს მიეცათ საშუალება, დაენახათ ცალკეულ კლასებში მიმდინარე პროცესები და საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდნენ მასწავლებლებს, რათა დროული რეაგირება მოეხდინათ წარმოქმნილ პრობლემებზე. ეს საკითხი შეიძლება განსჯის საგანი იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა სკოლას საშუალებას მისცემს, გამოიყენოს ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი ძლიერი მხარე და ერთობლივი ძალისხმევით გაუმკლავდეს გამოწვევებს. ახალი რეალობა, პრობლემებთან ერთად, მრავალ შესაძლებლობას იძლევა. მინდა ამის შესახებ ჩემი გამოცდილებაც გაგიზიაროთ. მაგალითად: გაცილებით მარტივია მასწავლებლების ურთიერთმხარდაჭერა და თანამშრომლობა. კერძოდ, შეგვიძლია ის მასწავლებლები, რომლებიც ტექნოლოგიებს კარგად ფლობენ, ვირტუალურ კლასებში დავანყვილოთ იმ მასწავლებლებთან, რომლებსაც ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემები აქვთ. სკოლა ერთიანი ორგანიზაციაა და ახალ გამოწვევას უნდა უპასუხოს იმ ძლიერი მხარეებით, რაც ორგანიზაციას გააჩნია. ესაა პრობლემებთან ერთად და თანამშრომლობით გამკლავება, პროცესების ანალიზი, მიზნებისა და გეგმების ჩამოყალიბება, შედეგების გაანალიზება, შესაბამისი ცვლილებების გეგმის დასახვა და ინტერვენციების განხორციელება, თანამშრომლების მოტივირება, აღიარება და მხარდაჭერა. ახალი რეალობა უნდა გამოვიყენოთ როგორც შესაძლებლობა. სკოლა არ უნდა გახდეს გათითოკაცებული, მიზნის და მისიის არმქონე ქაოსური წარმონაქმნი. სკოლას შეუძლია, კიდევ უფრო ეფექტიანი გახადოს მშობლების ჩართულობა მათგან მიღებული უკუკავშირის მეშვეობით. ამისთვის, აქტიურად შეგვიძლია, გამოვიყენოთ მშობლებთან ონლაინ შეხვედრები და გამოკითხვის ელექტრონული ფორმები. მოსწავლეების საჭიროებების კვლევაც მარტივად შეგვიძლია ელექტრონული კითხვარის მეშვეობით.

პროფესიული განვითარება

- ▶ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები გაცილებით ფართოა ონლაინ სწავლების პირობებში. კერძოდ, მარტივად შეიძლება მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება ვირტუალურ მინი-კონფერენციებზე, რომლის მოწყობაც ძალიან მარტივია პრეზენტატორის მიერ ეკრანის გაზიარებით, ხოლო დანარჩენმა მასწავლებლებმა მოსწავლეების როლში იგრძნონ თავი და ამით უკეთ გაარკვიონ, რამდენად ხელსაყრელია ესა თუ ის მეთოდი, თუ ტექნოლოგიური გადაწყვეტა მოსწავლეებისთვის. მინდა ვთქვა, რომ ეს პრაქტიკა უკვე გამოვიყენე ჩვენს სკოლაში. ონლაინ სწავლებაზე გადასვლისთანავე სკოლაში ყოველდღე 9 საათზე ვაკეთებდით სასწავლო დღის შეჯამებას. ვუზიარებდით პრობლემებს და ვსახავდით მათი გადაჭრის გზებს. მასწავლებლებს ხშირად ვუზიარებდი ეკრანს, რათა მეჩვენებინა ამა თუ იმ პრობლემის ტექნიკურად გადაწყვეტის გზები, შეძენილ გამოცდილებას

აზიარებდნენ მასწავლებლებიც. შემდეგ ვიფიქრეთ, ხომ არ აჯობებდა, ცალკე დღე დაგვეთმო კონკრეტული მასწავლებლის პრეზენტაციისთვის, სადაც პედაგოგი დანარჩენებს აჩვენებდა მეთოდებს, ტექნოლოგიურ საშუალებებს, საიტებს, ბმულებს და მასალებს, რასაც მიაგნო და წარმატებით იყენებს. თავიდან მეგონა, რომ ამ პროცესში მხოლოდ მასწავლებლების ნაწილი მიიღებდა მონაწილეობას. თუმცა, თანდათან მთელი კოლექტივი ჩაერთო პროცესში. როგორც აღმოჩნდა, მასწავლებლები არასტანდარტულ სიტუაციაში მეტ შემოქმედებითობას იჩენენ და ბევრი სიახლე გააცნეს კოლეგებს. მომავლში შესაძლებელია, დისტანციურად გავეცნოთ სხვა სკოლების და წარმატებული მასწავლებლების გამოცდილებას. პროფესიული განვითარების კუთხით სხვა მრავალი შესაძლებლობა გაჩნდა. მაგალითად:

- ▶ ელექტრონულ სივრცეში მარტივია გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვის პროცესი, ურთიერთდასწრება, საკუთარი გაკვეთილის ჩანაწერის გაკეთება და მოგვიანებით ანალიზი დამოუკიდებლად, კოლეგასთან ან კათედრის წევრების წინაშე.
- ▶ აქვე შესაძლებელია ერთი მასწავლებლის მიერ შექმნილი დავალება თუ რესურსი გაზიარებული, გამოყენებული და ადაპტირებულ იქნას სხვა მასწავლებლების მიერ. შეიძლება შევქმნათ შეფასების რუბრიკების და ტესტების საზიარო ბანკი, არაფერს ვამბობ სასწავლო კურსებზე, რომლებსაც მასწავლებლები ქმნიან.
- ▶ ვფიქრობ, ამ ეტაპზე, სკოლებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა რეალური სკოლის სტრუქტურის გადატანა ვირტუალურ სივრცეში. ამისთვის ძალიან კარგი საშუალებაა ვირტუალური კლასები.
- ▶ ჩვენ შეგვიძლია, ვირტუალური კლასი შევქმნათ სკოლის ნებისმიერი საჭიროების რეალიზაციისთვის. მაგალითად: შევქმნათ ვირტუალური სამასწავლებლო, ვირტუალური კათედრები, დამრიგებლების ვირტუალური კლასები. ვირტუალური სამეურვეო საბჭო, ვირტუალური ბუღალტერია და ა. შ.
- ▶ ვირტუალურ კლასებში შევქმნათ საზიარო საქალაქო დღეები, საზიარო ფაილები, რომელზეც დისტანციურად ვიმუშავებთ და იმავე სივრცეში გვექნება დისტანციური კომუნიკაციის საშუალება. ვირტუალური კლასების მეშვეობით ორგანიზაციის ხელმძღვანელს საშუალება აქვს, გამოიყენოს ძალიან მოსახერხებელი ინსტრუმენტები კომუნიკაციის, ინფორმაციის შეგროვების, მხარდაჭერისა და მონიტორინგის, პროფესიული განვითარებისთვის და დისტანციურ რეჟიმში მუშაობის ორგანიზებისთვის.
- ▶ აქ მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორის, როგორც ლიდერის როლი და უნდა აღინიშნოს, რომ სულაც არ არის აუცილებელი, სკოლის დირექტორი ძალიან კარგად ფლობდეს ტექნოლოგიებს. მთავარია, მან იცოდეს სისტემის შესაძლებლობები და სკოლის წინაშე მდგარი ამოცანები, ხოლო ტექნიკურად შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელიმე მასწავლებელი ან მოსწავლე, რომელიც ტექნოლოგიებს კარგად ფლობს. მთავარია, დირექტორმა სწორად დასვას ამოცანები. ჩემი აზრით, სკოლის დირექტორი იმავე სისტემას და ინტერფეისს უნდა იყენებდეს მასწავლებლებთან, რასაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში.

ინფორმაციული ნაკადების მართვა, სასკოლო სტანდარტების შემუშავება

ახალ სიტუაციაში აგრეთვე მნიშვნელოვანია ინფორმაციული ნაკადების მართვა. სკოლა, მასწავლებლები მრავალ ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა წყაროებიდან, განსაკუთრებით სოციალური ქსელებიდან ეცნობიან რეკომენდაციებს თუ მითითებებს. ზოგჯერ მოძველებული ინფორმაცია, საკანონმდებლო აქტი ვრცელდება როგორც ახალი და აქტუალური. ბუნებრივია, ყველა ადამიანი რეკომენდაციებსა და მითითებებს განსხვავებულად იღებს ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას უკეთებს. აქაც მნიშვნელოვანია:

- ▶ სკოლამ ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ფართო კონსენსუსის საფუძველზე დააღაგოს, გაფილტროს და შეიმუშავოს საერთო პოზიცია. გარდა ამისა, ბევრი მიმართულებით არ არსებობს სტანდარტები.
- ▶ მაგალითად: რა რაოდენობის და ხანგრძლივობის ონლაინ ჩართვები გვქონდეს? რა ტიპის დავალებები მივცეთ? როგორ გამოვიყენოთ ოპტიმალურად ელექტრონულ სივრცეში არსებული რესურსები? იგივე ტელესკოლის ბმულები და ასე შემდეგ. აქაც მნიშვნელოვანი იქნება საერთო პოზიციების შეჯერება, სკოლის მინიმალური სტანდარტების შემუშავება. ცხადია, ეს არ უნდა მოხდეს მასწავლებლების შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე.




ორგანიზაციული მხარეების მოგვარება

ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალი, გაკვეთილების ელექტრონული განრიგი, ელექტრონული კალენდარი და სხვა, ერთი მხივ, სკოლაში მიმდინარე პროცესების ორგანიზებაში და მართვაში, ასევე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადანყვეტილებების მიღებაში გვეხმარება. მეორე მხრივ, გაკვეთილები მოსწავლეთა წარმოდგენებში ტრადიციული გაკვეთილების ისეთ ატრიბუტებთანაც ასოცირდება, რომლებსაც მოსწავლეები მიჩვეული იყვნენ აქამდე.

სავარაუდოდ, მომავალში ბევრი სიახლე, რაც ამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში იქნა გამოყენებული, მომავალშიც სასარგებლო იქნება. არ დაიკარგება ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა დააგროვა ამ სიტუაციაში. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, მომავალში უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ელექტრონული ინსტრუმენტები. მაგალითად, დავალებების დიდი ნაწილი მოსწავლეებს ელექტრონულ ფორმატში მისცენ. ტრადიციულ გაკვეთილებთან ერთად, ხშირად გამოიყენონ დისტანციური ჩართვები, უკვე შექმნილი რესურსები და ელექტრონული კურსები. ხშირი იქნება, ალბათ, მასწავლებლების დისტანციური შეხვედრები, ვებინარები და კონფერენციები. მთავარია, შევინარჩუნოთ, უზრუნველვყოთ ამ ახალი რეალობით მიღებული შედეგების მდგრადობა.





თამთა როლიძე

დისტანციური სწავლების გამოწვევები გაკვეთილზე და როგორ გავართვათ მათ თავი

უკვე ორი თვეა, რაც საგანმანათლებლო პროცესებმა სახლის კედლებში გადაინაცვლა. ქართულ სკოლას დისტანციურ ფორმატში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვა სასკოლო საზოგადოებისთვის საუკუნის გამოწვევად იქცა.

განათლების სამინისტროს რეკომენდაციის მიხედვით, სკოლის ყველაზე პრიორიტეტულ ამოცანად მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტიანი პროფესიული ურთიერთობის შენარჩუნება, ცოდნათა გამეორება-განმტკიცება და საგანმანათლებლო გამოცდილების შესაძლებლობის ფარგლებში გამდიდრება რჩება. ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოსწავლეებისთვის საჭირო სასწავლო მომსახურების მიწოდების უსაფრთხო გზების გამონახვა.

ბუნებრივია, დისტანციური ფორმატი ვერ ჩაანაცვლებს სასკოლო დღის ჩვეულ რეჟიმს, რადგან მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია სტანდარტული საგაკვეთილო სტრუქტურით ვერ წარიმართება. აქედან გამომდინარე, შეიზღუდა საგაკვეთილო დრო და წარმოიქმნა დილემათა მთელი ჯაჭვი, რომელთა გადაჭრასაც გარკვეული გამოცდილება, დრო და ძალისხმევა სჭირდება.

სასწავლო მოტივაციის შექმნა ურთულესი ამოცანაა შინ სწავლის პირობებში.

გარეგანი მოტივაციისა (განმსაზღვრელი შეფასება) თუ სხვა წამახალისებელი აქტივობების გარეშე დარჩენილი მოსწავლის სახეცვლილ სასწავლო პროცესში ჩართვა არც თუ ისე ადვილია. მშობელს არ აქვს მასწავლებლის ფუნქციის შეთავსების ვალდებულება, ბავშვს კი ოჯახში ყურადღების მობილიზება ორმაგად უძნელდება და ყველა შესაძლო ხერხს მიმართავს მეცადინეობის თავიდან ასარიდებლად.

რატომ უნდა დაინტერესდეს ონლაინ გაკვეთილზე მოსწავლე ჩემი დავალებით? აი, რა კითხვა უნდა დავუსვათ საკუთარ თავს დისტანციური დავალების დაგეგმვის პროცესში. დაგვჭირდება ერთგვარი დავალება-კაუჭები, რომლის დახმარებითაც მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტერესით ჩართვას შევძლებთ. ამას გარდა, ბავშვები შეძლებისდაგვარად უნდა დავაკავოთ ისეთი საქმიანობით, რომელიც აკადემიური მიზნების მიღწევას სახლის პირობებშიც ხელმისაწვდომს გახდის. დავალებები მაქსიმალურად უნდა მოვარგოთ ოთხ კედელში გამოკეტილი მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს (რა შეუძლიათ დამოუკიდებლად, რა ტექნიკური საშუალებით, რესურსით არიან აღჭურვილნი და ა.შ.). ამას გარდა, დისტანციურ შეხვედრებზე მოსწავლეებს ახალი გამოცდილების გაზიარების საშუალება თუ მიეცემათ, ეს მათი ჩართულობის ხარისხს გაზრდის და სასწავლო პროცესსაც გამოაცოცხლებს.


თავიდან მოსწავლეთა დაინტერესება ძალიან გამიჭირდა. პოზიტიური ვიდეო ინსტრუქციების, სამოტივაციო თვალსაჩინოების თუ დეტალურად განერილი სამოქმედო გეგმის მიუხედავად, მოსწავლეთა დისტანციურ დავალებებში ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალი იყო.

როგორ გადავჭერთ ეს პრობლემა? ერთ-ერთი ძალიან საჭირო ადამიანური თვისების-ცნობისმოყვარეობის დახმარებით. კეთებით სწავლების, კვლევისა თუ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით, მოსწავლეთა საცხოვრებელი გარემო საკვლევ საგნად და სასწავლო რესურსად ვაქციეთ. ამას გარდა, შევეცადეთ, რომ სასწავლო აქტივობების უმეტესობა რეალური (ბუნებრივად არსებული თუ ხელოვნურად შექმნილი) საჭიროებებისთვის დაგვეკავშირებინა.

რაც შეეხება უშუალოდ მასწავლებლის „სამზარეულოს“, პირველ გამოწვევად **დისტანციური დავალების დაგეგმვას** დავასახელებდი.

ადრე როგორ ვგეგმავდით გაკვეთილს?-ვარჩევდით სასწავლო თემას, ვისახავდით მიზნებს, ვინიშნავდით გაკვეთილის ფაზების შესაბამის აქტივობებსა თუ რესურსს, საჭიროებისამებრ, ვქმნიდით ან ვიმარაგებდით საგაკვეთილო მასალებს და ფიზიკურ გარემოსაც საგაკვეთილო მიზნის შესაბამისად ვანწყობდით... რაც შეეხება დავალებას, იგი უმეტესად გაკვეთილზე შესრულებული სამუშაოს, ანუ ახალი ცოდნისა თუ უნარის ინდივიდუალურად განმტკიცებას ემსახურებოდა.

და რა ხდება ახლა?-ვცდილობთ გაკვეთილის საშინაო დავალებებში ჩაშენებას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის როლი ახლა გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეს აღარ აქვს იმ დოზის აკადემიური მხარდაჭერა, რასაც სკოლაში მისგან იღებდა. ამიტომაც, თითოეულ დავალებას თან უნდა გაყვე ვიდეო ან აუდიო ინსტრუქციის სახით, სადაც თანმიმდევრულ ნაბიჯებად ჩაშლი შესასრულებელი სამუშაოს ყველა დეტალს, გზავნილს გაამდიდრებ თვალსაჩინოებით, მისაღები დავალების ნიმუშებით და ა.შ.



შემდეგი გამოწვევა თავად **საკავეთილო პროცესი** გახლავთ. საკლასო ოთახებში მასწავლებლის მდებარეობა, მისი მოძრაობის სიხშირე და ტრაექტორია, მერხების განლაგება, გამოყენებული რესურსები და ა.შ. მოსწავლეთა საჭიროებასა და გაკვეთილის მიზანს მაქსიმალურად იყო მორგებული და გაკვეთილის მიმდინარეობაც გაცილებით დინამიკური და მრავალფეროვანი (საკლასო, ჯგუფური, წყვილები, ინდივიდუალური) გახლდათ.

რა ხდება ახლა? - დისტანციური გაკვეთილი მაგონებს ყოველ წუთს სხვადასხვა ოთახში თვალდახუჭულ სირბილს, რადგან მათ რომც უყურებდე, მაინც ვერ ხედავ. არ იცი, რა ხდება მათ საშინაო-საკლასო ოთახებში, როცა შენ ახალ საკითხს განმარტავ, კითხვებს სვამ ან ვარაუდის გამოთქმას ითხოვ. მთავარი დილემაც ესაა - კლასი აღარაა ერთიანი სივრცე, გუნდი... თითქოს ბავშვები წინ გისხედან, ხედავ და გესმის მათი, მაგრამ ამ ვირტუალური ფანჯრების მიღმა იმდენივე ოჯახი ფეთქავს, რამდენი მოსწავლევც ესწრება გაკვეთილს. ამას გარდა, მრავალშვილიან თუ პატარა სახლის მქონე ოჯახებს ბავშვებისთვის იზოლირებული სამეცადინო სივრცის გამოყოფა უჭირთ და რა გასაკვირია, თუ მათ აბსტრაქტულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოტყუებას ვერ ვახერხებთ?!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებელი არა მარტო აკადემიური, ეთიკური გამოწვევის წინაშეც დგება.

განსხვავებულ ფორმატში უწევდა თანამშრომლობა „მოსწავლე-მშობელი-მასწავლებელი“ ჯაჭვის თითოეულ წევრს. დღეს კი სამივე რგოლი ერთ სივრცეში მოხვდა. ამას გარდა, დაწყებით საფეხურზე მშობელთა ნაწილს სხვადასხვა მიზეზით მასწავლებლის ფუნქციის შეთავსებაც უწევს, რასაც დადებით მხარესთან ერთად უარყოფითი შედეგებიც ახლავს.

განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, მშობლებს არ უნდა შევუქმნათ დამატებითი სირთულეები. ისინი უნდა დავამშვიდოთ და ავუხსნათ, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მიმდინარე დისტანციური სწავლება არსებითად მხარდაჭერაზეა ორიენტირებული... ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ მიერ დასმულ კითხვებს, დროულად მივანოდოთ უკუკავშირი და ნათლად ავუხსნათ, როგორი ფორმით ვმუშაობთ მათ შვილებთან.

როგორც ხედავთ, ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, თუმცა სასკოლო საზოგადოების მხრიდან - დიდი ძალისხმევა, მშობლებისგან კი თანამშრომლობის სურვილია საჭირო. ძალიან დაგეხმარებათ მათთან ინდივიდუალურად დაკავშირება, რეალური საჭიროების რაც შეიძლება ეფექტურად, დელიკატურად წარმოჩენა, მშობლის როლის მკაფიოდ განსაზღვრა, მათი ჩართულობის მნიშვნელობის ხაზგასმა და ა.შ. თუმცა ზემოაღნიშნულ პროცესებში უმჯობესია, მასწავლებელი სასკოლო გუნდთან (ფსიქოლოგი, დამრიგებელი, ადმინისტრაციის წევრი და სხვ.) თანამშრომლობის შედეგად დასახული სტრატეგიული გეგმით მოქმედებდეს.

ონლაინ ჩართვების დროს, მასწავლებელი კიდევ ერთი ურთულესი გამოწვევის წინაშე დადგა. როგორ უნდა შეძლო **ახალი ცოდნის გადაცემა** შემცირებული და სახეცვლილი გაკვეთილების ფონზე?!

ეს ყველაფერი თავიდან შეუძლებლად მეჩვენებოდა. თუმცა მე და ჩემს კოლეგებს მიზნის მიღწევაში საკმაოდ მრავალფეროვანი და ახალ გამოწვევებს მაქსიმალურად მორგებული ერთ-ერთი აკადემიური პლატფორმა დაგვეხმარა. მასში ფაქტობრივად, მთელი სკოლა გადავანწყვეთ, ანუ გავაციფრულეთ: შევქმენით კლასები და შევარჩიეთ დისტანციური დავალებების ფორმატი, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობი ყველა შესაძლო ფორმით (პრეზენტაცია, ფურცელი ჩანაწერებისთვის, ფოტოს, ხმოვანი და ვიდეო გზავნილის ატვირთვის ფუნქციები და სხვ.) დავალებების აწყობას, გაგზავნას, შესრულებული სამუშაოს მიღებას და

მასზე უკუკავშირის მიწოდებას უზრუნველყოფდა. მსგავსი „გაჭეტები“ მრავლად მოიძებნება ციფრულ სამყაროში, მთავარია, სწორად შეარჩიო შენი სკოლის მიზნისა და ინტერესების შესაბამისი „იარაღი“ და მისი ეფექტურად მართვა ისწავლო. ამას გარდა, ონლაინ ჩართვებს მოსწავლეთა მცირე ჯგუფებთან წარვმართავთ, რაც თითოეული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას, ახალი ცოდნის ეფექტურად გადაცემა-განმტკიცებას და ქცევის მართვას მნიშვნელოვნად აადვილებს.

კიდევ ერთ გამოწვევად მოვიაზრებ **ემოციურ ფაქტორს**, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას ან პირიქით - უკონტროლოს ხდის. ამის მიზეზი შეიძლება ბავშვის შინაგანი განწყობა ან ინდივიდუალური ბუნება იყოს. განვიხილოთ მოსწავლის მაგალითი, რომელიც ჩუმად იჯდა გაკვეთილზე ან სხვადასხვა მიზეზით უჭირდა საგაკვეთილო პროცესში მიზნობრივად ჩართვა. იგი მაქსიმალურად ეცდებოდა, გაექცეს სასწავლო გარემოს, რომელიც მისთვის ორმაგად არასასურველი გახდა. რაც შეეხება გადაჭარბებულ ჩართულობას, მოცემულ შემთხვევაში მას უმეტესად კომუნიკაციის სიმწირე განაპირობებს. მსგავს შემთხვევაში სასურველია, მოსწავლეს სხვადასხვა გზით დაუკმაყოფილოთ „სოციალური შიმშილი“. ინერტულ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციისას კი კომპლექსური მიდგომაა (ინდივიდუალური კონტაქტი, მშობლის „გადმობრუნება“, მეტი მხარდაჭერა დავალების შესრულებისას, შესასრულებელი სამუშაოს პრობლემის შესაბამისად გამარტივება და სხვ.) საჭირო.

დისტანციური სწავლებისას ერთ-ერთ გამოწვევას **მიღწეული შედეგების გაზომვა** წარმოადგენს. კლასის, საგნის და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება.

ურთიერთგაზიარებისა და ჯგუფური მუშაობის დეფიციტის გარკვეულწილად მოგვარება შესაძლებელია, თუმცა დამატებით ადამიანურ და ტექნიკურ რესურსს საჭიროებს. დისტანციური შეხვედრების ნაწილი შეგვიძლია, დავუთმოთ მოსწავლეთა მიერ მართულ მინი-პრეზენტაციებს. ამას გარდა, თუ სკოლას შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა აქვს, შეუძლია, შექმნას ერთგვარი ონლაინ სივრცე (საიტი, ბლოგი), რომელზე წვდომაც მხოლოდ სასკოლო საზოგადოებას ექნება და მოსწავლეები ერთმანეთს ახალ ნამუშევრებსა თუ გამოცდილებას გაუზიარებენ. რაც შეეხება ჯგუფურ სამუშაოს, მოსწავლეთა მცირე ჯგუფების დაკავშირებისთვის შეგვიძლია, გამოვიყენოთ საგნობრივი შეხვედრებისთვის შერჩეული უსაფრთხო „საკლასო ოთახი“. შეხვედრების დრო და ხანგრძლივობა შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. ჩემი აზრით, მსგავსი ინიციატივები პოზიტიურად იმოქმედებს მოსწავლეთა ჩართულობაზე და ურთიერთსწავლების, თვითგამოხატვისა და გაზიარების პრობლემას ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე მზად არ აღმოჩნდა დისტანციური სწავლა-სწავლების თანხლებ გამოწვევებთან გასამკლავებლად, საშინაო სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან პლატფორმად იქცა. რაც მთავარია, ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიოსთვის ისევ პრიორიტეტულ საკითხად რჩება განათლება, რომლის დახმარებითაც ადამიანი ამ ახალ გამოცდილებაშიც განვითარების შემდგომ საფეხურად აქცევს.





ბისა თვალაბიჯი

დისტანციური სწავლების კადიროსკოპი

პანდემიის გამო, სასწავლო პროცესმა მთელ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც, ფორმა და ადგილი შეიცვალა. საცხოვრებელი სახლები უცებ სასწავლო სივრცეებად იქცა, რადგან პირისპირ სწავლება დისტანციურმა, „შორით“ სწავლებამ ჩაანაცვლა.

სახელმწიფომ გასცა რეკომენდაციები, რომ სკოლები დისტანციურ სწავლებაზე უნდა გადასულიყვნენ. ქართველმა მასწავლებლებმა შეუძლებელი შეძლეს და მოახერხეს ასეთი სწავლებისთვის ალღო აეღოთ. მათ მოკლე დროში აითვისეს სხვადასხვა სასწავლო პლატფორმა, სწრაფად მოახერხეს მოსწავლეთა უმრავლესობის მობილიზება და ჩართვა სასწავლო პროცესში. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი კარგად გამოგვიდის. რასაც ჩვენ ვახერხებთ, დისტანციური სწავლების მცდელობაა, თუმცა ასეთი ფორსმაჟორული სიტუაციისთვის, ეს იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე განათლების სისტემა ჩვენგან ელოდა. ვცდილობთ, ვასწავლოთ მოსწავლეებს, პარალელურ რეჟიმში ვსწავლობთ ჩვენც. თან ისე და იმგვარად, რომ მოსწავლის და მისი ოჯახის წევრების მოლოდინები გავამართლოთ. დამერწმუნეთ, ეს არც ისე მარტივია.

მშობლებთან კომუნიკაცია

მოსწავლეებთან კარგი კომუნიკაციის პირდაპირი გზა მშობელია. ამიტომ, შორით სწავლებაზე გადასვლისთვის აუცილებელია მშობელთა დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა. გამოსავალი მარტივია-მშობელთა ონლაინ შეხვედრა. აუცილებელია, მშობლებთან შეხვედრა კარგად იყოს განერილი და ორგანიზებული. მიზნები და საკითხები მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სავარაუდო კითხვებზეც გვქონდეს მზა პასუხები. მშობელმა უნდა

დაინახოს ჩვენი მონდომება, რათა თავადაც იგრძნოს პასუხისმგებლობა. რადგან შემოთავაზებული ონლაინ სასწავლო პლატფორმები ყველა მსმენელთან ხილული კონტაქტის საშუალებას არ იძლევა, მასალის საპრეზენტაციო ფორმატში აწყობა კარგი გამოსავალია, სადაც დეტალურად იქნება განერილი ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები. მასალაში შეიძლება, მიმოვიხილოთ დისტანციური სწავლების მეთოდები, სტრატეგიები თუ თითოეული ჩვენგანის მოვალეობები. ონლაინ შეხვედრის შემდეგ, გარკვეულწილად, ყველა აცნობიერებს ვალდებულებებს.



სასურველია, მშობლებთან ონლაინ შეხვედრებს სისტემატური ხასიათი ჰქონდეს. ეს საშუალებას მოგვცემს, უზრუნველვყოთ მშობელთა ჩართულობა და დაინტერესება. სასწავლო პროცესზე დადებითად აისახება მშობლებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია, საუბრები უშუალოდ შვილის მონდომებასა თუ ჩართულობის პრობლემებზე. მხედველობის მიღმა არ უნდა დაგვრჩეს შეუსრულებელი დავალება თუ ონლაინ გაკვეთილის გაცდენა. აუცილებელია, გავარკვიოთ თითოეულის მიზეზი.

ელექტრონული კითხვარები

სასწავლო პროცესზე დადებითად აისახება მშობელთა მიერ ანონიმური ელექტრონული კითხვარების (<http://forms.office.com/>) შევსება. ამ ტიპის კითხვარით შეგვიძლია გავიგოთ, რა სურს მშობელს, არის თუ არა სწავლებით კმაყოფილი, ხომ არ ფიქრობს, რომ დავალებები მისი შვილისთვის რთულია. ეს კი პედაგოგს საშუალებას მისცემს, ცვლილება შეიტანოს და უკეთესი გახადოს სასწავლო პროცესი.

საკაკვეთილო დრო

მოსწავლეებთან ონლაინ შეხვედრისას საკაკვეთილო დროის მართვა გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. მასწავლებელმა გაკვეთილი ისე უნდა დაგეგმოს, რომ 20-30 წუთში ტექნიკის გამართვაც მოასწროს, რესურსის ატვირთვა, ჩვენებაც, დავალებათა განხილვა, ახალი მასალის ახსნა, მოსწავლეთა ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასება და შეჯამებაც, თან ისე, რომ პოზიტივი და მოსწავლეთა მოტივაცია არ დაიკარგოს. დამიჯერეთ, რთულზე რთულია! მით უმეტეს მაშინ, როცა ახალბედა „ონლაინ მასწავლებელი“ ხარ.



გაკვეთილის დანების წინ სასურველია, მოსწავლეებს ხშირად შევახსენოთ საკლასო წესები, რათა თავიდან ავიცილოთ ხმაური.

მეთოდები და სტრატეგიები

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა მხოლოდ ერთი მეთოდით შეუძლებელია. პედაგოგი სხვადასხვა მეთოდს იყენებს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ამით კარგ შედეგამდეც მიდიან. ასეთი მიდგომა შორით სწავლების დროსაც გასათვალისწინებელია.

მარკირების მეთოდი

სირთულეს შეიძლება წავანყდეთ ქართული ენის სწავლებისას, როდესაც საჭიროა გარკვეული მოცულობის ტექსტების დამუშავება, ჩაღრმავება, სემანტიკური გაშიფვრა და გააზრება.

დანყებითი კლასის მოსწავლეები სწავლების ისეთ ეტაპზე არიან, როცა მასწავლებელი მათ კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას ცდილობს. ამიტომ, ყველაზე მეტად ისინი საჭიროებენ ტექსტზე მუშაობის დეტალურად ახსნა-განმარტების მაგალითებს.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში დანყებითი საფეხურის ქართული ენის სტანდარტში კითხვის მიმართულებით წერია:

“

მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

”

ამის მაგალითი კი, რა თქმა უნდა, მასწავლებელმა უნდა მისცეს, რაც ოცნუთიან გაკვეთილზე საკმაოდ რთულია. ამიტომ, დროის დაზოგვის მიზნით, გაკვეთილზე მარკირების მეთოდის გამოყენება როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლეებისთვის ხელსაყრელია.

ელექტრონული ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა ფერის ჩასხმით სასურველ სიტყვებს თუ წინადადებებს მარკირება გავუკეთოთ. შექმენით ტექსტ-მარკერის ფერების პალიტრა და ყოველ ფერს გარკვეული ფუნქცია მიანიჭეთ.

არჩევანი თქვენზეა. გთავაზობთ ფერადი მარკირების ერთ-ერთ ვარიანტს:

ციისფერი - „დააკვირდი, როგორ იწერება!“

ყვითელი - „უცნაური სიტყვა, სალექსიკონო, შევეცადოთ განვმარტოთ“

იისფერი - „შედგენილი, დასამახსოვრებელი, ლამაზი სიტყვა“

მწვანე - „ტექსტის მთავარი აზრი, მიაქციე ყურადღება!“

ფერების დახმარებით შეიძლება ასახსნელი ტექსტის მარკირება. ეკრანის გაზიარებით ნაკითხეთ ბავშვებს ტექსტი ან თავად წაუკითხეთ. ინსტრუქციის მიწოდების შემდეგ, კითხვის პროცესში მოსწავლემ უკვე იცის თითოეული ფერის დანიშნულება და ცდილობს, გაითვალისწინოს მინიშნებები.


ტექსტ-მარკერის გამოყენებით, თქვენ შეძლებთ ონლაინ გაკვეთილის ისედაც მცირე დროის დაზოგვას, ტექსტის ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობასაც და მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებასაც.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

ბუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში შესწავლილი მასალის შემოწმებისთვის საგაკვეთილო დროს დაზოგავთ, თუ შექმნით მინი-ტესტს, რომელმაც შეიძლება მოიცვას საგაკვეთილო დროის ბოლო 3-4 წუთი, მასში წარმოდგენილი იქნება გავლილი თემის მთავარი პოსტულატები და მოგცემთ საშუალებას, მოკლე დროში შეამოწმოთ ვრცელი მასალის ათვისების დონე (<http://forms.office.com/>).

დემონსტრირების მეთოდი

ასევე კარგი საშუალებაა საინფორმაციო ტექსტების საპრეზენტაციო მასალაში ისე აწყობა, რომ თვალსაჩინო მასალა ვერბალურ ახსნას და მის განმტკიცებას ემსახურობდეს. ასევე აუცილებელია, ახლდეს თანდართული სავარჯიშოები და კითხვები, რაც დაშენებული იქნება უკვე ათვისებულ მასალაზე. ეს კი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის დინამიკურ რეჟიმში მსვლელობას, მოსწავლეთა ინტერაქციას, ჩართულობასა და დისკუსიას:



საგაკვეთილო პროცესის შემდეგ კი შეგიძლიათ, საპრეზენტაციო მასალას რომელიმე გამოჩენილი კომპოზიტორის მშვიდი მუსიკაც დაადოთ, ვიდეოდ აქციოთ და ისე გაუგზავნოთ მოსწავლეებს. ასეთი მასალა ძალიან მოსწონთ აუდიალ მოსწავლეებს. (https://www.youtube.com/watch?v=Qz2v6Tk_zuw&t=43s).

ელექტრონული (კონკრეტულად მედია რესურსებით) სწავლება

მოსწავლეები კარგად სწავლობენ ანიმაციების და ვიდეო-ფილმების დახმარებით, თუმცა საგაკვეთილო პროცესისთვის უნდა შევარჩიოთ ან შევქმნათ მოკლე, 3-5 წუთიანი ვიდეორგოლი. ასეთი სასწავლო ვიდეორგოლი ადვილად აღქმადია ბავშვებისთვის და ყურადღებაც ნაკლებად ეფანტებათ. ვრცელი ვიდეო რესურსების ყურება შეგიძლიათ

ოჯახის წევრებთან ერთად შესთავაზოთ, ამით ოჯახის წევრთა ჩართულობასაც შეუწყობთ ხელს. მაგრამ აუცილებელია, გაითვალისწინოთ თემატიკა და წინასწარ გაუზიაროთ საორიენტაციო კითხვები მთავარ საკითხზე ფოკუსირებისთვის.

გარდა ამისა, ნებისმიერი მედია რესურსის შეთავაზებისას, სასურველია, პედაგოგმა რესურსი განიხილოს კითხვების დახმარებით, ამით ის მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი

დისტანციური სწავლებისას ასევე შესაძლებელია ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა და სწორად წარმართვა, თუმცა უშუალოდ ონლაინ გაკვეთილზე ეს გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, ისევ და ისევ, დროის სიმცირის გამო. ამიტომ უმჯობესია, მასწავლებელმა თავად განეროს ჯგუფური მუშაობის წესები, ჩამოწეროს თემები, დააკომპლექტოს ჯგუფები. ამის შემდეგ კი შექმნას ე. წ. ჩათ-ჯგუფები და მიუთითოს თემები ოფლაინ შესასრულებლად. მუშაობის პროცესს კი გაუწიოს მეთვალყურეობა და მცირე ფასილიტაცია წარდგენამდე, ანუ შემდგომ ონლაინ გაკვეთილამდე. დავალებას ბავშვები შესანიშნავად, ინტერესითა და ხალისით გაართმევენ თავს, დიდი მონდომებითაც წარადგენენ კლასის წინაშე. სამუშაოს დასრულების შემდეგ კი მოტივაციის ასამაღლებლად შეიძლება გადასცეთ მადლობის სიგელი თანამშრომლობისთვის და გუნდურობისთვის. იგივე პრინციპით შეიძლება დაიგეგმოს პროექტებით სწავლებაც.

საშინაო დავალება:

- ინტერნეტის დახმარებით, ვებგვერდი ინფორმაციის დაკვლევა ტერმინოლოგიის და მასში არსებულ ცხოველურსა თუ მცენარეულზე.
- გაუზიარე მეგობარს შენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია.
- მიიღებელი მასალის შექმნით ერთი საპრეზენტაციო მასალა **POWER POINT**-ის დახმარებით.
- გადანიშნული სლიდები სასაბურთო და შემდეგ გაკვეთილზე გააკეთე პრეზენტაცია.



მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- სლიდის რაოდენობა ოცდურჯობის ვარდია არ უნდა აღემატებოდეს 10 ს;
- ტექსტი ერთი სლიდისთვის არ უნდა იყოს მეტი, დაახლოებით 3-4 წინადადება;
- ყოველ სლიდს თან უნდა ახლდეს ილუსტრაცია;
- ოცდურჯობაზე ავიღებოდა უნდა ეცნოს თვის სათაური და უკუთხის წერტვის სიტყვები;
- სლიდი შეეშას კუთვიდან ერთი წარმომადგენელმა;
- შექმნილი სლიდი ჩვენს წარდგენაზე ავიღებოდა აქვენი ჯგუფის წევრებს, და კითხვი, რაზე შეწყობრებას ხარ არ შეუტანდებო.





ასინქრონული დავალებები

ოფლაინ დავალებები, ე. წ. საშინაო დავალებები დიდ ყურადღებას მოითხოვს მოსწავლეების და მასწავლებლების მხრიდან. მოსწავლეებს ფაქტობრივად, მინიმალური მითითებებისა და რჩევების საფუძველზე უნევთ მათი შესრულება. მასწავლებელს კი სათითაოდ უნევს ყველა გამოგზავნილი დავალების ნაკითხვა, გამიფვრა, კონსტრუქციული უკუკავშირის მოფიქრება, დაწერა და გადაგზავნა. საქმე მარტივადაა, თუ დავალება

იდეალურადაა შესრულებული. მაგრამ, თუ ნაშრომში გარკვეული რაოდენობის შეცდომებს ვაწყდებით, აუცილებელია განმავითარებელი შეფასების ზედმინევენით განწერა და გადაგზავნა. ამ ყველაფრის კომპიუტერის კლავიატურაზე აკრეფა და მიწოდება ნამდვილად რთულია, როცა ამის გაკეთება დღეში 70-80-ჯერ გიხდება. თუმცა, საქმეს აიოლებს და დავალების მეტად მიმოხილვის საშუალებას იძლევა პირად მიმონერებში უკუკავშირის ხმოვან შეტყობინებად გადაგზავნა.

მოტივაცია / წახალისება

სიტუაციიდან გამომდინარე, მასწავლებელს მოსწავლეთა მოტივაციისთვის შეუძლია, გამოიყენოს სიგელები და სამკერდე ნიშნები. მსგავსი აქტივობები ბევრ ქვეყანაშია პოპულარული, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი. თემატური სამკერდე ნიშნის დამზადება უმარტივესი პროცედურაა <https://badge-design/> პროგრამაში, სადაც პედაგოგი სასურველი დიზაინითა და თემით შეძლებს ჯილდოს დამზადებას.



მოსწავლეთა წახალისებისთვის და მშობელთა დაინტერესებისთვის, ასევე აუცილებელია საერთო თემის ირგვლივ ნამუშევართა შეკრება და ნებართვის საფუძველზე, მათი გასაჯაროება ვიდეოკოლაჟის შექმნით, კლიპის დამზადებით თუ ვირტუალური გამოფენის საშუალებით (<https://www.artsteps.com/>). აღიარება და ნამუშევრის დაფასება ყველა ასაკის ადამიანისთვის წამახალისებელია.

ამ ყველაფერთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს მოსწავლეები, რომლებიც სასწავლო პროცესებს მიღმა დარჩნენ, რომელთაც არ აქვთ საკმარისი რესურსი თუ ხელშეწყობა შორით სწავლებაში აქტიურად ჩასართავად. ასეთი ბავშვებისთვის ერთადერთი გამოსავალია, თვალ-ყური ადევნონ „ტელესკოლის“ გაკვეთილებს, აქტიურად შეასრულონ ტელე-პედაგოგების დავალებები. ამ პროცესში მათი ჩართულობა აქტიურად უნდა აკონტროლონ მშობლებმა და მასწავლებლებმა ინტენსიური სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით.

დისტანციურმა სწავლებამ ბევრი რამ სხვაგვარად დაგვანახა. გადავაფასეთ მდგომარეობა და შესაძლებლობები როგორც ჩვენ, პედაგოგებმა, ასევე მოსწავლეებმა, მშობლებმა, განათლების სფეროთი დაინტერესებულმა ადამიანებმა. ამის შესახებ ბევრი ითქვა, ბევრი დაინერა, ბევრიც იწერება და დაინერება, საკითხის კვლევა და განხილვა გრძელდება, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია-საგანმანათლებლო სივრცე საქართველოში ისეთი აღარ იქნება, როგორიც იყო.



მანანა ბოჭორიშვილი

დისტანციური სწავლება. პრაქტიკული რეკომენდაციები მზიარეკონსტრუქციული სკოლის მასწავლებლებისთვის

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო დისტანციური სწავლება აქტუალურია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ამის შესახებ ბევრი ინფორმაცია საერთაშორისო პრესაში. გამოჩნდა თემატური სტატიები სამეცნიერო ლიტერატურაში და ცალსახად იკვეთება, რომ არც ერთი ქვეყანა არ აღმოჩნდა იდეალურად მზად ამ სიტუაციისთვის.

განათლების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ბევრ ქვეყანაში გაჩნდა პედაგოგთა თვითორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც დაეხმარნენ ერთმანეთს პრობლემების დაძლევაში: ერთმანეთს გაუზიარეს მათ მიერ შექმნილი ელექტრონული სასწავლო რესურსები; ერთმანეთისთვის ჩაწერეს ვიდეო ინსტრუქციები - როგორ გამოიყენონ ესა თუ ის პლატფორმა, როგორ შექმნან სასწავლო რესურსები სხვადასხვა პროგრამაში და ა. შ. ყველა ქვეყანა იბრძვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის და ქმნის ახალ შესაძლებლობებს სკოლის მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის.



ასეთივე პროცესები წარიმართა საქართველოში.

- ▶ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომელიც ასწავლის რეგიონის მცირეკონტინგენტიან სკოლაში?
- ▶ რამდენად არის მისთვის და მისი მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი დისტანციური სწავლების ის პლატფორმები და პროგრამები, რომლებიც საქართველოს სინამდვილეში წარმატებით გამოიყენება დიდ ქალაქებში?
- ▶ პრობლემების წინაშე დარჩენილმა მასწავლებელმა როგორ გაზარდოს მოსწავლეების სწავლების ხარისხი?

ამ კითხვებზე პასუხისთვის ისევ ჩვენი მასწავლებლების გამოცდილების და იმ რეალობის გათვალისწინებაა საჭირო, რომლის წინაშეც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩნდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, სკოლები და მშობლები.

გამოვყოთ რამდენიმე სეგმენტი, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- 1 მასწავლებელმა შეძლოს თავისი თემატური გეგმის რეალისტური გადანაცვლება;
- 2 ახალი თემატური გეგმის შესრულებისთვის ყველა ხელმისაწვდომი შესაძლებლობის გამოყენება;
- 3 მოსწავლესთან კომუნიკაციის ყველა შესაძლებლობის გამოყენება;
- 4 მოსწავლის და მისი ოჯახის ემოციური მხარდაჭერა.

შეუძლებელია, ვისაუბროთ რაღაც ცალსახა, ზოგად რეკომენდაციებზე, რადგან არსებული კონტექსტი სხვადასხვა ვარიაციებს გულისხმობს და დისტანციური სწავლების ფორმატიც განსხვავებულია.

სასკოლო ასაკის ბავშვებთან, სკოლის მოსწავლეებთან მიმართებაში შესაძლოა, განვიხილოთ ტიპური ვარიანტები:

- 1 მოსწავლეს აქვს ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერთან ხელმისაწვდომობა;
- 2 მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერთან ხელმისაწვდომობა;
- 3 მოსწავლეს აქვს ინტერნეტში ჩართულ ტელეფონთან ხელმისაწვდომობა;
- 4 მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტში ჩართულ ტელეფონთან ხელმისაწვდომობა;
- 5 მოსწავლეს აქვს ტელეფონზე ხელმისაწვდომობა;
- 6 მოსწავლეს არ აქვს ტელეფონზე ხელმისაწვდომობა;
- 7 მოსწავლეს აქვს ტელესკოლის გაკვეთილებზე ხელმისაწვდომობა;
- 8 მოსწავლეს არ აქვს ტელესკოლის გაკვეთილებზე ხელმისაწვდომობა.



სკოლის მასწავლებლებთან მიმართებაში კი შეგვიძლია, განვიხილოთ შემდეგი მოცემულობა ვარიანტების სახით:

- 1 მასწავლებელს აქვს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი;
- 2 მასწავლებელს აქვს ინტერნეტში ჩართული ტელეფონი;
- 3 მასწავლებელს აქვს ტელეფონი;
- 4 მასწავლებელს არ აქვს ტელეფონი.

საქართველოს რეალობაში გვაქვს ასეთი მოცემულობა:

| | მასწავლებელს აქვს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი | მასწავლებელს აქვს ინტერნეტში ჩართული ტელეფონი | მასწავლებელს აქვს ტელეფონი |
|--|---|---|----------------------------|
| მოსწავლეს აქვს ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერთან ხელმისაწვდომობა | მოცემულობა 1 | მოცემულობა 9 | მოცემულობა16 |
| მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერთან ხელმისაწვდომობა | მოცემულობა 2 | მოცემულობა10 | მოცემულობა17 |
| მოსწავლეს აქვს ინტერნეტში ჩართულ ტელეფონთან ხელმისაწვდომობა | მოცემულობა 3 | მოცემულობა11 | მოცემულობა18 |
| მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტში ჩართულ ტელეფონთან ხელმისაწვდომობა | მოცემულობა 4 | მოცემულობა12 | მოცემულობა19 |
| მოსწავლეს აქვს ტელეფონზე ხელმისაწვდომობა | მოცემულობა 5 | მოცემულობა13 | მოცემულობა20 |
| მოსწავლეს არ აქვს ტელეფონზე ხელმისაწვდომობა | მოცემულობა 6 | | მოცემულობა 21 |
| ბავშვს აქვს ტელესკოლის გაკვეთილების ნახვის შესაძლებლობა | მოცემულობა 7 | მოცემულობა14 | მოცემულობა22 |
| ბავშვს არ აქვს ტელესკოლის გაკვეთილების ნახვის შესაძლებლობა | მოცემულობა 8 | მოცემულობა15 | მოცემულობა23 |

თუმცა შესაძლებელია, განვიხილოთ მათი კომბინაციებიც, რაც მოცემულობათა რაოდენობას გაზრდის.

გთავაზობთ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მეტნაკლებად ითვალისწინებენ ზემოთ აღწერილი სიტუაციების მოცემულობებს და რეალურად დაეხმარებიან მცირეკონტინგენტიანი სკოლების მასწავლებლებს სასწავლო პროცესის დისტანციურ წარმართვაში.

შემთხვევა პირველი-დისტანციური სწავლებისას მასწავლებელს აქვს ხარისხიან ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა, მაგრამ მის მოსწავლეებს არ აქვთ შესაძლებლობა, დაესწრონ პედაგოგის მიერ ორგანიზებულ ვიდეო გაკვეთილებს.

რეკომენდაცია-ეს მოცემულობა შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, მუდმივად გაეცნოს იმ საქმიანობას, რასაც მისი კოლეგები ეწევიან. დაეუფლოს სხვადასხვა პლატფორმებს, პროგრამებს, გაეცნოს იმ ელექტრონულ რესურსებს, რომლებსაც მისი კოლეგები ქმნიან. თვითონაც შექმნას ასეთივე რესურსები და ასე იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე. მოსწავლეებისთვის კი, შეუძლია, დისტანციური სწავლების სხვადასხვა აქტივობები გამოიყენოს.

მაგალითები ქართული რეალობიდან-საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის სოფლის სკოლის მასწავლებელთა ნაწილმა ინტერნეტ სივრცეში არსებული შესაძლებლობები გამოიყენა, შეისწავლა სხვადასხვა პლატფორმები და პროგრამები, მოისმინა ვებინარები და შექმნა სასწავლო ელექტრონული რესურსები „სხვისი მოსწავლეებისთვის“, რადგან მათ მოსწავლეებს ინტერნეტთან ტექნიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა არ აქვთ.

შემთხვევა მეორე-ტიპურია შემთხვევები, როდესაც მასწავლებელს და მოსწავლეს აქვს ინტერნეტში ჩართული ტელეფონების ხელმისაწვდომობა, მაგრამ მოსწავლის ტელეფონს დაბალი სიხშირის ინტერნეტის გამო, არ შეუძლია, ჩაერთოს რომელიმე პლატფორმით მიმდინარე ვიდეო გაკვეთილებს.

რეკომენდაცია-ეს მოცემულობა შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, ჰქონდეს მოსწავლესთან აქტიური კომუნიკაცია:

მშობლის **ფეისბუქის** პირადი გზავნილის ველში გაუგზავნოს დავალება მოსწავლეს-მიიღოს შესრულებული დავალების ფოტო;

მშობლის ელექტრონულ ფოსტაზე გააგზავნოს დავალება მოსწავლისთვის და ამ ფორმითვე მიიღოს შესრულებული დავალება და დაუბრუნოს უკუკავშირი;

მოსწავლეს მესენჯერით გაუგზავნოს დავალება და მისი შესრულების დაწვრილებითი **ფოტოინსტრუქცია**, მესენჯერითვე მიიღოს შესრულებული დავალება და განახორციელოს უკუკავშირი;

თუ მოსწავლეს უჭირს დავალების შესრულება, გაამარტივოს დავალება და მისცეს არჩევანის საშუალება, 3-4 ალტერნატივიდან შეასრულოს ერთი ან ორი;

თუ მოსწავლეს, ამასთან ერთად, აქვს ტელესკოლის გაკვეთილებზე ხელმისაწვდომობა, მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეს ტელესკოლის გაკვეთილების შესრულებული დავალებების ფოტოები გამოუგზავნოს ელექტრონული ფოსტის ან მესენჯერის საშუალებით;

მასწავლებელს შეუძლია, ინტერნეტში სხვადასხვა სანდო საიტებზე განთავსებულ სავარჯიშოებს გადაუღოს ფოტოები და ისიც გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

რამდენიმე მაგალითი ქართული რეალობიდან 1.მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც მცირეკონტინგენტიან სკოლაში ასწავლის, თავის ოთხ მეცხრეკლასელ მოსწავლეს, ტელეფონით რამდენიმეწუთიან ინსტრუქციას აცნობს-ტრანპორტირის, თოკის, ფანქრის და პატარა ქვის ან გირის გამოყენებით, როგორ დაამზადონ ხელსაწყო კლინომეტრი და ავალებს, ამ ხელსაწყოს გამოყენებით გამოთვალონ საკუთარ ეზოში ყველაზე მაღალი ხის სიმაღლე. 2.ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო ექსპერიმენტის ფოტოინსტრუქციას უგზავნის. სთხოვს, აიღონ ორი კარტოფილი, ერთი უმი, მეორე მოხარშული, გაუკეთონ ღრმულები ფოტოს მიხედვით, ეს ღრმულები ამოავსონ მარილით, დაალაგონ თეფშზე და დააკვირდნენ, რა მოხდება. გამოიტანონ დასკვნა უმი და მოხარშული კარტოფილის მაგალითზე ოსმოსთან მიმართებაში.

შემთხვევა მესამე-დისტანციური სწავლება, როდესაც მოსწავლის ოჯახს არ აქვს ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა (მოსწავლის ოჯახს არ აქვს ტელეფონისთვის ინტერნეტპაკეტის შეძენის საშუალება ან ტელეფონი არის იმდენად ძველი მოძველი, რომ ამის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება).

რეკომენდაცია-მასწავლებელს ეს მოცემულობა შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს მოსწავლესთან შემდეგი სახის ინტერაქტივი:

მასწავლებელმა „ახალი ცხრილის“ შესაბამისად განახორციელოს ხელმისაწვდომ ტელეფონზე სატელეფონო ზარი და 5-10 წუთის განმავლობაში: ა) კონსულტაცია გაუწიოს მოსწავლეს და დაეხმაროს საპროგრამო საკითხის აღქმაში; ბ) მისცეს შესასრულებელი დავალება; გ) მოისმინოს მოსწავლის მოსაზრება შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით; დ) მოისმინოს მოსწავლის კომენტარი.

მოსწავლეებს გაუგზავნოს სმს შეტყობინება და მიაწოდოს ინფორმაცია, როდის ექნება სატელეფონო კონსულტაციის საშუალება.

როდესაც მასწავლებელი და მოსწავლე ერთ სოფელში, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით ცხოვრობენ, მასწავლებელს შეუძლია დისტანციური სწავლების უძველესი (დისტანციური სწავლება სათავეს იღებს 1728 წლიდან) მეთოდის გამოყენებით, ჰიგიენის წესების სრული დაცვით გაუგზავნოს წერილობითი ინსტრუქცია მოსწავლეს და ასევე მიიღოს მის მიერ შესრულებული დავალების რვეული, რომელსაც გადახედავს და 2-3 კვირაში ერთხელ დაუბრუნებს პოზიტიურ უკუკავშირს.

რამდენიმე მაგალითი ქართული რეალობიდან: ა) ერთ-ერთი სოფლის სკოლის ქართულის მასწავლებელი სთხოვს თავის მეექვსეკლასელ მოსწავლეს, წაიკითხოს მოთხრობა, რომელიც წიგნის 65-67 გვერდებზეა და მისწეროს წერილი მოთხრობის იმ პერსონაჟს, რომელიც არ მოეწონა, ურჩიოს, როგორ გამოსწორდეს. ბ) მაღალმთიანი სოფლის სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი წერილობით სთხოვს თავის მეცხრეკლასელ მოსწავლეს, მშობლების დახმარებით, მიგრაციის თემაზე შემდეგი სამუშაო შეასრულოს: გაიხსენონ ამბები თითქმის დაცლილი სოფლის შესახებ და შეგროვებული ინფორმაცია შეიტანონ ოთხსვეტიან ცხრილში 1. ქვეყნიდან წასული პირი; 2. ასაკი; 3. წასვლის მიზეზი; 4. ქვეყანა, სადაც წავიდა პიროვნება და ამ დავალების შესრულების შემდეგ წაიკითხოს პარაგრაფი - მიგრაცია.

შემთხვევა მეოთხე-დისტანციური სწავლება, როდესაც მოსწავლის ოჯახს არ აქვს ტელეფონი, მაგრამ ტელესკოლაზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელია.

რეკომენდაცია-მასწავლებელს ეს მოცემულობა შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს მოსწავლესთან შემდეგი სახის ინტერაქტივი:

როდესაც მასწავლებელი და მოსწავლე ერთ სოფელში, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით ცხოვრობენ, მასწავლებელს შეუძლია დისტანციური სწავლების უძველესი მეთოდის გამოყენებით, ჰიგიენის წესების სრული დაცვით, მოსწავლეს გაუგზავნოს წერილობითი ინსტრუქცია თხოვნით: მოუსმინოს ტელესკოლის გაკვეთილებს, შეასრულოს დავალებები და 2 კვირაში ერთხელ დავალების რვეული გაუგზავნოს მასწავლებელს. რვეულში მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას გადახედოს მასწავლებელმა, დაუბრუნოს პოზიტიური უკუკავშირი და ჰიგიენური წესების დაცვით გაუგზავნოს „მეზობლად“ მცხოვრებ მოსწავლეს.

მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეს, უყუროს ტელესკოლის გაკვეთილებს და აწარმოოს დღიურის ტიპის ჩანაწერები, ანუ აღრიცხოს, როდის, რა გაკვეთილებს დაესწრო და გამოყოს, გაკვეთილზე რა იყო მთავარი.

რამდენიმე მაგალითი ქართული რეალობიდან-ქართულის მასწავლებელი სთხოვს მეშვიდეკლასელ მოსწავლეს უყუროს ტელესკოლის გაკვეთილს და შეასრულოს დავალება. გაკვეთილზე ნათია მასწავლებელი შეეხო ბესიკ ხარანაულის პოეზიას. განიხილა ერთ-ერთი ლექსი და დავალებად მისცა მოსწავლეებს, დაეხატათ ლექსის სტრიქონი „ლექსები გულის მარათა, რომლითაც ცეცხლს ვინელებთ...“

ბიოლოგიის მასწავლებელი-სთხოვს თავის მეშვიდეკლასელ მოსწავლეს, უყუროს ბიოლოგიის გაკვეთილს და შეასრულოს დავალება. ნატო მასწავლებელმა ტელესკოლის გაკვეთილი დაასრულა დავალებით-შეადგინე სქემა, რომლითაც გამოხატავ თევზებთან შედარებით, ამფიბიების ორგანოთა სისტემის გართულებას.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელი-სთხოვს თავის მეშვიდეკლასელ

მოსწავლეს, უყუროს სამოქალაქო განათლების გაკვეთილს და შეასრულოს დავალება. გიორგი მასწავლებელმა ტელესკოლის გაკვეთილი დაასრულა დავალებით-ჩამონერეთ, რა პრობლემებია თქვენს სკოლაში, აღწერეთ და დაასაბუთეთ თითოეულის გადაჭრის გზა.

შემთხვევა მეხუთე-დისტანციური სწავლება, როდესაც მოსწავლის ოჯახს არ აქვს არც ინტერნეტის, არც ტელეფონის და არც სატელევიზიო მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა. ასეთი მოსწავლეები მონყვლად ოჯახებში ცხოვრობენ.

რეკომენდაცია-ეს მოცემულობა მასწავლებელს მწირ შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს მოსწავლესთან ინტერაქცია. ამ შემთხვევაში, მხოლოდ წერილობითი კომუნიკაციაა შესაძლებელი.

რამდენიმე მაგალითი ქართული რეალობიდან-1. დაწყებითი კლასების მასწავლებელმა თავისი ორი მოსწავლისთვის სპეციალურად შეადგინა ინტერაქტიური დღიური. რვეულში გამოყო მასწავლებლის და მოსწავლის გვერდები. მოსწავლემ მასწავლებლის გვერდის და სახელმძღვანელოდან შესაბამისი მასალის გამოყენებით უნდა შეავსოს თავისი გვერდი. 2. ბიოლოგიის მასწავლებელმა სოფლის რწმუნებულის დახმარებით მეცხრეკლასელ მოსწავლეს წერილი, ფერადი ფანქრები და თაბახის ფურცლები გაუგზავნა. წერილით სთხოვა, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, გადახედოს სახელმძღვანელოს ოთხ პარაგრაფს, მითითებული სქემები გადახატოს თაბახის ფურცლებზე და აქციოს პლაკატებად. დავალების გაგზავნისთვის იგივე გზა გამოიყენოს, რაც მასწავლებელმა გამოიყენა.


მცირეკონტინგენტის სკოლების პედაგოგები, გამომდინარე იქედან, თუ რომელ რეგიონში, თემში, სოფელში (გასათვალისწინებელია სოფლის სტატუსი, სიღარიბის მაჩვენებელი, დაბერების მაჩვენებელი და ა.შ.) არსებულ სკოლაში ასწავლიან, სხვადასხვა მოცემულობაში იმყოფებიან და მათ თამამად უნდა მიიღონ კონტექსტის შესაბამისი გადაწყვეტილებები, მიმართონ „იმპროვიზაციებს“, გახდნენ „ცვლილებების აგენტები“. ამით ისინი შეძლებენ, გაზარდონ საკუთარი მოსწავლეების განათლების ხელმისაწვდომობა.

გამოყენებული ლიტერატურა

<http://mastsavlebeli.ge/?p=25189>

<http://mastsavlebeli.ge/?p=25364>

<https://moderndiplomacy.eu/2020/05/04/the-covid-19-pandemic-changes-global-dynamics-in-education/?fbclid=IwAR2e1reG9fIBkg1Fv34Irj2aoB8IfJhUbxIx-Vs96K0ZgFUz8wUigEX4zRM>





წინმოღაბანყყავა

ონლაინ სწავლების დაღებითი მხარეები და გამონწვევები განათლების დაწყებით საფეხურზე ფონსმაჟორუდ სიტუაციაში


მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა სკოლა, მასწავლებელი და მოსწავლე ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდა. აღნიშნული გამონწვევა გარკვეული სიახლე აღმოჩნდა როგორც უფროსებისთვის, ისე პატარებისთვის. აღნიშნული ვითარება უკვე დაახლოებით ორი თვეა გრძელდება და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ამ ხნის განმავლობაში მასწავლებლებმა თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომა გასწიეს, რომ პატარები სასკოლო განათლებას არ ჩამოცილებოდნენ. ამასთანავე, საჭირო გახდა მიმდინარე პროცესის, გამოვლენილი მიგნებებისა თუ გამონწვევების შესწავლა, სამომავლოდ პროცესის გაუმჯობესებისა თუ პროფესიული პრაქტიკის რეფლექსიის მიზნით.

ამიტომ, მიზნად დავისახეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ონლაინ სწავლების დაღებითი მხარეებისა და გამონწვევების შესწავლა. გადავწყვიტეთ, კვლევაში მონაწილეობა მიეღოთ განათლების დაწყებითი საფეხურის პედაგოგებსა და უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მშობლებს. აგრეთვე, ჩავწერეთ ინტერვიუ რამდენიმე მეორეკლასელ მოსწავლესთან.

კვლევის პირველ ეტაპზე შევიმუშავეთ თვითადმინისტრირებადი კითხვარები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის და ჩავატარეთ ონლაინ გამოკითხვა.


კვლევაში მონაწილეობა მიიღო განათლების დანეებითი საფეხურის 147-მა მასწავლებელმა და 227-მა მშობელმა.

დემოგრაფიული მონაცემები



მასწავლებლები. დიაგრამა N1.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, კვლევაში მონაწილე მასწავლებლების ყველაზე დიდი ნაწილი თბილისიდან იყო (70), შემდეგ იმერეთიდან (20), სამეგრელო - ზემო სვანეთიდან და აჭარიდან (12), შიდა ქართლი (8), ქვემო ქართლი, მცხეთა - მთიანეთი -(7), გურია -(6), სამცხე ჯავახეთი -(3), კახეთი - (2).



მშობლები. დიაგრამა 2

გამოკითხული მშობლებიდან ყველაზე მეტი იყო აჭარიდან - (90), შემდეგ თბილისიდან (75), შიდა ქართლიდან (28), კახეთი (11), სამცხე-ჯავახეთი (10), იმერეთი (7), ქვემო ქართლი (4), გურია - (2).

გამოკითხული მასწავლებლებიდან 115 მასწავლებელი (78,2%) დასაქმებულია საჯარო სკოლაში, 29 (19,7%) კერძო სკოლაში, ხოლო სამი მასწავლებელი ორივე ტიპის სკოლაში მუშაობს.


გამოკითხული მშობლებიდან 184-ს (81.1%) შვილი დაჰყავს საჯარო სკოლაში, ხოლო 43-ს (18.9%) კერძო სკოლაში.

დისტანციური სწავლების დადებითი მხარეებისა და გამოწვევების შესახებ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს უმეტესად საჯარო სკოლებში დასაქმებულმა მასწავლებლებმა და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა.

გამოკითხული მშობლებიდან 42 (18.5 %) რესპონდენტის შვილი პირველ კლასში

სწავლობს, 68 (30%) რესპონდენტის - II კლასში, III კლასელი შვილი ჰყავს 35 (15.4%) რესპონდენტს, IV კლასელი - 32 (14.1%-ს), V კლასელი - 53 (23,3%-ს) , VI კლასელი - 43 (18.9%) რესპონდენტს.


საგნები, რომელშიც ტარდება ონლაინ გაკვეთილები გამოკითხული მასწავლებლები ონლაინ გაკვეთილებს ატარებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა საგანში.



დიაგრამა 3.

ონლაინ გაკვეთილების ხანგრძლივობა

ონლაინ გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი რესპონდენტი 43 (29,3%) აღნიშნავს, რომ გაკვეთილი 30 წუთი გრძელდება, გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ დიაგრამაზე 4.



დიაგრამა 4.



მართალია, კვლევის ნაკლოვანებად შეგვიძლია, ჩავთვალოთ ის, რომ კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რეგიონის, სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები, რამაც განსხვავებული შედეგები მოგვცა გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. მასწავლებლების და მშობლების ყველაზე მეტი რაოდენობა აღნიშნავს, რომ გაკვეთილები 30 წუთს გრძელდება, რაც მისასაღმებელია, მაგრამ როგორც დიაგრამიდან ჩანს, გაკვეთილები 45 წუთსაც გრძელდება. რაც ვფიქრობთ, დაწყებითი კლასების მოსწავლეების შემთხვევაში, სწავლების ფორმატის გათვალისწინებით, შესაძლოა, დამლღელი აღმოჩნდეს.

ონლაინ გაკვეთილებზე დასწრება

ონლაინ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების შესახებ მასწავლებლებისგან მივიღეთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

გამოკითხული მასწავლებლებიდან 10 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მის გაკვეთილებს ყველა მოსწავლე სისტემატურად ესწრება. 54 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მის გაკვეთილებს სისტემატურად მოსწავლეთა 99-90 % ესწრება; 46 რესპონდენტი გვანოდეხს ინფორმაციას, რომ გაკვეთილებს მისი მოსწავლეების 89 - 70% ესწრება, 21 რესპონდენტი გვპასუხობს, რომ სისტემატურად ესწრება 69- 50 %, მხოლოდ 10 მასწავლებელი აღნიშნავს, რომ გაკვეთილს სისტემატურად 50% -ზე ნაკლები მოსწავლე ესწრება.

ტექნიკის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების მშობლების მხრიდან მივიღეთ შემდეგი პასუხები:

221 (97,4%) მშობელი აღნიშნავს, რომ მის შვილს ტექნიკაზე ხელი მიუწვდება, ხოლო 6 მშობელი (2.6%) აღნიშნავს, რომ ბავშვს ტექნიკაზე ხელი არ მიუწვდება.


კითხვაზე, თუ რა საშუალებებით ერთვებიან ბავშვები ონლაინ გაკვეთილებში, 102 მშობელი (44.9%) აღნიშნავს, რომ ბავშვი ხან კომპიუტერით და ხან ტელეფონით ერთვება, 45 მშობელი (19.8%) აღნიშნავს, რომ ჩართვა ხდება მხოლოდ მობილური ტელეფონით, 80 მშობელი (35,2%) აღნიშნავს, რომ ბავშვი გაკვეთილში ერთვება კომპიუტერის საშუალებით.

198 მშობელი (87,2%) აღნიშნავს, რომ სახლში ინტერნეტი გამართულად მუშაობს, ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემის არსებობაზე 29 მშობელი (12.8%) მიუთითებს.

ონლაინ გაკვეთილებზე არდასწრების მიზეზები

კითხვაზე, თუ რა მიზეზით არ ესწრებიან ბავშვები ონლაინ გაკვეთილებს, მასწავლებლების მხრიდან მივიღეთ შემდეგი პასუხები მივიღეთ:

- ▶ ინტერნეტის არქონა-65 (44,2);
- ▶ დაბალი სიჩქარის ინტერნეტი-73 რესპონდენტი (49,7%);
- ▶ ტექნიკის არქონა ოჯახში-37 (25,2%);
- ▶ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის არქონა-39 (26,2%).



აგრეთვე, 30 პასუხი სხვადასხვა ინფორმაციას გვანვდის მოსწავლეთა გაკვეთილებზე არდასწრების მიზეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, მშობელი დაკავებულია და ვერ ახერხებს ბავშვის დახმარებას, ელექტროენერჯის გათიშვა, ბავშვები, მშობლები ვერ ახერხებენ შესაბამისი პროგრამის გადმოწერას, ბავშვის დილით ჩაძინება, გაკვეთილის დროის დავინწყება, დროებით გადასვლა სხვა ნათესავებთან, გაკვეთილის მიმართ ინტერესის არქონა, ბავშვის სიზარმაცე.


ბავშვების მხრიდან ონლაინ გაკვეთილებზე არდასწრებას, მშობლებიც ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემებით ხსნიან. მიღებული პასუხებიდან 39 % სწორედ დაბალი სიხშირის ინტერნეტს, გაუმართავ ტექნიკას ან ზოგჯერ პროგრამულ ხარვეზს ეხება. ამასთანავე, მშობელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ გაკვეთილზე ბავშვების სიმრავლის გამო, მასწავლებლის კითხვას მოსწავლეები ერთდროულად პასუხობენ, რაც ხმაურს იწვევს, ან მასწავლებელი ვერ ასწრებს ყველას გამოკითხვას, რის გამოც ბავშვებს ეკარგებათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის სურვილი. მშობელთა ნაწილი ხაზს უსვამს, რომ კომპიუტერთან მუშაობა ღლის ბავშვს, ხშირად ბავშვი თავის ტკივილს უჩივის, აგრეთვე, პატარებს ძალიან უჭირთ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, ვინაიდან კომუნიკაცია პირისპირ არ მიმდინარეობს. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, თუ მშობელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში არ უბის ბავშვს გვერდით, მას უფრო იოლად ეფანტება ყურადღება და შეუძლია, ნებისმიერ ნუთს წამოდგეს და სიარული დაიწყოს. რამდენიმე მშობელი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ გაკვეთილი 1 საათიც კი გრძელდება, რაც ბავშვისთვის საკმაოდ დამღლეელია. საგაკვეთილო პროცესში ბავშვის არჩართვის მიზეზად ზოგიერთი მშობელი ასახელებს ბავშვის დაბალ კომპეტენციას, რომ დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე არ შეუძლიათ დავალების ჩამოტვირთვა და შემდეგ გაგზავნა.

აღსანიშნავი ფაქტია, **რომ** მშობლების გარკვეული ნაწილი თავადაც ესწრება ონლაინ გაკვეთილებს და მადლიერებას გამოთქვამენ მასწავლებელთა პროფესიონალიზმის მიმართ.

მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვით მოსწავლეთა ონლაინ გაკვეთილებზე არდასწრების მიზეზი ძირითადად ინტერნეტის არქონა/დაბალი სიხშირის ინტერნეტი, ან ტექნიკის არქონა/გაუმართაობაა. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კლასის მართვისას წარმოშობილ სირთულეებს, კერძოდ, ბავშვების ერთდროულ პასუხს, პირისპირ კომუნიკაციის არქონის გამო წამოჭრილ სირთულეებს ონლაინ გაკვეთილებში არჩართვის მიზეზად მხოლოდ მშობლები განიხილავენ.

მოსწავლეთა ჩართულობის შეფასება ონლაინ გაკვეთილებში

- ▶ რესპონდენტებს ვთხოვეთ, გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობა შეეფასებინათ 1-დან 5 ქულიან სკალაზე. სადაც 1 აღნიშნავდა გაკვეთილის პროცესში ძალიან დაბალ ჩართულობას, ხოლო 5 ძალიან მაღალ ჩართულობას.
- ▶ 44 მასწავლებელი (29,9%) მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართულობას 5 ქულით აფასებს, 76 მასწავლებელი (51,7)-4 ქულით, 25 მასწავლებელი (17 %) კი-3 ქულით. 1 და 2 ქულით მოსწავლეთა ჩართულობა თითო-თითო რესპონდენტმა შეაფასა.
- ▶ რაც შეეხება მშობლებს, ბავშვის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში 5 ქულით აფასებს 142 მშობელი (62.6%), 4 ქულით-49 (21.6%), 3 ქულით-30 (13.2%), 2 ქულით-3 (1,3%) და 1 ქულითაც-3 მშობელი (1.3 %). იხ. დიაგრამა 5.



დიაგრამა 5.

როგორც ჩანს, პედაგოგებთან შედარებით, მშობლები ბავშვების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში მეტად დადებითად აფასებენ. კითხვაზე, თუ რომელი გაკვეთილები მოსწონთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, მშობლების გამოკითხვის შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ:

ცხრილი 1.

| N | საგანი | რაოდენობა |
|----|-----------------------------------|-----------|
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 120 |
| 2 | მათემატიკა | 150 |
| 3 | ბუნებისმეტყველება | 85 |
| 4 | მუსიკა | 32 |
| 5 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 48 |
| 6 | მე და საზოგადოება | 26 |
| 7 | ჩვენი საქართველო | 29 |
| 8 | ინგლისური ენა | 12 |
| 9 | გერმანული | 2 |
| 10 | სპორტი | 2 |
| 11 | რუსული | 4 |
| 12 | ყველა | 6 |

ონლაინ გაკვეთილებზე გამოყენებული სწავლების მეთოდები

სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას, ყველაზე ხშირად რომელ სტრატეგიებს იყენებენ სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ასე უპასუხეს:

- ▶ ახსნა, პრეზენტაციის დემონსტრირება (132 პასუხი);
- ▶ დავალებების გაზიარება, მათი ანალიზი (118 პასუხი);
- ▶ დისკუსია (101 პასუხი);
- ▶ ფილმების, ანიმაციის დემონსტრირება (79 პასუხი).



აგრეთვე, მასწავლებლები ასახელებდნენ სწავლების იმგვარ აქტივობებს, როგორებიცაა: კომპლექსური დავალებების შეთავაზება, მუსიკის გაზიარება, ონლაინ პროგრამის „მოდი დავწეროთ“ გამოყენება, კოლაჟის შექმნა, ტელესკოლის, ბასტი-ბუბუს ბმულების გაზიარება, სპექტაკლის გათამაშება, საგანმანათლებლო თამაშის „ქამაბუკის“ გაზიარება.

მასწავლებლები ახსნას და პრეზენტაციის დემონსტრირებას გაკვეთილზე საშუალოდ 15 წუთს უთმობენ (ყველაზე დიდი დრო-35 წუთი, ყველაზე ცოტა-3 წუთი სახელდება).

დისკუსიას საშუალოდ 10 წუთი ეთმობა (ყველაზე ცოტა 2 წუთი, ყველაზე ბევრი 25 წუთი). თუმცა, ზოგიერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ გაკვეთილის პროცესში „დისკუსია ჭირს, ინტერნეტის შეფერხებების გამო ხმა წყვეტილია და რამდენიმეჯერ უწევთ გამეორება, რაც აჭიანურებს დისკუსიის პროცესს“.

გაკვეთილების პროცესში მასწავლებლები შემდეგ გამოწვევებს აწყდებიან:

- ▶ მოსწავლეთა გაუმართავი ტექნიკა-116 პასუხი;
- ▶ ოჯახის წევრების მხრიდან ხელის შეშლა-64 პასუხი;
- ▶ კომუნიკაცია თანაკლასელებთან-23 პასუხი;
- ▶ ბავშვის მიერ კომპიუტერის გამორთვა-12 პასუხი.

ამას გარდა, რესპონდენტებმა დააფიქსირეს შემდეგი პასუხები: მოსწავლეებს ავიწყდებათ მიკროფონის კონტროლი, დაბალი სიჩქარის ინტერნეტის გამო მოსწავლეებს ღალატობთ მოთმინება და ეთიშებიან გაკვეთილს, ხანდახან მასწავლებელს ექმნება ტექნიკური სახის პრობლემები, ადგილი აქვს ბავშვების მხრიდან დავალების პირობის ვერ გაგებას.

რეაგირება გაკვეთილის პროცესში წარმოქმნილ პრობლემაზე

გაკვეთილზე წამოჭრილ სირთულეებს მასწავლებლები შემდეგი გზით უმკლავდებიან:

- ▶ მშობელთან დამატებითი კომუნიკაცია-83 პასუხი;
- ▶ ბავშვისთვის შენიშვნის მიცემა-62 პასუხი;
- ▶ სწავლების მეთოდის ცვლილება/სხვა მასალის შეთავაზება-49 პასუხი.

აგრეთვე, მასწავლებლებმა დაასახელეს შემდეგი სტრატეგიები: პაუზის/დუმილის გამოყენება, ბავშვთან დამატებითი კომუნიკაცია, მოსწავლისთვის მიკროფონის გამორთვა, წესების შეხსენება, იუმორის გამოყენება. ზოგიერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ გაკვეთილზე არასოდეს შექმნია პრობლემა.

მოსწავლეებისთვის საინტერესო აქტივობები

მასწავლებლების აზრით მოსწავლეებისთვის მეტად საინტერესო შემდეგი ტიპის დავალებებია:

- ▶ მასწავლებლების მიერ საპრეზენტაციო პროგრამაში შესრულებული დავალებების გაზიარება;
- ▶ ინტერნეტ რესურსების, ანიმაციური ფილმების, ბასტი-ბუბუს ვიდეოს გაზიარება და შემდეგ მათი განხილვა, დისკუსია;
- ▶ მასწავლებლების მიერ Learningapps - ში შექმნილი დავალებების, კროსვორდებისა და სხვადასხვა თამაშების გაზიარება;
- ▶ იმგვარი დავალებების შეთავაზება, რომლებიც მოითხოვს ოჯახის წევრების ჩართულობას;
- ▶ ქვიზების, ტესტების შექმნა;
- ▶ ტელესკოლის გაკვეთილებში წარმოდგენილი დავალების შესრულება;
- ▶ გაკვეთილის პროცესში ერთმანეთისთვის ნაშრომების გაზიარება;

- ▶ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლის ჩანერილი ვიდეოს გაზიარება, რომელსაც მოსწავლეები წინასწარ უყურებენ და შემდეგ გაკვეთილზე არჩევენ, თუ რა იყო მათთვის გაუგებარი;
- ▶ დავალებები, სადაც საჭიროა, მოსწავლეებმა თავად ჩანერონ ვიდეო. მაგ., შინაურ ცხოველებზე, მოძიებული რეცეპტებით შექმნან კერძები;
- ▶ ცნობილი მხატვრების ნამუშევრების განსახიერება;
- ▶ აქტივობები, რომელიც ბავშვებისგან მოითხოვს კეთებას, ხატვას და ნაკლებად დავალებები, რომელიც კვლავ კომპიუტერთან მუშაობას საჭიროებს. მასწავლებელი აზუსტებს, რომ ეს ბავშვების ასაკიდან გამომდინარე რთულია.

მოსწავლეთა მშობლები მოსწავლეთათვის საინტერესო დავალებად მიიჩნევენ:

- ▶ მათემატიკური, ლოგიკური ამოცანების ამოხსნას;
- ▶ ყველა ტიპის დავალება საინტერესოა, ბავშვები მათ ხალისით ასრულებენ;
- ▶ სახალისო და ინტერაქტიული დავალებები;
- ▶ რაიმეს დახატვა და შემდეგ დემონსტრირება;
- ▶ თავისუფალი თემების წერა;
- ▶ ექსპერიმენტების ჩატარება.

საშინაო დავალებების შესრულება

119 მასწავლებელი (81%) აღნიშნავს, რომ მოსწავლეები სისტემატურად ასრულებენ საშინაო დავალებებს, მხოლოდ 28 მასწავლებელი (19%) ამბობს, რომ მათი მოსწავლეები არ ასრულებენ საშინაო დავალებებს. აგრეთვე, 219 მშობელი (96.5%) აღნიშნავს, რომ ბავშვი სისტემატურად ასრულებს დავალებას, მხოლოდ 8 მშობელი (3.5%) აღნიშნავს, რომ ბავშვი არ ასრულებს საშინაო დავალებებს.

როგორც შედეგებიდან ჩანს, მოსწავლეთა უმრავლესობა სისტემატურად ასრულებს საშინაო დავალებებს.

კითხვაზე, თუ რა შეიძლება იყოს მოსწავლეების მხრიდან საშინაო დავალებების არშესრულების მიზეზი, მასწავლებლები შემდეგ ინფორმაციას გვანვდიან: საშინაო დავალებების შესრულება და გადაგზავნა მშობლების ჩართულობას საჭიროებს, მშობლებს კი არა აქვთ ყოველთვის დრო, ზოგი მასწავლებელი კვლავ ინტერნეტის დაბალ სიხშირეს ახსენებს და რომ მოსწავლეების ნაწილს არ აქვს ტექნიკასთან დამოუკიდებელი წვდომის საშუალება ან უნარი. ზოგი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ბავშვები, უჩვეულო რეალობის გამო, ზოგჯერ დაბნეულები არიან. მიზეზებთან დაკავშირებით მშობელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მისი შვილი ხალისით და ინტერესით ასრულებს დავალებებს, ნაწილი ეხება ინტერნეტის პრობლემებს, მშობელთა მოუცლევლობას-დაეხმაროს ბავშვს დავალებების გადაგზავნაში, მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობის არქონა-რაც ბავშვს უქვეითებს დავალების შესრულების სურვილს.

მოსწავლეთა შეფასება

მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც საშინაო დავალებების საფუძველზე, ისე სინქრონულ რეჟიმში.

მოსწავლეთა შესაფასებლად მასწავლებლები იყენებენ როგორც წერილობით, ისე ზეპირ კომენტარს, თუმცა უფრო ხშირად წერილობითი კომენტარის გამოყენება ხდება.

გამოკითხული მშობლების 83.6% (189 მშობელი) აღნიშნავს, რომ მასწავლებელი სისტემატურად უბრუნებს ბავშვს წერილობით უკუკავშირს, 22 მშობელი (9.7%) კი აღნიშნავს, რომ მასწავლებელი არ აძლევს წერილობით უკუკავშირს, ხოლო 15 მშობელი (6.6%) აღნიშნავს, რომ არ არის საქმის კურსში.

149 (73%) მშობელი აღნიშნავს, რომ წერილობითი უკუკავშირი მოიცავს აღწერას, თუ რა იყო კარგად შესრულებული, აღნიშნულია შეცდომა და მითითებულია გამოსწორების გზა. 98 მშობელი (48%) აღნიშნავს, რომ წერილობითი უკუკავშირი მოიცავს მხოლოდ ნახალისებას, მაგ. ყოჩაღ! კარგია! და მხოლოდ 14 მშობელი (6,5%) აღნიშნავს, რომ წერილობით კომენტარში მხოლოდ შეცდომაა მითითებული.

135 მასწავლებელი (გამოკითხულთა 91,8%) აღნიშნავს, რომ მშობლები ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმის შესახებ და მხოლოდ 12 (8,2%) უსვამს ხაზს, რომ მშობლებმა არ იციან შეფასების კრიტერიუმები.

აგრეთვე, გამოკითხული მშობლებიდან 170 (75%,2) აღნიშნავს, რომ საქმის კურსშია, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი შვილი. მხოლოდ 56 მშობელი (24.8) არ იცნობს შეფასების კრიტერიუმებს.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ძირითადად ხდება ზეპირი გამოკითხვით, ამას აღნიშნავს 38 (64,4%) მასწავლებელი, ტესტი-37 (62.7%), პრეზენტაციით-30 (50,8%) და მხოლოდ 15 რესპონდენტი (25,4%) აღნიშნავს, რომ შეფასებისთვის სხვადასხვა მეთოდებს ირჩევს.

მაშასადამე, მასწავლებლები მოსწავლეებს უკუკავშირს უბრუნებენ როგორც წერილობითი, ისე ზეპირი სახით. თუმცა, უფრო ხშირად წერილობით კომენტარს იყენებენ. კომენტარი მოიცავს ნაშრომის ძლიერი მხარეების აღნიშვნისა და გამოსწორების გზების მითითებას.

მშობლები ძირითადად ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმების შესახებ და ამავდროულად, ეცნობიან წერილობით კომენტარებს.

რა ტიპის დახმარება/რეკომენდაცია არის საჭირო ონლაინ სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად?

- ▶ მასწავლებლების მიერ მოწოდებული 95 პასუხი ეხება დისტანციური სწავლების მიმართულებით ტრენინგის/ქოუჩინგის საჭიროებას;
- ▶ 45 პასუხი საინფორმაციო ტექნოლოგიების **მენეჯერის** კონსულტაციას ეხება;
- ▶ 10 პასუხში აღნიშნულია, რომ მასწავლებლებს არანაირი დახმარება არ სჭირდებათ, დამოუკიდებლად ართმევენ თავს და უკვე ძალიან ბევრი რესურსია შექმნილი ვიდეო ინსტრუქციების სახით, რაც ყველას გაუწევს დახმარებას ონლაინ სწავლების დროს;
- ▶ 4 პასუხი ინტერნეტის გაუმართავ მუშაობას/ტექნიკის პრობლემებს ეხება;

- ▶ 3 პასუხი-სკოლის ადმინისტრაციისთვის, სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერისა და ქოუჩის მიმართ მადლიერების გამოხატვაა, რომლებიც მხარში უდგანან და ეხმარებიან ტექნიკური თუ შინაარსობრივი საკითხების მოგვარებაში.

მასწავლებელთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები, რომ სასურველია, არსებობდეს დისტანციურ სწავლებაზე მორგებული მეტი რესურსი, ზოგი მასწავლებლის აზრით, პროცესს გააუმჯობესებს მშობელთა მხრიდან მეტი ჩართულობა ან მათი მომზადება ტექნოლოგიების გამოყენებაში.

ონლაინ სწავლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მშობლების უმეტესი ნაწილი ძირითადად, მადლობას უხდის შვილების პედაგოგებს და აღნიშნავს, რომ „მასწავლებლები თავდაუზოგავად შრომობენ და ძალიან კარგ გაკვეთილებს ატარებენ“.

მშობელთა ნაწილი საორგანიზაციო საკითხებს ეხება და ითხოვს, იმ მოსწავლეებისთვის, ვინც ვერ ერთვება ონლაინ გაკვეთილებში, სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფში მოხდეს გაკვეთილის თემისა და დავალების დროულად განთავსება, რათა მშობელმა ასევე დროულად შეძლოს ბავშვის დახმარება.

ზოგიერთი მშობელი მასწავლებლის ბავშვებთან კომუნიკაციის საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ სასურველია, მასწავლებლები მეტად თბილები იყვნენ ბავშვების მიმართ, მეტი ყურადღება გამოიჩინონ და გაკვეთილის მსვლელობისას, მხოლოდ ერთი და იგივე ბავშვი არ გამოკითხონ და აქონ. თუმცა, მშობლები იმასაც აღნიშნავენ, რომ მათ ესმით, ეს ყოველივე მასწავლებლის მხრიდან დამატებით შრომას საჭიროებს, თუმცა, ეს მათი შვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენიმე მშობელი ხაზს უსვამს პირველკლასელთა სწავლების სირთულეს, რომ ბავშვებს სურთ ნასწავლი მასალა თუ გამოცდილება მხოლოდ მასწავლებელს გაუზიარონ და სხვა ბავშვების თანდასწრებით ეკარგებათ ონლაინ გაკვეთილში მონაწილეობის სურვილი.

გამოკითხული მშობლების ნაწილი თვლის, რომ კარგი იქნება, პედაგოგებს მეტი ინდივიდუალური კომუნიკაცია ჰქონდეთ მშობლებთან, რათა მეტად იყვნენ ინფორმირებულნი ბავშვების საჭიროებების შესახებ. ზოგიერთი მშობელი სწავლების პროცესთან დაკავშირებით გვთავაზობს იდეას: კერძოდ, „მისცენ ბავშვებს შესაძლებლობა, რომ თავად შეარჩიონ საყვარელი წიგნი, დახატონ პერსონაჟი და წარუდგინონ ის თანაკლასელებს“.

რჩევებია კლასის მართვასთან დაკავშირებითაც. ძირითადად, მშობლები გამოთქვამენ კლასის გაყოფის სურვილს მცირე ჯგუფებად და ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ მუშაობის წესებზე შეთანხმებას. აგრეთვე I და II კლასის მოსწავლეებთან ტელეფონით კომუნიკაციას ან რაიმე ინდივიდუალური კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობას.

რამდენიმე მშობელი შეეხო ფსიქოლოგის საათის დამატების საჭიროებას, მაგრამ ეს ალბათ, იმ სკოლებს ეხება, რომელთაც შტატში სკოლის ფსიქოლოგი ჰყავთ.

აგრეთვე, აღნიშნულია ინტერნეტპლაკეტის ყიდვის საჭიროება მოსწავლეებისთვის, რომ ყველა ბავშვი თანაბრად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

კვლევის მიმდინარეობისას, ჩვენ ვესაუბრეთ რამდენიმე მეორეკლასელ მოსწავლეს. 8 წლის ბიჭუნამ აღნიშნა, რომ მისთვის ონლაინ გაკვეთილებში განსაკუთრებით მოსაწონი არის ის, რომ ამით იგი დაცულია კორონავირუსისგან. 7 წლის გოგონას აზრით, გაკვეთილები უფრო ცოტა ხანს გრძელდება, ვიდრე სკოლაში. 8 წლის ბიჭუნა მასწავლებლის მიცემულ დავალებებს სისტემატურად ასრულებს, მაგრამ დავალებებს მასწავლებელთან მამა აგზავნის. 7 წლის გოგონა ამბობს, რომ ყოველთვის ვერ ასრულებს დავალებებს. 8 წლის ბიჭუნას თქმით, გაკვეთილზე რთულია, რადგან, როდესაც მასწავლებელი კითხვას სვამს, ყველა ერთად იწყებს პასუხის გაცემას და ეს ძალიან დიდ ხმაურს იწვევს. კითხვაზე, როგორ შეიძლება, გაკვეთილი მეტად საინტერესო გახდეს, ბიჭუნამ განაცხადა, რომ სასურველი

იქნება, საშინაო დავალებად რაიმე ფილმის/მულტფილმის ნახვა შესთავაზონ და შემდეგ გაკვეთილზე ისაუბრონ, თუ რატომ მოეწონათ იგი, ოღონდ ყველამ რიგრიგობით უნდა გამოთქვას აზრი. 7 წლის გოგონამ განაცხადა, რომ სასურველია, მასწავლებელი ხშირად აქებდეს და აღნიშნავდეს, რომ მან დავალება კარგად შეასრულა.


დასკვნა

მშობლების გარკვეული ნაწილი თავადაც ესწრება ონლაინ გაკვეთილებს და დიდ მადლიერებას გამოთქვამენ მასწავლებელთა პროფესიონალიზმის მიმართ.

1. მშობელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მისი შვილისთვის ტექნიკა ხელმისაწვდომია, თუმცა გამოკითხულთა 2.6%-ის თქმით, ბავშვს არა აქვს ტექნიკაზე წვდომა. აგრეთვე, მშობელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთან ინტერნეტი გამართულად მუშაობს, ინტერნეტის პრობლემებს გამოკითხული მშობლების 12.8% უსვამს ხაზს. მისასალმებელია, რომ აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინება დროულად მოხდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტით „ტელესკოლა“.
2. ონლაინ გაკვეთილებზე მოსწავლეების არდასწრების მიზეზებად მასწავლებლები ძირითადად, ინტერნეტის არქონას/დაბალი სიხშირის ინტერნეტს, ტექნიკის არქონას, ბავშვისთვის ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას აღნიშნავენ. მშობლებიც ძირითად მიზეზად ინტერნეტის პრობლემას ასახელებენ, მაგრამ მხოლოდ მშობლები აღნიშნავენ კლასის მართვისას (კერძოდ, ბავშვების ერთდროულ პასუხს კითხვაზე) და პირისპირ კომუნიკაციის არქონისას წამოჭრილი სირთულეების გამო ბავშვების მხრიდან გაკვეთილში ჩართვის მოტივაციის შესუსტებას.
3. მასწავლებლები და მშობლები მოსწავლეთა ჩართულობას ონლაინ გაკვეთილებში ძირითადად დადებითად აფასებენ. (5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან დაბალ ჩართულობას და 5 ძალიან მაღალს) მასწავლებლები მოსწავლეების ჩართულობას ძირითადად 4 ქულით აფასებდნენ, მშობლები კი 5 ქულით.
4. ონლაინ გაკვეთილებზე მასწავლებლები ყველაზე ხშირად ვერბალურ ახსნას და პრეზენტაციის/თვალსაჩინოებების დემონსტრირებას მიმართავენ, რასაც საშუალოდ 15 წუთს უთმობენ. შემდეგ დრო დავალებების ანალიზსა და დისკუსიას ეთმობა, რაზეც საშუალოდ 10 წუთი იხარჯება.
5. გაკვეთილის პროცესში წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მასწავლებლები ძირითადად მშობლებთან დამატებით კომუნიკაციას მიმართავენ.
6. მასწავლებლების თქმით, ბავშვებს ყველაზე მეტად მოსწონთ დავალებების საპრეზენტაციო ფორმატით გაზიარება, სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების (ანიმაციის, ბასტი-ბუბუს ვიდეოს და ა.შ.) გაზიარება და შემდეგ მათი განხილვა, Learningapps-ში შექმნილი დავალებების-კროსვორდებისა და სხვადასხვა თამაშების შესრულება, რომლებიც თავად მასწავლებლების მიერ არის შექმნილი, ან იმგვარი საშინაო დავალებები, რომელიც ოჯახის წევრების ჩართულობას მოითხოვს, მცირე ვიდეოს გადაღება და შემდეგ მისი გაზიარება. მშობლების აზრით, ბავშვებს ყველაზე მეტად მათემატიკური, ლოგიკური ამოცანების ამოხსნა, სახალისო და ინტერაქტიული

დავალებების შესრულება მოსწონთ. საგულისხმოა ისიც, რომ მშობლები მათემატიკას ბავშვების საყვარელ საგნად მიიჩნევენ. რაც შესაძლოა, განპირობებული იყოს ამ საგანის სწავლებისთვის არსებული მრავალფეროვანი ინტერნეტ რესურსებით.

7. მშობლებისა და მასწავლებლების თქმით, ბავშვები სისტემატურად ასრულებენ საშინაო დავალებას.
8. მასწავლებლები მოსწავლეებს უკუკავშირს ზეპირი და წერილობითი ფორმით აწოდებენ. წერილობითი უკუკავშირი უმეტესად მოიცავს ნაშრომის ძლიერი მხარეების აღნიშვნასა და გამოსწორების გზების მითითებას.
9. მშობლები ძირითადად ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმების შესახებ და ამავდროულად, ეცნობიან წერილობით კომენტარებს.
10. მასწავლებელთა უმრავლესობა დისტანციური სწავლების მიმართულებით ტრენინგის საჭიროებას ხედავს, მასწავლებლების ნაწილი მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან კონსულტაციას. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მათ არანაირი დახმარება არ სჭირდებათ, დამოუკიდებლად ართმევენ თავს ან არსებული ვიდეო გაიდებით ხელმძღვანელობენ.
11. პროცესის გასაუმჯობესებლად მშობელთა გარკვეული ნაწილი ონლაინ გაკვეთილების დროს კომუნიკაციის საკითხებს ეხება და აღნიშნავს, რომ ბავშვებს მასწავლებლების მხრიდან მეტი ყურადღების გამოვლენა სჭირდებათ, აუცილებელია საგაკვეთილო პროცესში თითოეული მათგანის დადებითი მხარის აღნიშვნა. აგრეთვე, მშობლების თქმით, პირველი და მეორე კლასების მოსწავლეებს ზოგჯერ სატელეფონო, ინდივიდუალური კომუნიკაცია მეტად გაახარებთ. თუმცა, მშობლები აქვე აღნიშნავენ, რომ ეს მასწავლებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და მათგან დამატებითი დროის ხარჯვას მოითხოვს.
12. მშობელთა ნაწილი ეხება გაკვეთილის მართვის საკითხებს და აღნიშნავს, რომ ბავშვებს გაკვეთილზე დასწრების სურვილს შესაძლოა ხმაური და პასუხის ერთდროული წამოძახება უმცირებდეთ. ზოგიერთი მშობელი მიზანშეწონილად მიიჩნევს I და II კლასებთან მცირე ჯგუფებად მუშაობას, ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ წესებზე შეთანხმებას.
13. თავის მხრივ, მასწავლებლები პროცესის გაუმჯობესების გზას მეტად ხედავენ მშობლების მომზადების საჭიროებაში ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით, რითაც მეტ დახმარებას აღმოუჩენენ ბავშვებს.



რეკომენდაციები

1. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტის, მოსწავლეებისთვის მისი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გარდა, განათლების დაწყებით საფეხურზე სიტუაციის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ინდივიდუალური, პოზიტიური კომუნიკაციის დამყარება. რაც შესაძლებელია, განხორციელდეს გარკვეული სიხშირით, მოსწავლეებთან ინდივიდუალური გასაუბრებით, მათი დღის გამოცდილების, ემოციების შესახებ საუბარით, აგრეთვე, საკუთარი გამოცდილების გაზიარებით.
2. საჭიროებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პირველ და მეორე კლასის მოსწავლეებთან მუშაობისას, დასაფიქრებელია კლასის მცირე ჯგუფებად დაყოფის შესაძლებლობა. ან ყოველი გაკვეთილის დაწყებამდე შეთანხმება ბავშვებთან მუშაობის წესებზე. მაგ., კითხვის დასმის შემდეგ აღნიშვნა, თუ რომელი მოსწავლის პასუხის მოსმენა სურს მოსწავლეებს, ე. წ. „გამოსაძახებელი ჩხირების“ ტექნიკის გამოყენება, რაც ვფიქრობთ, შეამცირებს როგორც ხმაურს გაკვეთილზე, ისე შედარებით „პასიური“ მოსწავლეების გამოთიშვას გაკვეთილიდან;
3. მოსწავლეებისთვის საშინაოდ ისეთი დავალებების მიცემა, რომელიც მათგან ოჯახის წევრებთან თანამშრომლობას, გარკვეული პროდუქტის შექმნას მოითხოვს. მაგ, ვიდეოს გადაღებას შინაურ ცხოველზე, მცირე ექსპერიმენტების ჩატარებას, წიგნის ნაკითხვას და შთაბეჭდილების დახატვას და შემდეგ ამის გაკვეთილზე გაზიარებას და არა კვლავ კომპიუტერით შესასრულებელი დავალებების შესრულებას. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში დასაფიქრებელია, თუ რა დროის გატარება უწევთ ბავშვებს ეკრანებთან.
4. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ონლაინ გაკვეთილი ზოგჯერ აღემატება ნახევარ საათს, რის გამოც მომდევნო გაკვეთილამდე ბავშვებს დასასვენებლად მცირე დრო რჩებათ, ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება გაკვეთილის დროის კონტროლი.
5. ვინაიდან, ბავშვებს გარკვეული პერიოდი უწევთ კომპიუტერთან ჯდომა და შესაძლოა სახლში არსებული სკამი და მაგიდა ნაკლებად შეესაბამება ბავშვის ზომებს, გასათვალისწინებელია გაკვეთილის დასასრულს ბავშვებისთვის მუსიკის ფონზე მოძრავი პაუზების შეთავაზება, რაც ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგებისთვისაც.



მედი კავთუაშილი

მშობლები გაეფვირვალა „საკლასო ოთახში“

საქართველოს განათლების სისტემას დისტანციური სწავლების იმხელა ტალღამ გადაუარა, რომ რყევები ჯერ კიდევ იგრძნობა. 2 312 სკოლის 590 934 მოსწავლემ და 63 780 პედაგოგმა ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა და უჩვეულო წესებით დაიწყო სვლა. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ბოგი წინ წავიდა, ბოგი-უკან, ბოგიც ერთ ადგილზე მოძრაობს.

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის და მაღალი სტრესის ფონზე არსებულ ვითარებასთან გამკლავება მოსწავლეთა მშობლებსაც მოუხდათ. ჩაკეტილი შენობებიდან სკოლებმა პირდაპირ სახლებში გადაინაცვლა და ავტომატურად, წინასწარი მოლაპარაკებების და შეთანხმებების გარეშე, სწავლა-სწავლების ხარისხზე პასუხისმგებლობა მშობლებზე გადაინაწილდა.

“

„გაკვეთილების დისტანციურად დაწყებამ ჩემში დიდი მღელვარება გამოიწვია. **მომლილი ინფრასტრუქტურის მქონე სოფელში**, ერთი კვირით წამოსულებს განათლების ახალი მოდელი სრულიად მოულოდნელად წამოგვეწია. თან მხოლოდ უხარისხო ტექნიკური აღჭურვილობა მქონდა. რომ გავიაზრე, პროცესში ხარისხიანად ჩართულობაში ეს ყველაფერი რამდენ დაბრკოლებას შეგვიქმნიდა, ამან მეც და ბავშვებიც ძალიან შეგვაშინა“-ამბობს თეა ცხვირავაშვილი, ორი სასკოლო ასაკის შვილის მშობელი.

”

თუ ტრადიციული სწავლების პირობებში სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის და სკოლისთვის დადებითი შედეგები მოაქვს, ტრანზიტული სკოლის შემთხვევაში პირდაპირ გავლენას ახდენს საგაკვეთილო პროცესის გამართულობასა და მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

ამის მიუხედავად, განათლების სპეციალისტები მშობელთა პასუხისმგებლობაზე ისრების სრულად გადატანას არამართებულად მიიჩნევენ, რადგან დისტანციურ ფორმატზე უცაბედი გადასვლა Covid 19-ის პანდემიამ გამოიწვია და არა მშობლების გააზრებულმა არჩევანმა.



„უნდა განვასხვაოთ ზოგადად დისტანციური სწავლება და კრიზისების დროს დისტანციური სწავლება. ჩვეულებრივ პირობებში დისტანციური სწავლებისას, შესაძლოა, მშობლის როლი ისეთი მნიშვნელოვანი არ იყოს, რადგან ეს დაგეგმილი პროცესია: მოსწავლე, სკოლა და ოჯახი თავიდანვე მომზადებული და მოტივირებულია. ამ კრიზისის დროს კი მოულოდნელად უწევთ მშობლებს არსებულ ვითარებასთან გამკლავება. ზოგადად, მშობელსა და ოჯახს განათლების ხარისხზე უდიდესი ზემოქმედება აქვთ და დღეს ეს გავლენა კიდევ უფრო მეტად გაზრდილია. შესაბამისად, გაიზრდება განსხვავება შვილების მხარდამჭერი ოჯახების მოსწავლეებს და იმ მოსწავლეებს შორის, რომელთა მშობლები არ ან ვერ ერთვებიან შვილების სწავლებაში.“- ამბობს შალვა ტაბატაძე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.



დისტანციურად სწავლის პირობებში მოსწავლის მშობელს ერთდროულად რამდენიმე როლი ეკისრება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შვილის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა და კუთვნილი ტექნიკის გამართულობაა. ეს ყოველივე კი დაბალი ეკონომიკური შეძლების ოჯახებისთვისაც გამონკვევია და მათთვისაც, ვისაც თითოეულ ბავშვზე პერსონალური კომპიუტერი და შეუზღუდავი ინტერნეტი აქვს.



„ონლაინ სწავლება დღეს ყველა ოჯახისთვის აქტუალურია. მე ოთხი შვილი მყავს. ჯერ-ჯერობით ვახერხებ, რომ ბავშვები ჩაერთონ გაკვეთილებში და არ ჩამორჩნენ პროგრამას, მაგრამ ვიცი ოჯახები, ვისთვისაც ინტერნეტი ფუფუნებაა. მათთვის დიდი ხარჯია ინტერნეტის ყოველთვიური ღირებულება. ზოგიერთ მათგანს არც საჭირო ტექნიკა აქვს, ზოგიერთი ბავშვი ტელეფონით ესწრება გაკვეთილებს. დღეს მშობლებისთვის პრიორიტეტი შვილების საკვებით უზრუნველყოფა და პირველადი მოხმარების საგნების შეძენაა. ზოგჯერ არჩევანი ასე დგას, ინტერნეტი თუ საკვები?! კარგი იქნებოდა მშობლებს ამ პრობლემის გადაჭრაში სახელმწიფო დახმარებოდა.“ - ამბობს 4 შვილის მშობელი, ნათია მანჯგალაძე.



„ონლაინ სწავლებამ თავიდან მასწავლებლებიც დაძაბა და მეც, როგორც მშობელს, მოთმინება დამაკარგვინა. ერთდროულად რამდენიმე ბავშვს ჰქონდა გაკვეთილი და ტექნიკური პრობლემებიც ერთდროულად იჩენდა ხოლმე თავს. მაგალითად, პროგრამა teams-ში მოსწავლე ვერ ხედავდა ყველა საგანს და ვერ ესწრებოდა ყველა გაკვეთილს. მასწავლებელი ვერ ახერხებდა პრობლემის მოგვარებას და მიიჩნევდა, რომ მშობელს თავად უნდა გაერკვია

პრობლემის მიზეზები. ხშირად ხდება, როცა მასწავლებელს არ ესმის მოსწავლის ხმა და პირიქით. გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეები ერთმანეთს “აგდებენ” პროგრამიდან. მოსწავლე მიკროფონს თიშავს, როცა არ უნდა პასუხის გაცემა. შემდეგ ხელი ჩავიქნიე ონლაინ გაკვეთილებზე და თავად დავიწყე ჩემი შვილების მასწავლებლობა. დღეისათვის ონლაინ სწავლების მდგომარეობა გამოსწორდა იმ მხრივ, რომ, ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, გაკვეთილები მეტ-ნაკლებად ტარდება. თუმცა, ზოგიერთი მასწავლებელი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ჩართვას. თუ გავითვალისწინებთ, რამდენად მოულოდნელად მოგვინია ონლაინ სწავლებაზე გადასვლა, დღეს არსებული მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია. დასაფასებელია მასწავლებლების მონდომება. კარგი იქნებოდა მათ ტექნიკურ დახმარებას თუ გაუწევდნენ“-ამბობს 5 შვილის დედა, მაკა საკანდელიძე.



სახლებიდან სახლებში ჩატარებულ გაკვეთილებს მოსწავლეების მილიონზე მეტი მშობელი ადევნებს თვალს. სირთულეების მიუხედავად მშობლები ამბობენ, რომ ასეთი გამჭვირვალე განათლების სისტემა არასოდეს ყოფილა. ბავშვსა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლის შრომა ერთიორად გამოჩნდა და დაფასდა.



„ჩემი შვილების სკოლა მარტის დასაწყისიდან სრულად გადაეწყო ონლაინ სწავლებაზე. გაცემა ვერ ვმალავდი, პირველივე დღეებიდან იმდენად მომზადებულები იყვნენ პედაგოგები. გაკვეთილები ცხრილის მიხედვით ტარდება. ამ დრომდე ყოველი გაკვეთილი დაგეგმილია, ნაფიქრი, აქვს მიზანი და ახლავს საშინაო დავალება.“-ამბობს თეა ბულია, სამი შვილის დედა.



მოსწავლეთა მშობლების შეფასებით, ბოლო დროს მიმდინარე პროცესებმა მშობელთა ჩართულობა გაზარდა, რის გამოცდილებაც საქართველოში არც თუ ბევრ მშობელს ჰქონდა.

მშობლები ახლო წარსულს იხსენებენ, როცა უმეტეს სკოლებში დღის წესრიგს შიდა სასკოლო საზოგადოება ადგენდა და მშობელს უკვე დამტკიცებული წესების შესრულება უწევდა. მაგალითად, შინაგანაწესით მკაცრად იყო განერილი სკოლის შენობაში მშობლების შეშვების დრო. თუ აქამდე მშობელს ტრადიციულ გაკვეთილზე დასასწრებად პედაგოგის და სკოლის დირექციის თანხმობა სჭირდებოდა, ახლა ეს ადამიანები თავად სთხოვენ მოსწავლის მშობელს, გვერდით მიუჭდეს ბავშვს და თვალი ადევნოს საგაკვეთილო პროცესის გამართულობას.



ამ შინაარსის თხოვნას, როგორც წესი, რამდენიმე საფუძველი აქვს:

- ▶ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს არ აქვთ კომპიუტერის დამოუკიდებლად მოხმარების უნარ-ჩვევები.
- ▶ დაგროვდა ონლაინ გაკვეთილების ჩაშლის წარმატებული მცდელობების პრაქტიკა.
- ▶ გაკვეთილის დროს პედაგოგები მშობლებისგან სახლში სიჩუმის დაცვის უზრუნველყოფას ითხოვენ.

მშობლები ამბობენ, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ზოგჯერ მოსწავლის გვერდით ჯდომა შეუძლებელი და გაუმართლებელია.

“

„მე სამი შვილი მყავს. უფროსი მე-5 კლასშია, საშუალო მე-3 კლასში. უმცროსი ბალის ასაკშია. უფროსებს ყოველდღიურად დღეში 3 ან 4 გაკვეთილი აქვთ. რაც იმას ნიშნავს, რომ ორივეს ცალ-ცალკე კომპიუტერი და სამუშაო სივრცე სჭირდება. ამ პერიოდში ჩემი ამოცანაა, ტექნიკა მუდმივად მწყობრში მქონდეს და დავიცვა სიჩუმე, რაც არც ისე ადვილი საქმეა, რადგან როგორც გითხარით, ჩვენი უმცროსი შვილი ბალის ასაკის ბიჭუნაა და მოგეხსენებათ, ამ ასაკის ბავშვებს უჭირთ, დაემორჩილონ მკაცრად განსაზღვრულ წესებს. ერთ-ერთი გოგონას კლასის დამრიგებელი მშობლებისგან ითხოვს, დავსხდეთ ბავშვების გვერდით და უზრუნველვყოთ, რომ გაკვეთილი არ ჩაიშალოს. ერთმანეთს ხმა არ გაუთიშონ ან ჯგუფიდან არ „გააგდონ“. ძალიან ბევრი ვიფიქრე, როგორ უნდა მომეხერხებინა, თან სიჩუმე დავიცვა, პატარა შვილი „დავაკავო“ და თან გაკვეთილის მიმდინარეობას დავესწრო. არც შემძლია და ამავე დროს, ჩემი აზრით, არ არის სწორი, მშობელი გვერდით ეჯდეს ბავშვს და იჭრებოდეს მის პირად სივრცეში, მიმაჩნია, რომ ოთახშიც კი არ უნდა შევიდე, როცა გაკვეთილი აქვს. ამან ცოტა გაურკვეველობა გამოიწვია. თუმცა, პროცესებისთვის ხელი არ შეუშლია. რეალურად, ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყობა მოხდა და ვთვლი, რომ თავი გავართვით. თუმცა რის ხარჯზე ვპასუხობთ ამ გამონკვევას, ეს ალბათ კვლევის საგანია.“

-ამბობს თეა ბულია, სამი შვილის დედა.

”

სად არის გამოსავალი, როცა ორივეს-მასწავლებელს და მშობელს, თავისი სიმართლე და მყარი არგუმენტები აქვთ? ამ შეკითხვით განათლების სპეციალისტს მივმართეთ.

“

„შესაძლებელია დაბალ კლასებში მასწავლებელმა სთხოვოს (და არა მოსთხოვოს) მშობელს ზედამხედველობა. ასეთი თანამშრომლობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. ბევრ ქვეყანაში, სკოლები ადგენენ ე.წ. ნეტიკეტს-ინტერნეტ-სწავლებისას ქცევის წესებს, რა არის დასაშვები და რა-არა. ამ ინფორმაციის მინოდება საგანგებოდ ხდება მოსწავლეებისთვის. იქვე განსაზღვრულია ის ნაბიჯებიც, რასაც სკოლა მიმართავს, თუ მონაფე ნეტიკეტს დაარღვევს, გამომდინარე დარღვევის ხარისხიდან და სიხშირიდან. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯია მოსწავლის გაკვეთილზე არ დამშვება ერთი ან რამდენიმე დღით. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მშობლებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ

ონლაინ სწავლება ბავშვებში გადაღლილობას იწვევს და მასწავლებლებს მეტი მოთმინება მართებთ.“-ასე პასუხობს ჩვენს შეკითხვას ჰონგ კონგის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი ნუცა კობახიძე.



დისტანციური სწავლის ფორმატი განსაკუთრებით მოუხერხებელი აღმოჩნდა დასაქმებული მშობლებისთვის, რომლებიც სახლიდან გაუსვლელად ასრულებენ სამსახურეობრივ მოვალეობებს. თვითიზოლაციის პირობებში მშობლები ერთდროულად რამდენიმე საპასუხისმგებლო როლს ითავსებენ, მათ შორის, ბავშვზე ზრუნვის, ბავშვის განათლების, საოჯახო საქმეზე პასუხისმგებელი პირის და თანამშრომლის, რაც ერთ სივრცეში გამოკეტილი ადამიანებისთვის არც თუ ადვილად დასაძლევია ამოცანაა.



„ჩემი ოჯახი სამწევრიანია. აქედან ერთი, 6 წლის ბავშვია, რომელიც წინასასკოლო მომზადების პროგრამას გადის. როდესაც preschool-მა ონლაინ სწავლება შემოგვთავაზა, დიდი სიხარულით დავთანხმდით, რადგან იზოლაციის გამო, ონლაინ ჩართვები ბავშვის სოციალიზაციის შესაძლებლობადაც მივიჩნიეთ. ჩემი შვილის ჯგუფიდან, ბავშვების მხოლოდ ნახევარი ესწრება ონლაინ გაკვეთილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუნდაც კერძო სკოლაში, ონლაინ სწავლება ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. ონლაინ ჩართვები სკოლამდელ ასაკში, უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს პედაგოგებისგან. თანდათან იმატა ისეთმა დავალებებმა, რომელსაც ბავშვი დამოუკიდებლად ვერ შეასრულებს. ალბათ, ეს მიიჩნიეს მშობლის ჩართულობის გაზრდის გზად. თავად ბავშვიც ბევრად მომთხოვნი გახდა ჩვენ მიმართ, უნდოდა ერთად შეგვესრულებინა დავალება, რადგან სხვა ბავშვების ბებია, დედა ან მამა ასე აკეთებდა. რამდენიმე დავალება საერთოდ გვიან ვნახეთ, რადგან ონლაინ პროგრამაში შეტყობინებების მუდმივად წაკითხვის დრო არ გვაქვს. პედაგოგთან საუბრით ვეცადე, ამეხსნა, რომ არ ვარ უყურადღებო მშობელი. რალაც ეტაპზე მივხვდი, რომ მე არ მეხებოდა ის ბლოგები და სტატიები, სადაც მოგვითხრობენ, როგორ გავართოთ ბავშვები იზოლაციაში, როგორ ვიზრუნოთ თვითგანვითარებაზე და გავიაროთ ონლაინ ტრენინგები. გარკვეული დროის მერე, მხოლოდ გადარჩენის გეგმა დაგვრჩა: ყოველთვის ხელმისაწვდომი ვიყოთ სამსახურისთვის და ბავშვი დროულად მიუჭდეს მაგიდას გაკვეთილისთვის.“-ამბობს ანა წურნუშია, დასაქმებული მშობელი.



იმის გათვალისწინებით, რომ არც დისტანციური სწავლების სამართლებრივი ბაზა არსებობს და არც მოსწავლე-მასწავლებლის ქცევის თუ მშობელთა ჩართულობის ეტიკეტი, გაურკვევლობები გარდაუვალია. ამის მიუხედავად, განათლების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ და სკოლამ უნდა იფიქროს არა სამართლებრივი ბაზის მონესრიგებასა და იძულების მექანიზმების ამოქმედებაზე, არამედ სკოლების, მშობლების და მასწავლებლების მხარდაჭერის პროგრამებზე.



„მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ გვაქვს განსაკუთრებული მდგომარეობა და მოსწავლეების კიდევ უფრო დიდი ნაწილი აღმოჩნდა ხარისხიანი განათლების მიღმა. გაიზარდა უთანასწორობა. შესაბამისად, ვფიქრობ, უკვე დღეს, მთელი ყურადღება და აქცენტი უნდა გადავიდეს პრობლემის მოგვარებაზე, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო ძალიან მალე ამ უთანასწორობის აღმოფხვრას; რა მექანიზმებს შეიმუშავებს სამომავლოდ ზოგადად არსებული უთანასწორობის გამოსასწორებლად; როგორ გამოიყენებს მიღებულ გამოცდილებას განსხვავებული პოლიტიკის საწარმოებლად; როგორ უზრუნველყოფს ამ პროცესში ფუნქციონირებადობის დელეგირებას და ა. შ. ვფიქრობ, აქცენტი და მსჯელობა ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს და ნაკლებად, სამართლებრივი მექანიზმების შექმნაზე მოსწავლეთა დასწრების იძულებისთვის. აქ უფრო სკოლების, მშობლების და მასწავლებლების მხარდაჭერის მექანიზმებზე უნდა ვიმუშაოთ, რათა თუნდაც ისეთი პროექტები, როგორცაა ტელესკოლა, თუ მაიკროსოფტ თიმისის მეშვეობით ონლაინ სწავლება, მოსწავლემდე მივიტანოთ და არ დარჩეს მხოლოდ სამინისტროს, თუ ცალკეული დირექტორებისა, თუ მასწავლებლების თავმოსაწონ ნამოწყებად“-აცხადებს შალვა ტაბატაძე.



დაბუსტებით არავინ იცის, რამდენ ხანს არ ექნება ალტერნატივა კომპიუტერულ თუ ტელეგაკვეთილებს. ამ მდგომარეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს სკოლებისა და მშობლების კომუნიკაციის ხარისხი. პირველ რიგში, მშობელმა იცოდეს, რას ელის სკოლა მისგან? ამ კითხვაზე მასწავლებლის თუ სკოლის ადმინისტრაციის მიერ გარკვევით გაცემული პასუხის გარეშე მშობლებს გაუჭირდებათ, გახდნენ სკოლის კარგი პარტნიორები, დაეხმარონ შვილს წარმატების მიღწევაში და შეუმსუბუქონ შრომა მასწავლებელს.



„სკოლა მშობლისგან ელის, პირველ რიგში, ემოციურ მხარდაჭერას, როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანია, მშობელმა გაიაზროს, რომ ეს არ არის „ჩვეულებრივი“ სასწავლო პროცესი. ეს ის სივრცეა, სადაც შეიძლება მოულოდნელად ტექნიკური პრობლემა წარმოიშვას ან ყველა გაკვეთილში ჩართვა ვერ მოახერხოს მოსწავლემ, რადგან მისი და-ძმების გაკვეთილები ემთხვევა, ან ვინროდ ცხოვრობენ და შესაძლებელია ხმაურმა შეუშალოს ხელი. შესაძლებელია, საერთოდაც არ მიუწვდებოდეთ ხელი ინტერნეტსა და კომპიუტერზე. ამიტომ, ემოციური მხარდაჭერა უმთავრესია. ამის შემდეგ მნიშვნელოვანია ტექნიკური თვალსაზრისით ყველა რესურსის მობილიზება. ასეთ შემთხვევაში სკოლა და მშობელი თანამშრომლობენ, რა გზით შეიძლება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა. სკოლა, შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარების ხელს გაუწვდის.“-ამბობს ჩვენთან საუბარში საჩხერის მე-2 სკოლის დირექტორი, ლიკა გომართელი.



მშობლებისა და სკოლის დისკომუნიკაციის პრობლემა დისტანციურ ფორმატზე გადასვლამ ნაწილობრივ მოაგვარა. Covid 19-ის ეპოქამ დაგვანახა, რომ მშობლისა და სკოლის ხარისხიანი თანამშრომლობისთვის არც სკოლაში მისვლაა აუცილებელი პირობა და არც ქვეყანაში ყოფნა.

“*„დღევანდელმა დღემ სკოლებს მისცა შესაძლებლობა, გადახედონ მშობლებთან კომუნიკაციის ფორმებს, გამოიყენონ მრავალმხრივი მეთოდები. ხშირად საუბრობდნენ, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა დაბალი იმიტომ იყო, რომ მშობელთა დიდი ნაწილი სამუშაოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მართალია, სკოლას შეეძლო, საზღვარგარეთ მყოფ მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმები გამოეყენებინა, თუმცა ამას თითქმის არავინ აკეთებდა. დღევანდელმა დღემ გვაჩვენა, რომ სრულიად შესაძლებელია ინტერნეტკომუნიკაცია და შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდეს მშობელთა ადგილმდებარეობას. ეს ნათელი მაგალითია, რომ კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა უნდა გამოიყენოს სკოლამ, რაც მშობლებთან ურთიერთობას გააადვილებს. უფრო მეტიც, მშობლებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, თვითონ შესთავაზონ მათთვის ხელსაყრელი კომუნიკაციის ფორმები და მშობელთა შემოთავაზებების საფუძველზე განსაზღვრონ კომუნიკაციის სტრატეგია“*-ამბობს შალვა ტაბატაძე ჩვენთან საუბარში.”

განათლების სპეციალისტების აზრით, დისტანციურ რეჟიმში მშობლებსა და სკოლას შორის წარმატებული თანამშრომლობის აუცილებელი პირობა სწორი კომუნიკაციაა. რეგულარული კავშირის შემთხვევაში, სკოლა შეძლებს მოლოდინების სწორად განსაზღვრას, უკუკავშირის მიღებას. მშობლები უკეთესი ხარისხით შეძლებენ, დაეხმარონ შვილებს.

“ ამგვარი კავშირის გარეშე, ხშირად წარმოიქმნება გაუგებრობები, ვერ ხერხდება სწავლებაში არსებული ხარვეზების დროული გამოსწორება, რაც საბოლოოდ განათლების ხარისხს აუარესებს.-აცხადებს ნუცა კობახიძე.

[სპეციალისტების რეკომენდაციები მოსწავლეთა მშობლებისთვის და სკოლის თანამშრომლებისთვის:](#)

ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება-მშობლები და მასწავლებლები ხშირად ამბობენ, რომ ბავშვებზე მეტად მათ უჭირთ იზოლაციაში ყოფნა; თუმცა, იქვე ჩამოთვლიან არაერთ შემთხვევას, როგორ გაუარესდა შვილების/მოსწავლეების ხასიათი და განწყობა. ამიტომ მიეცით ბავშვებს საშუალება, გამოხატონ ემოციები. თუ დაიღლებიან, მიეცით უფლება, დაისვენონ. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, გაკვეთილების თუ საშინაო დავალების მომზადების დროს, ბავშვებს აღარ დასჭირდებათ ტყუილის და ხრიკების მოფიქრება. ზრდასრულები კი ზედამხედველის ნაცვლად ბავშვის მეგობრად იგრძნობთ თავს.

ერთმანეთის მოლოდინების განსაზღვრა-სასურველია, მშობლებმა და სკოლის თანამშრომლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოლოდინები. კერძოდ, დისტანციურად სწავლების

პერიოდში რას ელიან ერთმანეთისგან. ეს სკოლას და მშობლებს ადეკვატური მოლოდინების შექმნაში დაეხმარება.

კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენება-ჰკითხეთ ერთმანეთს, ურთიერთობის რომელი საშუალება უფრო მოსახერხებელია თქვენთვის. ეს დაგეხმარებათ, თავიდან აირიდოთ დისკომუნიკაცია და ტექნიკური ხარვეზები. წერილობითი კომუნიკაცია სჯობს, სატელეფონო თუ ვიდეო ზარი, ცალსახა პასუხი არ არსებობს. ეს ორი ან მეტ სუბიექტს შორის შეთანხმების საგანია.

რეგულარული ურთიერთობის დროზე და Online თანამშრომლობის წესებზე შეთანხმება - სასურველია, მშობელი და პედაგოგი წინასწარ შეთანხმდნენ მათთვის სასურველ თავისუფალ დროზე, როცა ორივე მხარეს სცალია აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის. ეს დაგეხმარებათ, ჩამოაყალიბოთ რეგულარული კომუნიკაციის წესრიგი, ე.წ. რუტინა. თანამშრომლობის წესებზე შეთანხმება კი გულისხმობს, ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორც არის ქცევის წესების ჩამოყალიბება, პერსონალური მონაცემების დაცვა, online ჩატარებული კრების დღის წესრიგის განსაზღვრა და სხვა.

მშობელთა ჩართულობა ერთმანეთის შვილებისთვის-მშობლებს მრავალფეროვანი რესურსი აქვთ, რასაც იშვიათად ახმარენ შვილის თანაკლასელებს. მოსწავლეებს მოსწონთ მათთვის აქტუალურ თემებზე მშობლებთან არაფორმალური საუბრები. შესთავაზეთ სკოლას იდეები და online ჩართვის ფორმატში განახორციელეთ არაფორმალური განათლების აქტივობები. მაგალითად, ისწავლეთ და ასწავლეთ შვილს და მის თანაკლასელებს ონლაინ უსაფრთხოების წესები. ესაუბრეთ პროფესიულ არჩევანზე, ემოციებზე და/ან სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის მნიშვნელობა-ზოგჯერ მშობელს ან სკოლის თანამშრომელს არ ესმის მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა. ერთ-ერთი ბარიერი ის არის, რომ ეს თანამშრომლობა დამატებით დროს მოითხოვს. არაერთი კვლევით დასტურდება, რომ მშობელთა ჩართულობა მთელ სასკოლო საზოგადოებაზე დადებითად აისახება. ამიტომ, დაარწმუნეთ ერთმანეთი, რომ საერთო მიზნის მისაღწევად თქვენთან თანამშრომლობა სასარგებლო და მნიშვნელოვანია. (მაგალითად, შესთავაზეთ მასწავლებელს საგაკვეთილო პროგრამის Power Point-ში აწყობა ან მასთან ერთად მოიფიქრეთ შემოქმედებითი საშინაო დავალება მიმდინარე საგაკვეთილო საკითხთან დაკავშირებით და ა.შ. ცხადია, იგივე ან მსგავსი ინიციატივების გამოჩენა მშობლებთან მიმართებაში პედაგოგებსაც შეუძლიათ.)

ერთმანეთზე ზრუნვა-ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთი მხარე სრულ მზაობას გამოთქვამს ან ზედმინუნით კარგად ასრულებს თავის მოვალეობებს. როგორც წესი, გაღიზიანებას იწვევს, თუ მეორე მხარე დისტანციური სწავლის პროცესში არ/ვერ ერთვება. ნუ მიიღებთ პირად შეურაცხყოფად, თუ იგრძობთ, რომ თქვენი ზარებით და წერილებით ვინმეს თავი მოაბეზრეთ. გახსოვდეთ, რომ მთელი ეს პროცესი დროებითია და მსოფლიო პანდემიის პირობებში ხორციელდება. შესაძლოა იმ ადამიანებს-მოსწავლეებს, მშობლებს თუ პედაგოგებს, ახლა სხვა ტიპის დახმარება და თანადგომა უფრო სჭირდებათ, ვიდრე თქვენ სთავაზობთ. ამიტომ, დაზოგეთ ერთმანეთი და მოემზადეთ ახალი სასწავლო წლის ჩვეულ რეჟიმში გასაგრძელებლად.



ინმა კახუჩაშვილი

მოსწავლეები ონლაინ სწავლის გამონვევების პირისპირ. რას ფიქრობენ ისინი.

ახლახან, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ COVID-19-ის 2020 წლის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევ ანგარიშში, სადაც 98 ქვეყნის მაგალითი განიხილებოდა, საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები დადებითად შეაფასა. საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, ბევრმა სკოლამ დისტანციურ სწავლა-სწავლებებზე გადასვლას კარგად გაართვა თავი და მოახერხა ონლაინ კომუნიკაციის არხების ათვისება და სასწავლო პროცესის მასზე მორგება.

სასკოლო განათლების შესაძლებლობების გასაზრდელად სასწავლო პროგრამამ ტელეტრანსლაციის სივრცეშიც გადაინაცვლა. თავის მხრივ, მასწავლებლებს და მოსწავლეებს მოუწიათ, დაჩქარებულად აეთვისებინათ მათთვის აქამდე ნაკლებად პოპულარული ონლაინ ინსტრუმენტები, ვირტუალური საკლასო ოთახების მართვის ინსტრუქციები. თუმცა, დიდ გამოწვევად დარჩა ინტერნეტზე წვდომა, განსაკუთრებით რეგიონებში და ასევე, შესაბამისი ინსტრუმენტების ქონა.

ჯერჯერობით რთულია ონლაინ სასწავლო პროცესის ხარისხის ზოგადი შეფასება, მაგრამ ონლაინ სწავლის გამოწვევებთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები მოსწავლეებს უკვე შეექმნათ. რას ამბობენ ისინი:

ნიკოლოზი , VIII კლასი (თბილისი):

“

არდადეგები რომ გაგვიგრძელდა, ცოტა გამიხარდა, თუმცა მერე, ონლაინ სწავლაზე რომ გადავედით, ჩემთვის ეს მოულოდნელობა იყო. მაგრამ გაოცებული დავრჩი, თუ როგორ სწრაფად მოახერხა სკოლამ ამის ორგანიზება.

ხმაური რომ არ ყოფილიყო, პირველივე დღეს კლასი ორ ჯგუფად გაიყო. პირველ გაკვეთილად მათემატიკა ჩაგვიტარდა და თავს ნაკლებად კომფორტულად ვგრძნობდი, მაგრამ მასწავლებელი იმდენად მომზადებული იყო, რომ ეს განცდა მალევე გამიქრა.

კარგი რამ, რაც ასეთ სწავლებაში მაშინვე გამოჩნდა, ის იყო, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს მეტ ყურადღებას გვაქცევდნენ. თვითონაც გაკვეთილებისთვის უფრო კარგად ემზადებოდნენ.

პირველი წესი, სასწავლო დღის დაწყებამდე ჩართული კამერის და მიკროფონის შემოწმებაა. შემდეგ გაკვეთილიც იწყება. მაგალითად, გუშინდელი დღე დილის ათ საათზე დამეწყო. არავის დაუგვიანია. ბავშვები ერთმანეთს ორი წუთი თუ ველით. უკვე შევეჩვიეთ და დავგვიანების პრობლემა არ გვაქვს.

ჩემს კლასში ერთი გაკვეთილი ნახევარსაათიანია, თუმცა, ზოგი მასწავლებელი, ჩვენთვის მნიშვნელოვან საგნებში, ამ დროს ხუთ-ათ წუთს ამატებს. დღეში ოთხი გაკვეთილი მიტარდება. გაკვეთილებს შორის დიდი დროა, ხან ნახევარსაათიანი შუალედით, ხან - საათიანი. შუალედებში მომდევნო საგნის გამეორებას ვასწრებ, ცოტას ვისვენებ კიდევ, რაც ძალიან მომწონს, უფრო კომფორტულია, ვიდრე სკოლის შესვენება.

ასევე, მომწონს, რომ დილით გადარბენა არ მიწევს. ჩემი სკოლა სახლთან არც ისე ახლოსაა. დიდი დრო მჭირდება მოსაწესრიგებლად, ჭამაზე, გზაში. ახლა აღარ ვჩქარობ. სახლში როგორც მაცვია, გაკვეთილზე ისე შევდივარ. თუმცა, ამან შესაძლოა, ცოტა გამაზარმაცოს კიდევ. თავდაპირველად, ერთი-ორჯერ, გაკვეთილზე ნახევრად მძინარე ჩავერთე.

ონლაინ სწავლებაში დისკომფორტს ის მიქმნის, რომ სახლში ყოველთვის არ არის სიმშვიდე. სახლის ხმაური მასწავლებლებსაც ესმით, მაგრამ უმეტესობა ითვალისწინებს შენს მდგომარეობას. მე ორი უფროსი და მყავს, სტუდენტები არიან და მათაც აქვთ ჩართვები. ჩემს სახლში კი ყველა ოჯახის წევრის განცალკევება შეუძლებელია.

სამაგიეროდ, დისტანციური სწავლების დროს შესრულებული დავალების ჩვენებაზე იმდენად აღარ ვწერვიულობ, არც ტექსტის მოყოლისას ვარ ისეთი დაძაბული, როგორც სკოლაში.

ონლაინ სწავლებას სწრაფად შევეჩვიე. დიდად არც მასწავლებელთან პირადი ურთიერთობის ნაკლებობას განვიცდი. გაკვეთილები ოთხ-ხუთ საათზე მიმთავრდება. გაკვეთილების მერე, ეკრანთან დიდხანს ჯდომის გამო, ზოგჯერ თავი ან თვალები შეიძლება მეტკინოს.

ხანდახან მასწავლებელს ინტერნეტი „უჭედავს“ და ამ დროს გეშინია, რამე მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეს. მერიდება ხოლმე, მასწავლებელს გამეორება ვთხოვო. სკოლაში, კლასში, კითხვების დასმა უფრო მიადვილდებოდა.

ჩემი აზრით, ონლაინ სწავლების ხარისხი უფრო მასწავლებელზეა დამოკიდებული. მომთხოვნი მასწავლებელი ვინც გვყავდა, მაგალითად, ქართულში, ისეთივე დარჩა, უფრო გამკაცრდა კიდევ, ჩვენც უფრო მობილიზებულები გავხდით. აქამდე არც ერთი საგანი არ ჩაგვშლია.

ჩემს სკოლაში მასწავლებლები მშობლებს წერილებით ეკონტაქტებიან. ანგარიშს აბარებენ, როგორ ვსწავლობთ, როგორ მიდის ჩვენი საქმე. რასაც გავძლევინ მასწავლებლები დავალებად, მშობლებსაც ეგზავნებათ ჩვენი დავალებები. ამიტომ, მათაც ვერაფერს გამოაპარებ.

მაგრამ, მე თუ მკითხავთ, პირისპირ სწავლა მირჩევნია. კლასელებთან ერთად სწავლა უფრო მეხალისება. ახლა თითქოს ერთმანეთს დავშორდით. მხოლოდ გაკვეთილებზე ვხვდებით.

თუმცა, ამ რეალობაში, სწავლის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა გამიჩნდა.



კესო , IV კლასი (ჭიათურა)



ყველაზე ცუდი დისტანციურ სწავლაში ის არის, რომ ჩემს მეგობრებს, რომლებიც ძალიან-ძალიან მიყვარს, ვერ ვხედავ. სოფელში ხშირად გაუმართავია ინტერნეტი და ერთმანეთს ვერც კი ვესაუბრებით.

მაგრამ მომწონს ის, რომ დილით ადრე ადგომა და სკოლაში წასვლა არ მჭირდება. ჭამასაც ვასწრებ და მასწავლებელს ტელეფონითაც მშვიდად ველაპარაკები. მომწონს, რომ უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს და ჩემს და-ძმასთან გართობას ვასწრებ.

მაგალითად, დღეს დილით თავისუფალი ვიყავი, რადგან ინგლისური სამ საათზე მქონდა. მანამდე შემეძლო მესწავლა. ისე, ტელეფონით გაკვეთილის ჩაბარება ძნელია - შეიძლება ინტერნეტი უცებ განწყდეს და ყველა ერთბაშად გამოვეთიშოთ გაკვეთილს, როგორც გუშინ მოხდა. თან, ტელეფონით ვერავის სახეს ვერ ვხედავ და ეგეც ცუდია.

ზოგ ბავშვს ინტერნეტი არც აქვს და მასწავლებელი ისე ურეკავს, ტელეფონით უხსნის გაკვეთილს. ბავშვები ვერ გვერთვებიან. კლასში სულ ექვსნი ვართ, ონლაინ გაკვეთილი კი 3-4 ბავშვს გვითარდება. მე, მაგალითად, კომპიუტერიც მაქვს, მაგრამ ვერ ვიყენებ. კამერას როგორც კი ჩავრთავ, ინტერნეტი „ჭედავს“.

ხშირად მასწავლებლებს ძალიან ხმამაღლა უწევთ ლაპარაკი, რადგან ხმა კარგად არ გვესმის. დედაჩემიც მასწავლებელია და ამბობს, რომ ახლა ბევრად მეტი ენერჯია მეხარჯებაო...

ჩვენ ცხრილი არ გვაქვს შედგენილი. მასწავლებელი გვირეკავს, წინასწარ გვითანხმდება, გვწერს, გვეკითხება, რომელ საათზე გვცალია და მერე გვითარებს გაკვეთილს. მართო ინგლისურის დღე გვაქვს დადგენილი-პარასკევი, სამი საათი.

ყველაზე მეტად მათემატიკა მიყვარს, მაგრამ რომ გავიზრდები, მოცეკვავე მინდა გამოვიდე. ზუსტად დღეს დაგვირიგეს მათემატიკის მეოთხე ნაწილი. მასწავლებელი გვერდს მოგვწერს, დავალებას მოგვინიშნავს და თუ ასახსნელია რამე, ახსნის. შესრულებულ დავალებას ფოტოს გადავუღებ და გავუგზავნი. არ არის რთული.

მენანება სპორტის გაკვეთილები, ვვარჯიშობდით ხოლმე ერთად, კალათბურთს, წრეში ბურთს ვთამაშობდით. ახლა მოსაწყენია. მართომ უნდა აკეთო ყველაფერი. მართო კეთება უხალისოა. ახლა სპორტის მასწავლებელი სხვადასხვა ვიდეოებს გვიგზავნის და სახლში ვვარჯიშობ... მუსიკის გაკვეთილიც მოსაწყენია. სკოლაში ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით და ეს ძალიან მახარებდა.

სკოლაში სულ 60 მოსწავლე ვართ. იმედი მაქვს, რომ შემოდგომაზე სკოლაში წავალ.

სკოლა ჩემს სახლთან ახლოს არის, ჭიშკრიდანვე მოჩანს. გზაზე დიდი ტყემლის ხეა და ამ დროს ნაყოფი სულ დაცლილი ჰქონდა. ახლა კი, ვინც ამ ხის სიახლოვეს ვცხოვრობთ, მართო ისინი ვკრეფთ და გული მწყდება...





ონლაინ სწავლით რომ ბედნიერი ვარ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ვაცნობიერებ, რომ ეს წელი არ დაგვეკარგა და სასწავლო პროცესი გაგრძელდა, რაც ძალიან მახარებს.

ახლა უკვე ნაკლები ხარვეზებით ვსწავლობთ. პირადად მე, გადანყოფა არ გამჭირვებია. ადრე საკმაოდ აქტიურად ვიყენებდი ონლაინ ჩართვებს მეგობრებთან, დეიდაჩემთან ურთიერთობის დროს-ის საზღვარგარეთ ცხოვრობს. უბრალოდ, ამ ყველაფერს სწავლაც დაემატა, ანუ ტექნოლოგიების ათვისების მიმართულებით ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. შესაჩვენებელი არ ყოფილა.

თუმცა, გულდანწყვეტილი დავრჩები, ეს ყველაფერი მომავალ წელსაც თუ გაგრძელდა. ისედაც უკვე ცოტა გულდანწყვეტილი ვარ-სკოლა მენატრება. მეორე მხრივ, სხვა გზა თუ არ გვექნა, მეც, როგორც ყველას, შეგუება მომიწევს. ვეცდები, მაქსიმალურად მოვერგო ონლაინ ცხოვრებას და მისი სიკეთეები გამოვიყენო.

თავიდან დაბნეულები ვიყავით, მათ შორის მასწავლებლებიც, მაგრამ ალღო ავუღეთ. ის მასწავლებელი, რომელიც ადრე კრეატიული მიდგომებით გამოირჩეოდა, ჩემი დაკვირვებით, ახლა, ონლაინ სივრცეში ოდნავ მოიკოჭლებს. ის, ვინც ნაკლებად შემოქმედებითი იყო, მეტად მოინდომა, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო გაეხადა.

ზოგჯერ მასწავლებლებს ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებათ, განსაკუთრებით მათ, ვინც ინტერნეტ სივრცეში ნაკლებად ერკვეოდა. ამ მასწავლებლებისთვის ძნელია კრეატიულ მიდგომებზე ფიქრი, ჯერ ტექნოლოგიები უნდა აითვისონ.

ადრე სკოლაში დავდიოდი, სკოლის შემდეგ-სპორტზე, სახლში გვიან ვბრუნდებოდი და ღრმად მეძინებოდა. ახლა, როდესაც ეკრანთან, ერთ ადგილზე ვზივარ და ფიზიკურ აქტივობებში აღარ ვარ ჩართული, საკმარისად ვერ ვიღლები და ძილის პრობლემები მაქვს. გვიან ვიძინებ, ადგომა ადრე მიწევს, ჩვეული რეჟიმიდან ამოვვარდი.

რაც შეეხება სწავლას, ამასთან დაკავშირებით ნაკლები პრობლემა მაქვს. უფრო პირდაპირი კონტაქტის დეფიციტს განვიცდი, ადამიანებთან ურთიერთობის დანაკლისს.

მასწავლებელთან დალაპარაკებამდე ახლა მეტი საფეხურის გავლა გინწევს-თუ რამე ვერ გაიგე, ჯერ უნდა მისწერო მასწავლებელს, სცალია თუ არა და მერე ჰკითხო. სკოლაში, უბრალოდ, მიხვიდოდი მასწავლებელთან და ჰკითხავდი.

სულ სხვაა, როცა მასწავლებელი რეალობაში ხსნის გაკვეთილს. ეკრანით კავშირის დროს, კამერა თუ გამორთე, მასწავლებელი შეიძლება ვერ მიხვდეს, გაიგე თუ ვერ გაიგე ახსნილი. ეკრანზე ბევრი ნიუანსი არ ჩანს-ემოციები, მიმიკა, რომელსაც ცოცხალ გაკვეთილზე კარგი მასწავლებელი უცბად „იჭერს“.

კლასში რომ ხარ და მასწავლებელს პირდაპირ უყურებ, ბევრად სასიამოვნოა სწავლა. ასე კი, ვირტუალურად, მიჩვევის მიუხედავად, მაინც სტრესულია.





დისტანციური სწავლება დიდი ხანია არსებობს, უბრალოდ, ამ პირობებში მისი მეტი საჭიროება გაჩნდა. მე ორივე სწავლებას ვაღიარებ-პირდაპირ და ონლაინსაც, ორივეს შეუძლია იარსებოს, ორივე განათლებას ემსახურება, მაგრამ უფრო პირისპირ სწავლისკენ და ცოცხალი უკუკავშირისკენ ვიხრები.

რაც ონლაინ სწავლაზე გადავდით, ჩვენი სკოლა სასწავლო პროგრამას არ ჩამორჩენია. ყველაფერი მარტივად არის მოწყობილი-ბუმში შევდივართ და გაკვეთილი იწყება. არც მოსამზადებლად გვჭირდება ბევრი დრო.

კარგია, რომ დღეში მაქსიმუმ სამი გაკვეთილი გვაქვს. თითოეულისთვის დაახლოებით ერთ საათამდეა გამოყოფილი. ერთი გაკვეთილიდან მეორემდე იმდენი დროა, რომ მოცემულ დავალებებს ვასრულებთ.

შესაძლოა, ისეთი რაღაცები ვერ გავაკეთოთ, რასაც სკოლაში ვაკეთებდით, მაგრამ მასწავლებლები ახლა უფრო მრავალფეროვან დავალებებს გვაძლევენ. ჩვენი აქტივობებიდან გამოდინარე, ისინიც მოტივირებულები არიან.

სკოლა, მასწავლებლები რაღაც სისტემაში მოექცნენ. იციან, როდის უნდა მოგვცენ დავალება, როდის უნდა ჩაიბარონ. სასწავლო გრაფიკი შედგენილია და მიჰყვებიან. ახალი იდეებიც მოსდით, თუ როგორ არ უნდა გახდეს გაკვეთილი მოსაწყენი.

თუმცა, ისეთ საგანში, როგორც ბიოლოგია-ის ძალიან მომწონს-ცვლილებების ვიგრძენი. სკოლაში სწავლის დროს, ბიოლოგიაში ბევრ სხვადასხვა შესაძლებლობას ვიყენებდით, გვქონდა სამეცნიერო პრაქტიკის დღეები, ვატარებდით ცდებს. ახლა ეს საგანი უფრო ინფორმაციული გახდა. მართალია, საინტერესო დავალებებს გვაძლევენ, მაგრამ საგნებს შორის ყველაზე დიდი ცვლილებები მაინც ბიოლოგიას შევამჩნიე.

ონლაინ სწავლებას თავისი მინუსები აქვს:

პირველი-გრაფიკის პრობლემა, რომელიც ჩემი ცხოვრების წესის მიხედვით მქონდა აწყობილი. სახლში ხუთ საათზე ვბრუნდებოდი, შემდეგ ვმეცადინებოდი. ახლა ეს გრაფიკი გვერდზე გადავდე და ახლის შექმნა მიწევს, ჯერ კარგად ვერ ჩამოვყალიბდი, „ექსპერიმენტების“ პროცესში ვარ.

მეორე-სახლში ვერ შევქმენი სასკოლო სივრცე და ეს პრობლემაა. ჩემთვის სახლი არ არის კომფორტული გარემო გაკვეთილებზე დასასწრებად. სახლი ვერ ქმნის სამუშაო, სასკოლო განწყობას.

ჩემი აზრით, ონლაინ სწავლას ბევრი დადებითი ასპექტი აქვს. შეიძლება დროთა განმავლობაში მეტად დაიხვენოს, კიდევ უფრო მეტი პლუსი ჰქონდეს, მაგრამ სკოლას მაინც ვერ შეედრება. სკოლაში კომუნიკაციას, ხალხთან ურთიერთობას ვსწავლობთ. მით უმეტეს, ჩვენს სკოლაში ისეთი აქტივობები გვაქვს, რომელიც გვეხმარება არა მხოლოდ მეგობრებთან, არამედ მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში, რაც ონლაინ სწავლის დროს თითქმის შეუძლებელია.



“

მინდა მალე დავუბრუნდე ჩემს სკოლას. მარტის მერე გამიჭირდა ასეთ პირობებში მეცადინეობა. ისეთი განცდა მაქვს, რომ რაღაც კარგად ვერ ვისწავლე, რაღაც ისე ვერ ვიმეცადინე, როგორც სხვებმა. ვერ ვახერხებ სრულყოფილად ონლაინ სწავლებაში ჩართვას-სახლში არ გვაქვს ინტერნეტი, არც ლეპტოპი მაქვს და არც ისეთი ტელეფონი, რომ ჩავერთო. ჩემს დას აქვს ბუკი, მაგრამ ახლახან ისიც გაფუჭდა. კლასში 16 ვართ და მგონი, მართო მე აღმოვჩნდი ასეთ მდგომარეობაში...

ძირითადად, ტელესკოლას ვადევნებ თვალს და ეგ არის ჩემთვის სწავლაც და იმედიც. ძალიან მომწონს ტელეგაკვეთილები და მათ ცხრილს მივყვები. წინასწარ ვემზადები ხოლმე ამ გაკვეთილებისთვის. ზოგი მასწავლებელი მართლაც საინტერესოდ ხსნის. ვცდილობ, გაკვეთილი არ გამოვტოვო, რადგან ის წინას გაგრძელება შეიძლება იყოს. გუშინ გეოგრაფიას, ბიოლოგიას, ისტორიას „ვუყურე“ და ვცდილობდი, არაფერი გამომრჩენოდა. დავალებებსაც კეთილსინდისიერად ვაკეთებ და თუ რაღაც ვერ გავიგე, ოჯახის წევრებს ვეკითხები.

ინტერნეტთან დაკავშირებული ჩემი პრობლემა კლასის დამრიგებელმა იცის, სხვა მასწავლებლებმაც და თავიდანვე ყველა ცდილობდა დამხმარებოდა. დამრიგებელი მირეკავდა ხოლმე, ვინიშნავდი გაკვეთილებს. მაგრამ დავალებებს რომ ვასრულებდი, ვერ მიმონებდნენ. ასეთ სიტუაციაში მასწავლებელი იძულებულია მენდოს, თუ როგორ და რას გავაკეთებ, როგორ ვიმეცადინებ.

რა თქმა უნდა, განვიცდი. მაინც უსიამოვნო განცდაა, როდესაც სხვა ბავშვები სწავლობენ, შენ კიდევ ვერ...

სკოლაში რაც არ დავდივარ, მეტი თავისუფალი დრო მაქვს-ძირითადად წიგნებს ვკითხულობ. ჩემი კლასელები მენატრებიან. იშვიათად, ჰაერზეც გავდივარ.

დროდადრო მასწავლებლები ტელეფონით მიკავშირდებიან, მაგრამ ეს მაინც ვერ შეედრება სკოლის გაკვეთილებს და მასწავლებლებთან პირისპირ ურთიერთობას. მაგალითად, მათემატიკას ეგრე იოლად ვერ ისწავლი. ათასი რამეა, რასაც მასწავლებლის ახსნა სჭირდება. მასწავლებლის გარეშე ძნელია. დედა ამბობს, რომ ზაფხული წინაა და თუ ჩამოვრჩები რომელიმე საგანში, აუცილებლად მომეხმარება.

ვიმედოვნებ, რომ მალე სახლში ინტერნეტი მექნება, რაც ბევრ პრობლემას მომიგვარებს. თუმცა ინტერნეტის გარდა, ასეთი სწავლებისთვის ეკრანიანი მონყობილობა დამჭირდება...

”



ადრე თაგვეთში იყო სკოლა, მაგრამ ახლა აღარაა და ამიტომ ცხრამუხაში დავდივარ, მაგრამ ვირუსის გამო ისიც დაიხურა და სახლში სწავლა მიწევს, ყველაფერი შეიცვალა, სხვანაირად დავიწყე ცხოვრება და არ მომწონს.

ჩემს ოჯახში ტელეფონი მხოლოდ მამას აქვს, პატარა ნოკია. არც ინტერნეტი გვაქვს სახლში. კომპიუტერიც არ გვაქვს. ჩემს სოფელში თუ ვინმეს ინტერნეტი აქვს, ტელეფონით აქვთ ნაყიდი... ჩემს სოფელში ამას ბევრი ვერც ახერხებს. აქ ბევრი ადამიანი ისედაც არ ცხოვრობს.


თავიდან სასკოლო დავალებები კლასის დამრიგებლის ქმარს მოჰქონდა ხოლმე ჩემამდე. ახლა რომ დავწერ, თვითონ მიმაქვს, მერე ის ახალს მატანს, მერე ისევ მიმაქვს და ასე...

ცხრამუხამდე ჩემი სახლიდან ერთი საათის გზაა, კაი შორია. დავალებებსაც ახლა ცოტა-ცოტას გვაძლევენ და ეგ თან მიხარია, თან-არა, ნახევარ საათში უკვე ყველა დავალება გაკეთებული მაქვს.

მე სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მაღალ ნიშნებს მიწერდნენ. ახლა კი სულაც არ მომწონს ამდენი თავისუფალი დრო. სახლშიც ბევრი საქმეა, მაგრამ მე სწავლა მინდა, ჩემს კლასელებთან ერთად ყოფნა. მომენატრა ხელოვნებისა და ბუნების გაკვეთილები, ისინი ჩემი საყვარელი გაკვეთილებია.

სახლში მეცადინეობა, ძირითადად, მარტო მიწევს. მალე კი ვსწავლობ, მაგრამ კვირაში ერთხელ მასწავლებელთან ურთიერთობა ცოტაა.

ჩემი უფროსი ძმა 12 წლისაა. მას მასწავლებლები უფრო ხშირად ურეკავენ, ეუბნებიან, ესა და ეს ნაიკითხეო და დავალებასაც აძლევენ. არ ვიცი, ის როგორ სწავლობს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემს საკლასო ოთახში მალე დავბრუნდე.





სოფო ფახაშია

ჩესუნსები და ინსტრუმენტები დისტანციური სწავლებისთვის

მასწავლებლები, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, სრულიად მოულოდნელად, თითქოს სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. ამ უჩვეულო გარემოში კი ყველაფერი, რის გაკეთებაც ჩვენ მოგვიხდა და შევძელით, ალბათ წლების წინ ვინმეს რომ შემოეთავაზებინა, არარეალურად და შეუძლებლად მოგვეჩვენებოდა.

რთული იყო ეს მოულოდნელი სინამდვილე, მაგრამ ალბათ საჭიროც. ყოველი დღე თითქოს ახალი გამოწვევაა, ახალ-ახალი საფიქრალითა და დატვირთვით. პირისპირ სწავლების პროცესში, შესაძლებლობა იმისა, რომ ერთმანეთს შევხვედროდით და გამოცდილება გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის, გაცილებით ნაკლები იყო. შექმნილი გარემოების გამო, ყველანი ერთმანეთის ვირტუალური მეგობრები გავხდით. ვცდილობთ, ვაგრძნობინოთ ერთურთს, რომ მართლ არ ვართ. ასეთი ურთიერთანამშრომლობა, მართლაც სამაგალითო და დასაფასებელია. კოლეგებმა მალევე დავიწყეთ საგნობრივი თუ სხვადასხვა ტიპის ჯგუფების შექმნა და გამოცდილების გაზიარება. ასევე აუცილებელი იყო, ჩვენს მოსწავლეებს არ ეგრძნოთ, რომ მასწავლებლებმა თავი ვერ გავართვით ამ სირთულეს და არ შეგვეძლო მობილიზება უწყვეტი სასწავლო პროცესისთვის. ჩვენი ვალდებულებაა, მათ არ ვაგრძნობინოთ სირთულეები და პოზიტიური გარემო ვირტუალურ სივრცეში გადავიტანოთ, რადგან სწავლა-სწავლების ასეთი ფორმა მათთვისაც უცხოა და მთელ რიგ სტრესებთან არის დაკავშირებული.

შევეცდები, გაგიზიაროთ ის საინტერესო რესურსები, რომლებიც მოსწავლეებთან ურთიერთობაში და დისტანციური სწავლების საინტერესოდ და სახალისოდ წარმართვაში დაგვეხმარება.

სასწავლო პროცესში, სხვადასხვა საგანში ძალზე საინტერესო გაკვეთილებით, ჩვენს მასწავლებლებს და მოსწავლეებს მალევე შემოეშველა „ტელესკოლა“. შეიქმნა სივრცე, სადაც "საკლასო ოთახი მთელი საქართველო გახდა".

ტელესკოლა

არსებული გამოწვევების დაძლევაში, კოლეგებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციაში სამი პლატფორმა დაგვეხმარა: მაიკროსოფტ თიმსი (Microsoft Teams), გუგლ მითი (Google meet) და ზუმი (Zoom). ამ პლატფორმების საშუალებით ადვილად დავგვემთ შებვედრები და საგანმანათლებლო პროცესზე მორგებული გაკვეთილები ჩავატარეთ, რომელსაც დღესაც წარმატებით ვაგრძელებთ. აქვე გაგიზიარებთ ყველა იმ ძირითადი საკითხების ვიდეო ინსტრუქციებს, როგორცაა: კლასის გააქტიურება, შეტყობინების დატოვება, ვიდეო ზარის წამოწყება, დავალების მიცემა და უკუკავშირი, ქვიზის შექმნა, კალენდარში გაკვეთილის ჩანიშვნა და ა. შ., რაც თიმსის უკეთ გამოყენებაში დაგვეხმარებათ:

ვიდეოინსტრუქციები

გარდა ამისა, მინდა შემოგთავაზოთ სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომლებიც ჩვენს დისტანციურ სასწავლო პროცესს საინტერესოს გახდის და გაგვიადვილებს ცოდნის გადაცემისა და მიღების პროცესს:

ინტერნეტგაზეთი <http://mastsavlebeli.ge>

მასწავლებლებს ყოველთვის გვანებივრებდა საინტერესო რესურსებით, ამ სიტუაციაშიც ჩვენი დიდი მხარდამჭერი აღმოჩნდა და ვებ-გვერდი სწრაფად იკვებოდა ჩვენს საჭიროებებზე მორგებული ახალ-ახალი რესურსებით, რომლებიც ჩვენი გზამკვლევი აღმოჩნდა დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესში. გიზიარებთ წიგნს, რომელშიც გაეცნობით მასალებს ჩვენი მასწავლებლების დისტანციური გაკვეთილებიდან. ეს გაკვეთილები, უკეთესი ორიენტირებისთვის რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი: გაკვეთილები, რომლებიც საკლასო ოთახებში შეგვეშველებიან, უსაფრთხოების გაკვეთილები, გაკვეთილები მშობლებისთვის და გაკვეთილები, რომლებიც აუცილებლად თან უნდა ვიკითხოთ.

გაკვეთილები დისტანციური სწავლებისთვის

აუცილებლად გამოგადგებათ რეკომენდაციები ეფექტური ვიდეო-გაკვეთილების შექმნისთვის, სადაც გაეცნობით, როგორ დავგვემთ და წარვმართოთ ვიდეო-გაკვეთილი ისე, რომ შევძლოთ საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა და მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი დონის შენარჩუნება.

რეკომენდაციები ეფექტური ვიდეო-გაკვეთილების შექმნისთვის

ჯგუფური მუშაობა დისტანციური სწავლებისას

დისტანციური სწავლება როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული, ძირითადად, ინდივიდუალურ დავალებებს მოიცავს. იმ ფონზე, როდესაც მოსწავლეები სახლებში იმყოფებიან, დიდია მათი ასოციალიზაციის რისკი. ამასთან, შეიძლება ჩამოყალიბდეს ადიქციური ქცევა. ვფიქრობ, მიუხედავად შექმნილი გარემოებისა, მასწავლებლებმა ხელი უნდა შევუწყონ ჯგუფური მუშაობის ელემენტების შემოტანას, ჯგუფური მუშაობისთვის კი ძალიან მოსახერხებელია ე.წ პადლეტის დაფა, რომლის გამოყენების ვიდეო ინსტრუქციასაც ასევე იხილავთ ბმულზე

ჯგუფური მუშაობა დისტანციური სწავლებისას

სწავლა-სწავლება პანდემიის დროს

როგორ გამოვიყენოთ ფილმები, წიგნები და სხვადასხვა ინსტრუმენტები შემოქმედებითი და მრავალფეროვანი გაკვეთილისთვის

[სწავლა-სწავლება პანდემიის დროს](#)

ფიზიკური აღზრდა დისტანციური სწავლების დროს

ფიზიკური აღზრდა და სპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დისციპლინაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ბავშვის, როგორც ფიზიკური, ისე კოგნიტური, მეტყველებისა და სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებაში. ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას და გაკაჟებას, სხეულის პროპორციებისა და სწორი ტანადობის ჩამოყალიბებას, მოსწავლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების გაუმჯობესებას. სტატიაში იხილავთ, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეებმა სახლის პირობებში სწორად ივარჯიშონ.

[ფიზიკური აღზრდა დისტანციური სწავლებისას](#)

სხვადასხვა სპორტული აქტივობები ასევე შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

[სპორტული აქტივობები](#)

ვფიქრობ, თქვენს მოსწავლეებს განსაკუთრებით გაახალისებს საქართველოს ეროვნული არქივის მიერ შემოთავაზებული ქართული ზღაპრების აუდიო ბიბლიოთეკა, სადაც მათ ზღაპრებს გამოჩენილი ქართველი მსახიობები წაუკითხავენ:

ქართული ზღაპრები

ქართული ზღაპრები ახალი ჩანაწერები

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა იბრუნა პატარებზე და სპეციალურად მათთვის შექმნა ონლაინ ფორმატით ნიკო ფიროსმანაშვილის პერსონაჟების მიხედვით გასაფერადებელი ნახატები. ჩვენს პატარებს შესაძლებლობა აქვთ ფიროსმანის ნახატებსაც გაეცნონ:

[ფიროსმანი](#)

ვფიქრობ, საინტერესო რესურსია ისტორიის მასწავლებლებისთვის „ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“, რომლის საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან უნიკალური ექსპონატების ისტორიებსა და ფაქტებს, რომელსაც ვერც საგამოფენო ეტიკეტზე ამოიკითხავენ და ვერც საინფორმაციო დაფაზე:

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია

ხელოვნების მასწავლებლები აღნიშნული ბმულის დახმარებით (<https://www.artsteps.com>) საშუალებას მისცემენ მოსწავლეებს განივიტარონ ფანტაზიის და წარმოსახვის უნარი, მათ შესაძლებლობა აქვთ, შექმნან საკუთარი ვირტუალური საგამოფენო სივრცე, ამაში კი ვიდეო ინსტრუქცია დაგეხმარებათ:

ვირტუალური საგამოფენო სივრცის შექმნა

ხატვის მასწავლებლები კი მარტივად გააცნობენ მოსწავლეებს ხატვის უნიკალურ ტექნიკას, ხატვის ორიგინალურ და მარტივ მეთოდებს:

ხატვის მეთოდები

ბევრი საინტერესო მასალა და ელექტრონული რესურსია ქიმიის სწავლებისთვის, მათ შორის, ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილები ქიმიასში, რომლებიც ძირითადად ექსპერიმენტული ნაწილითაა დატვირთული, შეგიძლიათ, იხილოთ კლასებისა და თემების მიხედვით ბმულზე:

ტელესკოლის ვიდეოგაკვეთილები ქიმიასში

www.el.ge ელექტრონული ბიბლიოთეკა გთავაზობთ კომპლექსური საშინაო დავალებების კრებულებს სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით, I-XII კლასის მოსწავლეებისთვის. აქვე განთავსებულია ვიდეოები, ანიმაციები, ვებინარები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები და ა. შ.

ვიდეო გაკვეთილები ცალკეული თემების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

ვიდეოგაკვეთილები

საბუნებისმეტყველო საგნებში მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის ექსპერიმენტული ნაწილით უზრუნველყოფა, სიმულაციები კი დისტანციური სწავლა-სწავლების პირობებში ძალზე გამოსადეგი სასწავლო რესურსებია. გთავაზობთ სიმულაციებს სხვადასხვა საგანში. რესურსების ძირითადი ნაწილი ქართულადაა თარგმნილი, მხოლოდ ტერმინები შეიძლება შეგხვდეთ ინგლისურ ენაზე:


ფიზიკა

ბიოლოგია

ქიმია


ბუნებისმეტყველება

მათემატიკა



ბიოლოგიის მასწავლებლები შეძლებენ, ანიმაციების ფონზე აუხსნან მოსწავლეებს გენეტიკის რამდენიმე საკითხი:

<https://learn.genetics.utah.edu/content/basics/>



შეგიძლიათ იხილოთ მარტივი სიმულაციები ბუნებისმეტყველებასა და ქიმიაში:

სიმულაციები ბუნებისმეტყველებასა და ქიმიაში:

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო თამაშების პროგრამების გადმონერას შეძლებთ ბმულიდან:


საგანმანათლებლო თამაშები

დაბოლოს, მინდა გაგიზიაროთ ვებ-გვერდი www.Quizlet.com, რომელიც ძალზე მოხერხებული და ადვილად აღქმადი ვებ-გვერდია, სადაც შესაძლებლობა გაქვთ, შექმნათ სასურველი რაოდენობის საკითხების, თემების ნუსხა, რომელიც შეგიძლიათ, სხვადასხვა აქტივობის სახით მიაწოდოთ მოსწავლეებს. არის თამაშები, სადაც იწერება ქულები,


რომელთა გაუმჯობესებაც მოსწავლეებს მუდმივად შეუძლიათ. აქვე დავურთავ Quizlet-ით სარგებლობის ინსტრუქციას.

Quizlet-ით სარგებლობის ინსტრუქცია


შედიხართ www.quizlet.com – ზე და მარჯვენა ზედა კუთხეში ირჩევთ “sign up”




გამოიხილეთ ახალი ფანჯარა, სადაც შეგიძლიათ, რეგისტრაციის გავლის გარეშე, აირჩიოთ სისტემაში შესვლა Google ელექტრონული ფოსტის სახელითა და პაროლით ან Facebook-ის მონაცემებით.




თუ მოისურვებთ რეგისტრაციას, მაშინ უნდა შეავსოთ მონაცემებისთვის განკუთვნილი ველები:




ამ ეტაპის დასრულების შემდეგ შედიხართ სისტემაში და ქმნით კლასს:




კლასის შესაქმნელად დაგჭირდებათ შემდეგი მონაცემების შევსება:




შემდეგი ეტაპია მოსწავლეების დამატება:




შექმნილ კლასში ამატებთ სასურველ თემებს (საკითხებს):




გამოჩნდება ახალი ფანჯარა, სადაც უთითებთ სასურველ თემას



სასურველი რაოდენობის საკითხების დამატების შემდეგ, ყველაფერს ინახავთ. ამის შემდეგ თქვენ მიერ შევსებული მასალა მოსწავლეებს მიეწოდება მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით, მაგ: ე. ნ. „ფლეშქარდები“




Learn და Write საშუალებით მოსწავლეს შეუძლია, რამოდენიმეჯერ გაიმეოროს საკითხი. პასუხის დროს საკითხი, რომელშიც ყველაზე მეტ შეცდომას უშვებს მოსწავლე, ინიშნება. მაგ:




ხოლო match და gravity არის თამაშები, რომლებშიც მოსწავლეებს შესაბამისობის პრინციპით კითხვასთან სწორი პასუხების დაკავშირება უწევთ და ასევე უწევთ მისი ჩანერა სპეციალურად გამოყოფილ გრაფაში. ეს ყველაფერი დამოკიდებულია დროზეც. მთელი კლასის მონაცემები გროვდება, იწერება ქულები, რომელთა გაუმჯობესებაც მოსწავლეებს თამაშით შეუძლიათ.


Gravity:



გარდა თამაშებისა, თქვენ ასევე შეგიძლიათ, შექმნათ ტესტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ტიპის კითხვები (არჩევითპასუხიანი, ღია კითხვები, შესაბამისობის, მცდარი/სწორი და ა. შ.) და ამ კითხვებზე მოსწავლეებს პასუხის გაცემა მოუწევთ.



შესაძლებელია ტესტების ამობეჭდვაც



თვალსაჩინოა, რომ ჩვენმა მასწავლებლებმა მალევე თავად დაიწყეს მოსწავლეებისთვის ახალი და საინტერესო დისტანციური რესურსების შექმნა და იმედია, „რესურსების ბანკი“ სამომავლოდ უფრო მეტად გამდიდრდება.



ანა ლვინიანიძე

როგორსა და რატომ უნდა გამოვიყენოთ მანქანი გვაშორებს ანუ დისტანსიური სწავლების ფსიქოლოგია

მასწავლებელს ამჟამინდელი სიახლეები ზოგჯერ სასონარკვეთაშიც ამყოფებს, კვირის ბოლოს გამოფიტვას და დაღლილობას გრძნობს. მისი საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მანძილზე სწავლების თავისებურებებისგან გამომდინარე, გაკვეთილზე დაგვიანებით „შემოსული“ თითოეული მოსწავლისათვის ხელახლა ხსნის მიმდინარე აქტივობის შინაარსს და სასწავლო მასალას.

მოსწავლეებთან პირისპირ ურთიერთობისას, **მთელი ჯგუფი ერთსა და იმავე სივრცეში იმყოფება**. შეგიძლიათ, მოსწავლის ქცევაზე ყურადღების გამფანტავი გამღიზიანებლების გავლენა სწრაფად შეამციროთ, რადგან თქვენც და თქვენი მოსწავლეებიც ერთსა და იმავე გარემოში იმყოფებით, თქვენი უშუალო დასწრება კი ამარტივებს სწავლა - სწავლებისთვის შესატყვისი ქმედებების განხორციელებას. მაგალითად, თუ მოსწავლე გაკვეთილის მიმდინარეობისას, სარგებლობს სოციალური ქსელით, შეგიძლიათ, მას გაკვეთილის მანძილზე, მობილური ტელეფონი ჩამოართვათ. ამჟამად კი, მოსწავლეების უმრავლესობა ისეთ საშუალებებს იყენებს სწავლისათვის, რომლებიც, უშუალოდ უკავშირდება გამღიზიანებლების სიჭარბეს: სოციალურ ქსელში განთავსებული სიახლეები, მეგობრების ფოტოები, მასწავლებლისგან დამოუკიდებლად მიმდინარე საუბრები და ა. შ.

გარდა ამისა, სახლის გარემოს დაკავშირება სწავლასთან საკმაოდ რთულია. თუ კლასიკური განპირობების პრინციპებს დავეყრდნობით, სახლი ნაკლებად უკავშირდება კლასში განცდილ მდგომარეობებს, სწავლისთვის მზაობას, ერთმანეთში აღრეულია სხვადასხვა სოციალური როლი: როგორ მოვიქცე? შვილივით მოვიქცე, მოსწავლესავით, კლასელივით, თუ...? როლების – ირგვლივ მყოფების მოლოდინებთან შესატყვისი ქცევების – ასეთი აღრევა გაკვეთილის უჩვეულობას განაპირობებს, ხოლო სახლში შესრულებული აქტივობების გადაკვეთა ისეთ აქტივობებთან, რომლებიც, როგორც წესი, სკოლასთანაა გაიგივებული, მოსწავლეებში ხელისშემშლელ აჟიტირებას აძლიერებს.

ამიტომ,...

რეკომენდაცია #1-თქვით მოკლედ და გაკვეთილის დაწყებამდე ჩაწერეთ ინსტრუქცია

სცადეთ ინსტრუქციის ვიდეორგოლის სახით ჩაწერა. ეცადეთ, კონკრეტული დავალების შესრულების ინსტრუქცია არ აღემატებოდეს 2 - 3 წუთს.

რატომ გთავაზობთ ამ რეკომენდაციას?

პირისპირ ურთიერთობის დროს, მოსწავლეების ყურადღება მეტ-ნაკლებად მიმართულია სასწავლო პროცესისკენ და თქვენც შეგიძლიათ, თითოეული მოსწავლის კითხვას გულდასმით უპასუხოთ. მანძილზე სწავლების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ეკრანთან ხანგრძლივი მიჯაჭვულობა, ერთდროულად მოლაპარაკე მოსწავლეები და ა. შ. უცნაურ, „გამღიზიანებლების სიტყვების შემდგომ ნაბახუსევს“ მსგავს მდგომარეობას იწვევს. შესაბამისად, თითოეული მოსწავლისათვის ინსტრუქციების ხელახლა, თავიდან ბოლომდე ახსნა იმას გამოიწვევს, რომ, ერთი მხრივ, სწრაფად დაიკარგება მთავარი აქტივობებისთვის განკუთვნილი დრო, ხოლო, მეორე მხრივ, დაკარგავთ იმ მოსწავლეების ყურადღებას, რომლებმაც უკვე გაიგეს ინსტრუქცია.

ინსტრუქციების რამდენიმე წუთიანი ვიდეორგოლის სახით ჩაწერას, სულ მცირე, ორი დადებითი მხარე აქვს:

- ა) შეგიძლიათ, ისინი გაკვეთილის დაწყებამდე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს და სთხოვოთ, წინასწარ გაეცნონ კონკრეტული დავალების შესრულების ინსტრუქციას და გაკვეთილის დაწყებამდე, თუნდაც, ერთი საათით ადრე გამოგიგზავნონ კითხვები მასთან დაკავშირებით.
- ბ) მოსწავლეები, რომელთაც ექმნებათ ტექნიკური დაბრკოლებები, გვიან უერთდებიან გაკვეთილს ან, განსაზღვრული გარემოებებისგან გამომდინარე, არ შეუძლიათ კონკრეტულ გაკვეთილზე დასწრება, დამოუკიდებლად შეძლებენ, გაეცნონ დავალების შესრულების ინსტრუქციას.

იმ შემთხვევაში, თუ არ შეგიძლიათ ვიდეორგოლის ჩაწერა, მოაწესრიგეთ ინსტრუქციები წერილობითი სახით. სასურველია, ისინი დოკუმენტის სახით ატვირთოთ ისეთ ინტერნეტ სივრცეში, რომლითაც სარგებლობა მოსწავლეებს ნებისმიერ დროს, თქვენგან დამოუკიდებლად შეეძლებათ.

რეკომენდაცია #2-ნუ დაივიწყებთ ქალაქს

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მოსწავლეების მშობლებს სურთ, შვილებმა ნაკლები დრო დაეყრდნოთ ეკრანთან, შეგიძლიათ, მათ სთხოვოთ, დავალება სამუშაო რვეულებში შეასრულონ, ხოლო თქვენ შესრულებული დავალების ფოტო გამოგიგზავნონ.

რეკომენდაცია #3-დავალეზა ვიდეორგოლის სახით

შეგიძლიათ, თქვენს მოსწავლეებს დავალების მონოდება ვიდეორგოლის სახით სთხოვოთ.

მაგალითად, თქვენ გაინტერესებთ, შეძლო თუ არა თქვენმა მოსწავლემ ამოცანის ამოხსნის დროს, შესატყვისი ნაბიჯების გათვალისწინება. იმისათვის, რომ ეს შეაფასოთ, სთხოვეთ, კონკრეტული ამოცანის ამოხსნის პროცესი ვიდეორგოლის სახით მოგაწოდონ.

ამისათვის, მათთვის მარტივი ინსტრუქციის მინოდება დაგჭირდებათ.

სთხოვეთ მოსწავლეს, გაახმოვანოს ყველა ნაბიჯი, რომელსაც ამოცანის ამოხსნისთვის იყენებს და მოგაწოდოთ თითოეული ნაბიჯის ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

სასურველია, ამ აქტივობაში მოსწავლის მშობლებიც მონაწილეობდნენ.

თუ მშობელს არ შეუძლია, შვილს დაეხმაროს, შეგიძლიათ, ისევ და ისევ, ქალაქდბე შესრულებული დავალების გამოგზავნა და დავალების შესრულების დროს, აუდიოჩანაწერის გაკეთება სთხოვოთ.

რეკომენდაცია #4-მკაფიო გეგმა

განჭვრეტადი გარემო ახლა იმაზე მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე. ამიტომ, უმნიშვნელოვანესია მკაფიოდ სტრუქტურირებული გაკვეთილი და წესები, რომელსაც თითოეული გაკვეთილის მიმდინარეობის დროს მოსწავლეების ქცევები დაემორჩილება.

სასურველია, თითოეული გაკვეთილი მკაფიოდ განსაზღვრული გეგმით დაიწყოთ, რომელსაც თქვენს მოსწავლეებს წარუდგენთ და ეცდებით, გაკვეთილი გეგმით განსაზღვრულ ნაბიჯებს დაუქვემდებაროთ.

ამ შემთხვევაში, გეგმა უნდა შედგებოდეს მკაფიოდ განსაზღვრული ერთი მიზნისაგან, მიზნის შესატყვისი და შემაჯამებელი აქტივობებისაგან.

სასურველია, გეგმის თითოეული პუნქტის გასწვრივ მიანიშნოთ, რამდენ წუთს დაუთმობთ თითოეულ აქტივობას და ეს გეგმა შეათანხმოთ თქვენს მოსწავლეებთან.

რეკომენდაცია #5-მკაფიო წესები და წესების დარღვევის შედეგები

როდესაც ერთმანეთისაგან მანძილი გვაშორებს, რთულია ისეთი წესებისა და წესების დარღვევის შედეგების განსაზღვრა, რომლებიც ურთიერთობაში დამხმარე ტექნოლოგიების თავისებურებებსაც შეესაბამება. თუმცა, წებისმიერი წესი:

- ა) უნდა შეიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ, სასურველ ქცევას, ზუსტად უნდა საზღვრავდეს, რას ელიან მოსწავლისგან.
- ბ) შედეგებს, რომლებიც წესების დარღვევას მოჰყვება.

მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი წესი:

- ა) ვუსმინოთ ერთმანეთს. სანამ ერთი ადამიანი არ დაასრულებს საუბარს, ჩუმად ვიყოთ.

ეს წესი არ იმოქმედებს იმ შედეგის გარშე, რომელიც მის დარღვევას მოჰყვება. ადამიანები შედეგით ვსწავლობთ.

რას გააკეთებდით, თუ ამ წესს დაარღვევდა მოსწავლე?

შენიშვნის მიცემა ან წესის დარღვევაზე მითითება, ტექნიკური საშუალებების თავისებურებებისგან გამომდინარე, შესაძლოა, არაპრაქტიკული იყოს. ამიტომ, იქნებ...

ბ) უკეთესი იყოს, მოსწავლეებს შევუთანხმდეთ, რომ გამოვიყენებთ მიკროფონის გამორთვის¹ ფუნქციას, თუ ამ წესს მოსწავლე დაარღვევს?

ან, მაგალითად, რას მოიმოქმედებთ, თუ მოსწავლე გაკვეთილზე 15 წუთზე მეტს დააგვიანებს?

იქნებ, შეიცვალოს მისაღმების წესი? მაგალითად, იმისათვის, რომ გაკვეთილის მსვლელობას არ შევუშალოთ ხელი, გამოვიყენოთ ხელის დაქნევის² ემოტიკონი ან მიმოწერა ყველასთან და ყველა მოსწავლეს მისაღმებაზე მიმოწერით გამოხმაურება ვთხოვოთ.

სასურველია, ყოველი გაკვეთილის დაწყებამდე ერთი წუთის მანძილზე მაინც შეახსენოთ მოსწავლეებს წესები, რომლებიც თქვენსა და მათ შორის ურთიერთობას აწესრიგებს.

რეკომენდაცია #6-წერილი ტესტი³ ჯგუფური დისკუსიის ნაცვლად

მოსწავლეებთან ურთიერთობაში დამხმარე საშუალებების თავისებურებების გათვალისწინებით, სასურველია, თავი შეიკავოთ ჯგუფური დისკუსიის გამოყენებისაგან. როგორც წესი, მოსწავლეების უმრავლესობა იმპულსის კონტროლის უნარს ივიტარებს და ხვეწს. მათ უჭირთ, დისკუსიაში მონაწილე თანაკლასელს მისცენ საუბრის დასრულების საშუალება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, უკეთესია, დროდადრო, გამოვიყენოთ მოკლე, რამდენიმე კითხვისაგან შემდგარი წერილი ტესტი, რომელიც გამოკითხვის შედეგებს ავტომატურად დაიანგარიშებს და საშუალებას მოგცემთ, სწრაფად გამოავლინოთ, რა არ იციან მოსწავლეებმა საკითხის სრულად გათავისებისთვის.

რეკომენდაცია #7-პროექტებზე დამყარებული სწავლება

იქიდან გამომდინარე, რომ პირისპირ წარმართული გაკვეთილისგან განსხვავებით, ონლაინ გაკვეთილი რამდენადმე მცირე დროის მანძილზე გრძელდება, შეგიძლიათ, პროექტზე დამყარებულ სწავლებას მიმართოთ.

შეგიძლიათ მოსწავლეებს ახალ თემასთან დაკავშირებით პროექტის მომზადება და მისი წარდგენა შესთავაზოთ.

სცადეთ, რამდენიმე მოსწავლეს გაუნაწილოთ ის საკითხები, რომელთა განხილვასაც მომავალ გაკვეთილზე გეგმავთ. გაკვეთილზე კი, მიეცით მოსწავლეებს უფლება, წარმდგენის როლში აღმოჩნდნენ. ეცადეთ, ერთი საკითხის მომზადება ერთ მოსწავლეს დაავალოთ, რადგან, შესაძლოა, ამჟამად, მენწყვილესთან ურთიერთობა გაუჭირდეთ.

ვფიქრობ, ასე შეძლებთ, ონლაინ გაკვეთილის სპეციფიკას შეუსაბამოთ აქტივობები და დანარჩენები გაკვეთილის მოსასმენად განაწყოთ. თქვენ კი, ამ შემთხვევაში, წესების დაცვის ბედამხედველობაზე იბრუნოთ. გაკვეთილის ბოლოს კი, მოსწავლეებს წერილობით ტესტში მონაწილეობა სთხოვოთ.

* * *

¹ Mute
² Wave
³ Quiz

ამჟამად, მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად ცდილობენ განუსაზღვრელობის გავლენის შემცირებას, თითოეული მოსწავლე და მასწავლებელი დაბრკოლებებისა და სიახლეების წინაშე იმყოფება. ზოგჯერ გვჯერა, რომ გამონვევების წინაშე მართო ვართ, თუმცა, შემოთავაზებული რეკომენდაციები მრავალი მასწავლებლის მსგავსი გამოცდილების გამთლიანების შედეგია.

და, როდესაც ერთმანეთს მანძილი გვაშორებს, იქნებ, თქვენც შეძლოთ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით ამჟამინდელ განუსაზღვრელობას საკუთარ თავში მეტად დარწმუნებული შეხვდეთ.

გამოყენებული წყაროები

EdSurge. (2020). *Navigating Uncertain Times: How Schools Can Cope With Coronavirus*. Retrieved from EdSurge: <https://www.edsurge.com/research/guides/navigating-uncertain-times-how-schools-can-cope-with-coronavirus>

Farah, K. (2020, March 20). *4 Tips for Teachers Shifting to Teaching Online*. Retrieved from Edutopia: <https://www.edutopia.org/article/4-tips-supporting-learning-home>

Gardoqui, K. E. (2020, March 16). *Remember, Online Learning Isn't the Only Way to Learn Remotely*. Retrieved from Education Week: <https://www.edweek.org/ew/articles/2020/03/16/remember-online-learning-isnt-the-only-way.html>

Hrastinski, S. (2009). *A theory of online learning as online participation*. *Computers & Education*, 78 - 82.

Lee, K. (2020, March 16). *Coronavirus: 14 simple tips for better online teaching*. Retrieved from THE CONVERSATION: <https://theconversation.com/coronavirus-14-simple-tips-for-better-online-teaching-133573>

Schwartz, L. (2020, March 13). *What Teachers in China Have Learned in the Past Month*. Retrieved from Edutopia: <https://www.edutopia.org/article/what-teachers-china-have-learned-past-month>

SHIFT - DISRUPTIVE ELEARNING. (2020, January 30). *Five Rules of Engagement All eLearning Designers Should Live By*. Retrieved from SHIFT - DISRUPTIVE ELEARNING: <https://www.shiftelearning.com/blog/rules-of-engagement-elearning>

Snelling, J., & Fingal, D. (2020, March 16). *10 strategies for online learning during a coronavirus outbreak*. Retrieved from International Society for Technology in Education (ISTE): <https://www.iste.org/explore/learning-during-covid-19/10-strategies-online-learning-during-coronavirus-outbreak>

UNESCO. (2020). *Adverse consequences of school closures*. Retrieved May 2, 2020, from UNESCO: <https://en.unesco.org/covid19/educationresponse/consequences>

USC Rossier School of Education. (2020, April). *Supporting online learning in a time of pandemic*. Supporting online learning in a time of pandemic. Los Angeles, California, USA: USC Rossier School of Education.

Young, J. R. (2020, March 11). *Coronavirus Has Led to a Rush of Online Teaching. Here's Some Advice for Newly Remote Instructors*. Retrieved from EdSurge: <https://www.edsurge.com/news/2020-03-11-coronavirus-has-led-to-a-rush-of-online-teaching-here-s-some-advice-for-newly-remote-instructors>



